

ზურა ოლილავაძე

ნერილები
საყვარელ გოგოს
ფსიქიატრიულილან

(რომანი)



გამოცემლობა „საქართველოს ენცე“

ჩიტები ცაში თავისუფლად კრავენ ირაოს.
როგორ შეიცნეს მათ თავისუფლება?
ისინი ვარდებიან, და ვარდნისას ისხამენ ფრთებს.
ჯალალ ედ-დინ რუმი

ავტორის წინასიცყვაობა

ამასწინათ მეგობარმა გოგომ გერმანიდან მომწერა: მიშეღ, რამ გაგაჩუმა, რატომ არ წერო? დანამდვილებით, არც მან იცოდა... ფსიქიატრიულში ვაგდივარ. ვიღაცამ ჩამიშვა, ინფიცირებულიან და გისოსებს-მიღმა აღმოვჩნდი. ასეც რომ არ იყოს, რა დროს წერაა? მართალია, მარადიულ თემებზე საუბრის დრო არასოდეს გადის, მაგრამ გარშემო შიზოფრენის აქამდე უცნობი, ვირუსული სახეობის ეპიდემია მძვინვარებს, ასიათასობით ადამიანს Dementia praecox – ნაადრევი ჭკუასუსტობა ტანჯავს. ვითომ მეც ავად ვარ? „UR1SS1“ ვირუსის ლაბორატორიული დადასტურება ჯერ არ მოსულა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ მე ხომ არ ვარ ასე, პარანოიდული ბოდვები მთელ ქვეყანას მოედო. პილა, ვის აინტერესებს ან ჩიტების ულურტული, ან სიყვარული, ან ლურჯი ზღვა და კაშკაშა მზე? თანამებამულებს დემენცია ბალაზივით ცელავს!.. ან წუთუ საჭიროა იმაზე წერა, რომ ფსიქიატრიულში ცუდი ამბები ხდება, ძალიან ცუდი?

მაგრამ ხომ იცით, სწორედ საყვარელ გოგოსთან გინდა ისაუბრო, გაუზიარო აზრები და რაღაც მაინც მოუთხრო...

- © „საქართველოს მაცნე“
- © ზურა ოდილავაძე

ISBN 978-9941-16-451-4

ფუკოს პირველი წარილი

ჩემო საყვარელო მეგობარო, N, ვპასუხობ შენს თხოვნას და გნერ წერილს ჩვენს ამბებზე. შენი სახე, ციმციმა თვალებითა და კეთილი ღიმილით, მუდამ თვალწინ მიდგას, შენი ბაგების გემო და სხეულის გამაბრუებელი სურნელი კი სასიამოვნოდ მათრობს...

გკოცნი, პატარავ, ბევრს გკოცნი, გეფერები, გულში გიკრავ და ძლიერ მიყვარხარ! მიხარია, რომ შენ მაინც გააღწიე ამ ჭაობიდან, ხოლო მე ტკბილი მოგონებები დამიტოვე... გარშემო უღიმდამო საშუალოთა ზეობაა და გადიდკაცებულ მდაბიოთა ბოგინი. რა ვაკეთო? მეც შენზე ვფიქრობ, გიხსენებ, გესაუბრები – ამ სამყაროში მხოლოდ შენი არსებობა მაცოცხლებს და ჩემს უხალისო არსებობას ოდნავ აფერადებს. გკოცნი, გკოცნი, გკოცნი, ჩემო საყვარელო და კეთილო N...

მაშ ასე, რა ამბებია ჩვენთან?

დავიწყებ იმით, რომ ფსიქიატრიულში მოვხვდი. მოკლედ, საავადმყოფოში ვითარების შესახებ. ყველანი ერთ დიდ სამედიცინო დარბაზში ვწევართ და ჭერზე დღე და ღამ ჩართულ ტელევიზორს ვართ მიშტერებული. ძილი მკაცრად აკრძალულია! ღმერთმა ნუ ქნას, თვალი თუ მოგეხუჭა, შემოდის გაუპარსავი სანიტარი, თავში მუშტს გირტყამს და დროპერიდოლს გიკეთებს. ასე რომ, თვალები დაჭყეტილი უნდა გქონდეს. ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, დროთა განმავლობაში გახელილი თვალებით ძილს სწავლობ. გადაცემები? მუდამ ერთი მრგვალთავა, მელოტი, ჭუჭყიან ხალათში გამოწყობილი უფროსი სანიტარი გამოდის. მეტსახელი – „ფუყუ“. ის, დამწყებ კლასებში ჩარჩენილი მოსწავლის გამომეტყველებით, რატომდაც სულ დაკითხვებით გვემუქრება, ნაირნაირ ბრალდებებს გვიყენებს და გვაფრთხილებს, ჩვენ ყველაფერი ვიცით, თქვენი ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები წინასწარ მზად გვაქვს და როგორც კი გაატრაკებთ, ეგრევე დროპერიდოლის სამმაგ დოზაზე გადაგიყვანთო. თუმცა გარკვეული ნაირფეროვნება აქაც შეიმჩნევა – მრგვალთავა სანიტარს პერიოდულად, ასე,

კვირაში ერთხელ, პატარა, თმააფოფრილი, ფართოდ გახელილი თვალებით უზენაესი ფელდშერი ცვლის. მთავარი ექიმი არავის უნახავს, მხოლოდ ეჭვებია, რომ ის არსებობს, მართალია, საკმაოდ დასაბუთებული, მაგრამ მაინც ეჭვები... ასეა თუ ისე, ჩვენი ფელდშერი სასაცილოდ საყვარელია და თან, თაგვივით საზიზღარი. პაციენტებმა მას ფრანგ მსახიობ ჟერარ ფილიპთან ვარცხნილობის მსგავსების გამო, „ჟერარა“ შეარქვეს. აბა ეს უბერავს, თუ უბერავს! აწყვეტილი პარანოიკია, ბოდვითი ჰალუცინაციებით, განდიდებისა და დევნის მანიით – მკვეთრად გამოხატული ბირთვული შიზოფრენიაა. ბოდვითი სინდრომითა და დემენციით შეპყრობილი უმრავლესობა გაიძახის – ვერაფერს იტყვი, ყველას გვჯობს და ამიტომაც გახდა პირველიო, ჭეშმარიტად ღირსიაო! „ჟერარას“ ახირებებს აშკარად რომანტიკულ-ესთეტიკური შეფერილობა ახასიათებს. ის ტელეკრანიდან საყვარლად გვიღიმის და რაღაც ფანტასტიკურ დაპირებებს იძლევა... კეთილი ზრახვების გამოთქმის შემდეგ მკაცრი რეჟიმით უკმაყოფილო ავადმყოფებს აფრთხილებს, თუ არ მოისვენებთ ფსიქიატრიულის მთელ გიუებს თქვენ მოგისევთო. მისი ყველას გვეშინია! თუმცა პირადაც მე მუქარა არ უნდა მეხებოდეს, მაგრამ მაინც... სამაგიეროდ, დაპირებებიაა, ო, დაპირებებიაა, ოოო! თაფლივით ტკბილი და ჰეროინივით წარმტაცი! შიზოფრენიკებიც სხედან და მთელი დღე იმაზე ოცნებობენ, თუ რას და როგორ შეუსრულებს მათ უზენაესი ფელდშერი. ღამისკენ, როდესაც კოლექტიური ჰალუცინაციები აგრესიულ მიმართულებას იძენს, უფროსი მედდის მითითებით, სანიტრები შემორბიან და ყველას დროპერიდოლით აქვავებენ. ქანდაკებად ქცეული, კატატონურ სტუპორშიც „ჟერარას“ დაპირებების გარდა სხვა ვერაფერზე ფიქრობენ. დილით კი, ისევ თავიდან, იგივე...

„ერთმორწმუნე მრევლმა“, არა თუ არ იცის საკუთარი უხმო მორჩილების აზრი, არამედ არც ცდილობს, ჩასწვდეს ამ დუმილის არსა და დანიშნულებას. დამშეული თევზებისა და გავეშებულ მედუზათა კონგლომერატმა მხოლოდ ის იცის, რომ ბატონისა უპირობოდ უნდა სჯეროდეს, განსხვავებული სძულ-

დეს და, თუ ქატოს ალირსებენ, უნდა უცებ შესანსლოს. ჩემო, უსაყვარლესო მეგობარო N, რაღა თქმა უნდა, გესმის, რომ სწორედ ეს რიგითი ავადმყოფები იმსახურებენ შეცოდებას, მათი გასაჭირის გაზიარებასა და თანადგომას...

...ახლა წერას მოვწყდი, შემოგხედე – შენს თვალებში ჩამდგარმა სიყვარულის ცრემლებმა გული ამიჩუყა, სითბოთი ამავსო და... ქვითინით ეს სტროფი წამომცდა:

სამშობლო გორგებს რომ გმირობას გვავალებს,
ახლა გვაგონებს ლაჩრების სავანეს...

მოგესხსენება, ჩემო N, გორგი (სპარს.) – მგლების, მებრძოლების ქვეყანას ნიშნავს. აქედან წარმოიშვა – გორგა-სარ (გორგასალი) – მგლისთავა...

ჩვენთან, როგორც ვახსენე, ურჩ რევოლუციონერთა ჯგუფიც არსებობს. მათ ტელევიზორის სავალდებულო ყურების გარდა, დიაზეპამივით დამამშვიდებელი, იაპონური ხალხური ჰანგების სადლელამისო თერაპიის კურსებსაც უტარებენ, თუმცა ამაოდ. მათი ბელადი, რომლის სახელის გაგონებზეც კი, „უერარას“ ბურძგლვას, არ ცხრება და მანიფესტაციებს აწყობს. ფელდშერს აშკარად ეშინია მისი და ამიტომ სძულს ასე ძლიერ, ასე გამეტებით. ეს შიში ნაადრევი ჭკუასუსტობით დაავადებულებსაც გადაეცემა – ისაა ამ ჰალუცინატორული იდილიის დასრულების ერთადერთი ხილული წყარო. სხედან ასე „შიზიკები“ ყველანი ერთად, მაგარ კაიფში და მთელი დღე ზიზღისგან კანკალებენ. ბოლმა დაპირებებზე, ოცნებასა და „უერარას“ შიშთან ერთად, უძლიერესი წარკოტიკია!

როგორც ზემოთ მოგწერე, პალატები არ გვაქვს და ერთ სამედიცინო დარბაზში ვცხოვრობთ. მიზანი? ყოვლისმომცველი თვალთვალი და კონტროლია, რომელსაც ბრონირებული შეშის უკან მდგომი, უდაბნოს საქსაულივით მარტოსული მთავარი ექთანი „ლედი ლობოტომია“ ახორციელებს. ჯერ კიდევ მძიმე ბავშვობიდან პარანოიკს, მას სამუდამო უძილობა სჭირს და სკამზე შემდგარი, აცრემლებული მიმინოს მზერით, ის გადა-

ჰყურებს ფსიქიატრიულის სივრცეს. წმიდა გადმოცემის თანახმად, ის უკვდავია და წინა საუკუნეებში სწორედ ის უნიშნავდა პროტესტანტებს ლობოტომიას. დღეს კი სხვა დროა – საპყობილები „უნდა დაისაჯოს უფრო სული, ვიდრე სხეული“. ერთი სიტყვით, ხსენებულ წარკოტიკულ კოქტეილს – „ზიზღი, ოცნებები და შიში“, სისხლის მომხილავ არომატს „ლედი ლობოტომია“ სძენს. მთელი ფსიქიატრიული, მეც მათ შორის, ნებით თუ უნებლიერ, ამ უტკბილეს წარკოტიკზე ვზივართ, რადგან მისი წვეთოვანი გადასხმები ყველასათვის აუცილებელია. „ბოლმა – დაპირებების“ კონცენტრირებული ხსნარი სულ წუილ-წუილით მიდის ვენებში. ისე, დეპრესიულ ფსიქოზს მაგრად კი შველის. ამიტომაც გვიყვარს და იმავდროულად, სასტიკად გვძულს თმახუჭუჭა „ლედი ლობოტომია“!

ფსიქიატრიულში, რაღა თქმა უნდა, ყველას ერთი მოძღვარი და სულიერი მამა – „უცაკალელესი“ გვყავს. ადრე, როგორც ძველი ავადმყოფები ყვებიან, ისიც მუდამ ტელევიზორში იყო და სიბრძნეებს ქადაგებდა. ახლა ხმას არ იღებს, მიყუჩებულია, მასაც „უერარასი“ ეშინია და იშვიათად თუ ამოილულულებს რაიმეს. ჩვენ „ცაკალელა“ მაინც ძალიან გვიყვარს, რადგან სხვა არ გვყავს.

გამიგრძელდა, ჩემო პატარავ... იცი, ყველაზე დასანანია და სწორედ ეს მაღიზიანებს, რომ გარშემომყოფნი ახერხებენ და შენზე ფიქრსა და მოფერებისგან ყურადღება მათზე გადამაქვს... შენი სურნელით თრობა ნელდება და თვალების ციმციმი გონების რომელიღაც კუთხე-კუნჭულში ქრება... აი, ეს მაგიუებს და მთრგუნავს – ფსიქიატრიულის პერსონალთან ბრძოლით გატაცებულმა, შენ არ დაგკარგო და შენი რბილი ბაგების გემო არ დამავინყდეს...

ჴო, სულ მარტოც არ ვარ, მეგობარი გავიჩინე! ჩემს მოპირდაპირე მხარეს ერთი წევს, ძილისაგან დასიებული, გაქონილი სახით და ჩემსკენ მომართული, გაშტერებული მზერით. როგორც ჩანს, ფსიქიატრიულის ძველი ბინადარია, ამინაზინით (ადრე იმპორტული დროპერიდოლი ფუფუნება იყო) გაყლენთილი. მას შემდეგ, რაც მე მიმიყვანეს, სულ ერთხელ

ჩაიჩურჩულა, – ოჰ, ეს პუტჩისტებიო, და საბოლოოდ მიყუჩდა. თვალები მუდამ დაქაჩული აქვს და ისე სძინავს – აი, მას უკვე ათვისებული აქვს ღია თვალებით ძილი! გუშინ მოულოდნელად ქალალდის ნაგლეჯი მომაწოდა, ზედ ეწერა:

„ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო, სიმართლეა ამად კარგი!
უეკლოდ და უჭრილობოდ, ვის რგებია აბა ვარდი?“

რაც არ უნდა იყოს, კაცი პირველად შემეხმიანა და მეც უპასუხოდ არ დავტოვე. პოეზიის ნიჭი ჯანმრთელს არ მქონდა და დადროპერიდოლებულს რა გამიჩენდა? ავიღე და იღიას სიტყვებით ვუპასუხე: „ანმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!“. უიმედოდ გამიღიმასავით და თვალებდაჭყეტილმა ძილი განაგრძო...

სანამ „თვალლიას“ სძინავს, ჩემო საყვარელო გოგოვ, ერთ საიდუმლოს გაგმიშელ! მე ამ ვირუსული შიზოფრენიისადმი, ჯერ კიდევ საბჭოეთში შეძენილი, მყარი იმუნიტეტი გამაჩინა! ასე რომ, ჰა და ჰა, დავადების აბორტული ფორმა შემეყაროს და შემდეგ ვირუსს ტვინის გააქტიურებული უჯრედები და-ჯაბნიან. ამიტომ ვარ შედარებით არხეინად და რაღაცას მაინც ვწერ...

ერთხელ, ჩემმა დადუმებულმა მეზობელმა თვალებით მი-მანიშნა რევოლუციონერებზე, შეიძლება ითქვას, მკითხა: მათ რატომ არ უერთდებიო? ძლივს მსმენელი გამორჩნდა და თან ჩემი პოზიციის საკუთარ თავთან გამართლებაც ძლიერ მსურ-და. მოკლედ, მინდოდა მკაფიოდ, პუნქტებად ჩამომეყალიბებინა ჩემი ჰასიურობის მიზეზი. დავფიქრდი და განმარტების მწყობრი სქემა დავუშვი: „პირველი, ჩემო უხმო ლოდო ისაა, რომ ასაკი (ჯანმრთელობაც) არ მიწყობს ხელს, რადგან რევოლუცია ბევრ ენერგიასა და სირბილს მოითხოვს. მეორე, ჩემო კლდესავით მდუმარე მოწმევ და სწორედ ამის გამო საყვარელო, ისაა, რომ ჩემი საბჭოური წარსულიდან გადმომყვა ყოველგვარი გაერ-თიანებებისადმი, რაოდნე პროგრესულიც უნდა იყოს ის, კოლე-ქტივისადმი სიფრთხილე, შიშიც. მესამე და მთავარი! ჩემო წარ-სულში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურო

მებრძოლო, შენ ხომ მაინც კარგად იცი ეს – მე ვხედავ, თუ რამდენად დიდია ამ წყეული ვირუსით დაავადებულთა რიცხ-ვი, ვიცი, მათი დემენციის შეუქცევადობის შესახებ და ამიტომ რევოლუციურ გარდაქმნებს საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ – ხალხის ძირითადი მასა ხომ იგივე დარჩება, მათ ხომ ჩვენ-სავით „UR1SS1“ ვირუსის წინააღმდეგ შეძენილი იმუნიტეტი არ გააჩინიათ, ასე რომ, ევროლუციას დაველოდოთ. ხაზს ვუსვამ – ეს არც ცუდია და არც კარგი, უბრალოდ, მხოლოდ მე მეხება...

ლიდერებმაც იმედები ძლიერ გამიწილეს – ყველას უკიდე-განო ამბიციები ახრჩობს. გეცოდინება – „პირველი მორალუ-რი მონსტრი, პოლიტიკური მონსტრი იყო...“ ერთი რევოლუ-ციას ამზადებენ, მეორენი მას აწყობენ... ვიმეორებ, ყოველივე ჩამოთვლილი არც გამორჩეულობის მანიშნებელია და არც დასაგმობი – ჩემია და მორჩა... არ ვარ აქტიური ტიპის ადა-მიანი, უფრო გარედან, განყენებულად ჭვრეტა მიტაცებს და პროცესების არსში წვდომაზე ვკაიფობ... „ჩქიმ“ ანპასიურო და ერთი შეხედვით მიძინებულ-გამტერებულო „ჯიმა“, ჩვენ ერთად ვართ! რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? რა ვაკეთოთ? ეჲ, ესეც კარგად იცი, რა ადვილია ხელში იარაღის აღება და, რა ძნე-ლია ამ უმსგავსობის ყურება, მაგრამ უნდა გავუძლოთ, სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს. თუ საკითხს ფილოსოფიურად შევხე-დავთ, ცხადია, დემენციის ეპიდემიის ტალღა გადავა, ჩვენ იმუ-ნიტეტი გადაგვარჩენს და აი, მერე კი დავწერ კაშკაშა მზესა და ლურჯ ზღვაზე... სავსე მთვარის ქვეშ სიყვარულსა და გარიურა-ჟზე ჩიტების ულურტულზე!

P.S.

მეგობარო, მიყვარხარ, გკოცნი და უიმედოდ, მაგრამ მაინც გელოდები – ეგებ დავსხდეთ და მთელი ლამე, როგორც ადრე, გათენებამდე გესაუბრო, გესაუბრო შენ, ჩემო N!

ნაწილი I. გუშინ – დათო

ცერიტიფიკატი მორფისის საშიშარები მძიმეების გარეშე

უსაყვარლესო N, უკვე დავასრულე მეორე წერილი, კონვერტში ჩავდე და, უცეპ, ერთი რამ გამახსენდა: ჩემი მეორე წიგნი, რომელსაც 8 წელი ველოდებოდი, ბოლოს და ბოლოს, გამოსცეს ამ შშიშრებმა და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დიდად არც გამხარებია... იდეალები, კარგა ხანია საპნის ბუშტივით გასკდა და სადღაც ეთერში გაუჩინარდა. შესაძლებელია, შენ ამ აუხდენელი მისწრაფებების დამშრალ ცრემლებსა და უხმო ყვირილს ახლა მიუნხენის პარკების გამჭვირვალე ჰაერთან ერთად ისუნთქავა...»

იცი, მოდი ვალიაროთ, რომ დიდად გასაკვირიც არაფერი ხდება... წარმოიდგინე, ჩვენ ალბათ, დედამიწის ზურგზე ერთადერთი ერი ვართ, რომელსაც საკუთარი დამპყრობელი უყვარს! მეტი რაღა ვთქვა?!

მოკლედ, დავინუებ წარსულით...

საავადმყოფო

1. რესპუბლიკური საავადმყოფოს მე-12 სართული. გარე-დან ობობასაცით დავცოცავდი. მედდებს ფანჯრის რაფებზე გადასვლით მორფს ვპარავდი. ზურგში საბურთალოს ცოვი ქარი. თეთრი ხალათის ამაყად აფრიალებული აფრა. მაგრად მეშინოდა. რას არ გაგაკეთებინებს წამალი. ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი: ობობებიც აბლაბულის საქსოვ წებოვან სეკრეტს შეისისგან გამოყოფენ. გადმოვარდნას უფრთხიან.

2. შუა ოპერაციისას მუცლის აორტა გასკდა. მანამდე ტუალეტში შევირბინე. გავიჩინირე. ხუთი ამპულა რას გეყოფა? დიდი შეიში ვჭამე. მთელი საოპერაციო ალისფერი სისხლით გაიჟღინთა. გულის ყოველი შეკუმშვისას სისხლი შადრევანივით ასხამდა. ფშშუუ! ფშშუუ! მე და ქირურგები სააღდგომო კვერცხებივით შევიღებეთ. საოპერაციო ლამპა სისხლით დაიფარა. განათება

აღარ გვქონდა. წნევა ნულამდე დავარდა. პულსი თითქმის არ ისინჯებოდა. კათეტერით მეორე ვენა ავიღე. სწრაფი გადასხმები ნაკადით. პრედნიზოლონი. მუცელში ქირურგების ბრმად ხელების ფათური. გადავრჩით. გული გაეშვა. წნევა 80-ზე დასტაბილურდა. ყველანი ოფლში გავინურეთ. შემამცივნა. მთელი წამალი ოფლმა გამოიტანა. მხოლოდ ჩემი ალისფრად შეღებილი ხალათილა იყო კაიფში. იწვა თავისთვის საოპერაციო ტაშტში და ყვინთაობდა. ბევრი წარკოტიკი მიაქვს ავადმყოფზე ნერვიულობას.

3. ხაშურის მოწყენილი საავადმყოფო. დიდი გამოქვაბული. თხუნელების საძრომები. ქირურგიული განყოფილება. დაჭრილი მშვიდად კვნესის. სიკვდილს შერიგებულია. მუცელი ამოტრიალებულია. კატლეტის აზელილი ფარში. სისხლი და დენთის მური. შავი წასაფანტევი იარები ფუფუყებს. მიბჯენითაა წასროლი. ორივეს წამალი გვჭირდება. ფენტანილი მოგვიტანეს. სინამდვილეში დროპერიდოლის კუკლები ყოფილა. დროპერი-დოლი 15-ჯერ ძლიერია ამინაზინზე. იწვევს ადამიანის გაქვავებას. მთელს ოპერციაზე ორი კუბი კეთდება. ვერ მივხვდი. მეჩეარებოდა. ოცი კუბი გავიკეთე. ნეტავი სულ არ დავპადებულიყავი! მაგის დედაც! ბევრი მომივიდა. ას გიუს გააქვავებდა ადგილზე. ჩაფიქრებული ქვის ლოდი. უსასრულოდ გრძელი გვირაბი. სიჩუმე. შიში. თავი ხუთას კილოგრამს იწონის. დიდი ყურები. გაპარსული დრუნჩი. ბაზრის დახლზე ლორის შეტრუსული თავი. ლეუანკა შემოიტანეს. ლოდი დაჭრილი ავადმყოფის პარალელურად წამოანვინეს. ის ბნელი გვირაბიდან წარკოზის წარმართვას შეუდგა. ლოდი უსაშველოდ გადიდდა. უკიდეგანო გვირაბი გაინელა. ოპერაცია ბეჭდიერად დასრულდა. ბიჭი გადარჩა. დაჭრამდე წათესავებს 15 წლის ცოლისდასთან შეუწრიათ. მუცელში თოფი ჩაუცლიათ. ოპერაციის შემდეგ ხელი ოდნავ დაუჩირქდა. ანთეპა ძვალზე გავრცელდა. ოცამდე ოპერაცია გადაიტანა. ძვლის ფხეკით. საშინელი ტკივილებით. ანაერობული ინფექციით დალია სული. ყველასგან მიტოვებულმა. ღმერთი წამდვილად არსებობს: მე არ გამნირა – დაჭრილი ჯერ გადაარჩინა და მერე წამებით წაიყვანა...

4. ხაშურში ვართ. მე და კოკა. ძმაკაცია. ძროხას ვეძახდით. ოპერაცია დამთავრდა. ყველანი გავიდნენ. ფენტანილს საოპერაციო ბლოკშივე ვიკეთებთ. ლომქაში ვერ ვინძრევი. ბაიანზე კოკა გავუშვი. მაინცადამაინც სტერილური ზენარი ასწია. საოპერაციო ინსტრუმენტებში ხელის ფათურს შეუდგა. ასეთი რეგვენი არაფერი მინახავს. ეგ სტერილურია! მანდ ჭუჭყიანი ხელის შეყოფა როგორ შეიძლება?! უპასუხოდ არ დამტოვა. შე ჩემაო. საჭმელი ვჭამე და შემდეგ დავიბანეო. ბოზის შვილი ვიყოვო. არ გჯერავს? რა გინდა, დეტილს უთხრა? გვიანდა. ძროხას მუდმივად შორისის ფხანით დაკავებული ხელის მიკრობები საოპერაციო ინსტრუმენტზე გადაბარგდნენ. მე ყოველივე გამოვასწორე. მივვარდი. საკაიფო 20-იანი შერიცი თავის ნემსითურთორი თითოთ ამოვასრიალე. ზენარი ისევ გადავაფარე. საოპერაციოს მედდას აღარაფერი ვუთხარი. რა მეთქვა? თქვენს გასტერილებულ ინსტრუმენტებში ძროხამ ყვერებიანი ხელი აფათურა-თქო? ისე დარჩა. რას ნიშნავს ექიმის ხელიი!

5. ოპერაცია დამთავრდა. ავადმყოფი რეანიმაციაში მიმყავს. გადავაწვინე. გავსინჯე. კარგადაა. ექიმს გადავაბარე. გავედიტუალეტში. გავიჩინორე. სიგარეტს მოვუკიდე. არხეინად მოვსეირნობ. რეანიმაციის კარებთან ვეწევი. მოდის ექთანი მაკო. გუშინ ვიუიმავეთ. გატეხა. რეანიმაციაში შევიმალე. მორიგე ექიმი არაა. ნაოპერაციევი გაშავებულა. პულსი არ ისინჯება. სადაცაა წავა. პირი-პირში სუნთქვა. გულის მასაჟი. ადრენალინი. პრედნიზოლონი. გავარდისფრდა. თვალები გააღო. ბაროექიმო! გადავრჩით. ზოგი ჭირი მარგებელიაო – მაკო მყავს მხედველობაში.

6. ახალბედა ექიმი ვარ. პირველი დამოუკიდებელი ნარკოზია. ვლელავ. არ ვიმჩნევ. ანესთეტიკები შევიყვანე. დავაძინე. ხელოვნურ ვენტილაციაზე გადამყავს. სუნთქვა უნდა გაითოშოს. რელაქსანტი შედის. ვაკეთებ ინტუბაციას. მიღი ტრაქეაში შემყავს. შემდეგ ხელოვნური სუნთქვის აპარატს შევუერთებ. დავაინტუბირე. ყველაფერი კარგადაა. ფონენდოსკოპით ვამონმებ. სუნთქვა არ ისმის! ამოვაგდე მიღი. თავიდან ვაინტუბირებ. ისევ არ ისმის! ისევ იგივე. ხუთჯერ გავიმეორე. სუნთქვა

კვლავ გაჩერებულია. ვცახცახებ. ოფლად ვიღვრები. შემოვიდათეა. მომეტმასნა. ეჩქარება. სამორიგეოდ ვრჩებით. ჩამჩურჩულა, ფონენდოსკოპის მოსასმენს ხუფი მოხსენიო. წავაძვრე. დავაინტუბირე. სუნთქვა კარგია! ოპერაცია დაიწყო. ორი ადამიანი გადარჩა. მე – დაჭერას. ავადმყოფი – სიკვდილს. ამდენი შეძლო წამიერმა ვნებამ. სიყვარული წამდვილად გადაარჩენს სამყაროს.

ქუჩა

1. შემეშალა. წამლის მაგიერ ისევ დროპერიდოლი შემომაპარეს. საშინელი წამალია. 15-ჯერ ძლიერია ამინაზინზე. იწვევს ადამიანის გაქვავებას. ხმარობენ გიუების დასაშოშმინებლად. ერთი კვირა თავში ლოდები დაგორავდა. ბარნოვის ხიდზე ვიდექი და ვფიქრობდი. ახლავე გადავხტე და დავეხეთქო კეკელიძის ქუჩას თუ მეზარება? ჰა?

2. მე და ერთი წამალმა აგვაგდო. ყაყაჩოს რასტვარიტელის მაგიერ სკიპიდარი დავასხით. მაღალი სიცხე გვქონდა საშინელი გულისრევით. ორი დღე-ლამე გვერდი-გვერდ ვიწექით. ერთმანეთს ვარწყევდით. აღსასრულზე ვფიქრობდით. ღიირს კი ასე ცხოვრება? ვიყავით ასე. გადავრჩით. დილით შემონახული კოკნარი ჩავხარშეთ. გავიკეთეთ. მაინც მაგარია წამალი!

3. მეჩინკოვზე ნარკოლოგიურში ვზივარ. დავთვერი. რა ვაკეთო? მოდი მოვტყყდები. შიდა კიბიდან სხვენზე. იქედან სახურავზე. ზაფხულია. ოფლი მდის. ორსართულიანი შენობიდან გადმოვეშვი. გათვლებში შეცდომა მომსვლია! დამატებითი ერთი სართული – სახურავია. ნარკოლოგიურის ეზოდან ერთი სართულით ქვემოთ სანაპიროა. იქ უნდა დავეშვა. მოვფრინავ მეოთხე სართულიდან. ამჯერად გათვლები ზუსტია. გზად შემხვდა ხე. როკს გამოვედე. შარვალი ბარძაყიანად გამეხა. ხელიც მოვიტებე. არა და ვიცოდი – შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი.

4. დამიჭირეს. ნარკოტიკი ჩამიდეს. დაკითხვაზე მტკივნეულად მცემენ. შენია წამალიო. სახეში ზონარი მწარედ მხვდე-

ბა. თავზე ცელოფნის პარკი ჩამომაცვეს. კისერში ჯინსოვეის საყელოთი მიჭერენ. ჰიპოქსია. გონებას ვკარგავ. ტვინში რაღაც მომებალა. გალვიძებისას მთელი გულით ვხარხარებ. აუწერელ ეიფორიაში ვარ. რატომ ვიცინი ასე გულიანად, არ ვიცი. რატომ მირტყამენ არც ეს ვიცი. ბიჭები კი უცებ გაერკვნენ. სიაფანდობს ეს გოთვერანიო. ძალლებმა დანამდვილებით იციან, ვისი გახდება წამალი. მაგარი პროფესია – თითქმის ყველაფერი იცი!

5. ახალგაზრდული თამაშები ნარკოტიკებთან რითი მთავრდება? გადახედე პრეისკურანტს. ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცევა. სჯობს თავი დაიბრიდო. შეიძლება გაგიმართლოს. ღმერთი წაგიყვანს. სიყვარულით დაგეხმარება. დროზე მოგვლავს. ან გაპარვით. ან ტრაგიულად. თუ მაგრად არ გაგიმართლა – ალკასური გაფარჩაკებით.

6. საბურთალოებმა გიგიმ დიდი ფული იშოვა და სახლში წამლით ჩაიკეტა. გარეთ არეულობაა. ბიჭმა ძლივს ცხოვრება ააწყო. ცოლი მოიყვანა. რემონტს მორჩია. მე-8 სართულზე სასტუმრო ოთახში საცურაო აუზსაც ამთავრებდა. ფულის კურსზე თვალის დევნება კი მიავიწყდა. გაუფასურების ამბავი გვიან შეიტყო. ერთი ჩემოდანი ნაყაჩალარი ფული ქაღალდად ექცა. სასტიკად გაუტყდა. გააძრო იარაღი. თავში იგლიჯა. ბაახ! მაგარი ბრაზიანი ვინმე იყო. ახლად შეღებილი კედელიც სისხლნარევი ტვინის შეფით გასვარა. ლირს ამის შემდეგ რემონტზე ამდენი ნერვების შლა?

7. მეგობარი მყავდა, თემურა. უშნოდ გაიპარა. წამალზე დილაადრიან მოტყდა. გვიან ღამით მანქანით ჭიშკარს მოადგა. ნაზრანიდან ჩამოეთრა. დაღლილი იყო. განვალდა. ფარების თავზე გაშენებული ტალავერი. გამოვარდნილი დედა და და. გახარებული დედა დანოქსირონებულ შვილს შვებით მიეგება. დამ ფარების კარი სიხარულით გაულო. მანქანა შეაყენა. ძრავი არ ჩაუქრია. დაწყნარებული ოჯახის წევრები სახლში შევიდნენ. მშვიდად დაიძინეს. დილით, გალვიძებულებს, თემურა საწოლში არ დახვდათ. გათიშული, პირზე ქაფით, ლოგინში უნდა გდებუ-

ლიყო. დაძებნეს. მიაგნეს. ქაფი კი ჰქონდა. ფარებში გაპარულა. იქვე ჩაუყვინთია. მანქანის გამონაბოლქვ მხუთავ აირს დაუხრჩია. ყველა ვერ იკლავს თავს. ამ დროს განგება გეხმარება. ცოტას თუ უმართლებს ასე.

8. ერთი კიროვაბადში წამალზე დააწვა მეორესთან ერთად. გზაში ძალლები დაედევნენ. გაზი მანქანის იატაკში ჩააჭყლიტა. ასოციო ხეს შეასკდნენ. მეორე გადარჩა. ახლახანს ციროზით დაიბრიდა. ბინგოს გროზნო ევასებოდა. იქედან მოდიოდა. გზად მოეფსა. გააჩერებინა. შარვლის შეხსნას შეუდგა. ჩაეყვინთა ბიჭს. წაბარბაცდა და ხრამში გადაიჩეხა. ორივე შემთხვევა ჰგავს – გამართლებაა. ღმერთის ხელი ურევია უეჭველი.

9. მე არ გამიმართლა. სმისგან გაფარჩაკებულების სიაში ჩავეწერე. სხვა გზაც არ მქონდა. გარშემო ყველა ჯიგრულად მოკვდა. მე კი გადავრჩი. თითქოს ყველა ღონე ვიხმარე. ბევრი ვიკეთე. მანქანითაც ვიქროლე. საკმაო რისკებიც გავწიე. შენც არ მომიკვდე! არ ვევასები ღმერთს! ვაჟკაცური სიკვდილი არ მალირსა. ჯერ იწვალეო. მუხლებზე იხოხეო და ისე დაიბრიდეო. სხვაგვარად ვერ დაიმკვიდრებ ზეციურ სა-სუ-ფე-ველ-სო. ბაზარი არ არისო. მორჩა ხვეწნა-მუდარაო. არა ხარ შენ სხვებივით კაცურად სიკვდილის ღირსიო. ბედი და დამსახურება უნდა ყველაფერს.

კოკაინი

1. ქალს აუცილებლად სჭირდება კაცი. კოკაინს – მორფინი. ძლიერ უყვართ ერთმანეთი. განსაკუთრებით ქალს უჭირს მარტო დარჩენა. ასევეა კოკაინი უმორფინოდ. გაიყინები. სიცივე აგიტანს. ტვინიც ყინულად გექცევა. ფობიები იცის. დარჩები ნევროზიანი შინაბერა. კოკაინის კოკორმა სულ პატარა დოზით უნდა მიიღოს მამაკაცის ძალა. მორფინით დაიმტვეროს. კოკაინი იფურჩენება. ახალი ძალით ყვავის. იწყებს ულამაზესი, სურნელოვანი ნაყოფის გამოსხმას.

2. კოკაინიანი შტანგალასი. ბაიანებს ვავსებთ. ცოტა მორფი. ჩავუჯექით. კოლექტიურად ვიკეთებთ. სახეზე მკვდრებივით ცხვირსახოცწაფარებულები ნოხზე ვიშხლართებით. ყველა ხმამაღლა ერთმანეთზე მიუთითებს. ჩუმად. სუუ... ჩუუ... ცხვირსახოცი ფობიებისგან დამცველის როლს ასრულებს. სინათლე სახიფათოა. პრიხოდში კაშკაშა სხივებმა არ უნდა გაგალიზიანოს. სამუდამოდ გიუ დარჩები. ფსიქიატრიული სეანსი ბევრჯერ მეორდება. ასე კოკაინის ხავერდოვანი ტალღა მოითხოვს. სულ 5 წუთს გრძელდება. ამიტომა ხშირი გამეორება აუცილებელი. უამრავი გაჩერისგან ვენები ტრავმირდება. ხმება. ყალიბდება შუშის ვენები. საცოდავი სისხლძარღვები შუშის სიმყიფეს იძენს. მოყვითალო-მომწვანო ლურჯი ზოლები დაუყვებიან ხელს. ოდნავი შეხებისგანაც შეიძლება დაიმსხვრეს. იდაყვში უბრალო მოხრაც კი დიდ სისხლჩაქცევას იწვევს. მოგენონათ? დროზე გაიკეთეთ. მაგარია. კოკაინს არ სჭირდება ღმერთის დახმარება. დამოუკიდებელი ტიპია. სამ წელიწადში ასიანი მოგასვენებს. გაგყინავს. ლედნიკის სუსხიც აღარ შეგანუხებს.

ალკოჰოლი

1. ალკოჰოლი გაგაველურებს. სხვა გზა არც გაქვს. უფულოდ. უნამლოდ. უმვილებოდ. უამხანაგებოდ. ყოველგვარ უ-უოთ. უნდა დალიო. რეალობას ვერსად გაექცევი. სად წახვალ? თავის მოკვლასაც იჩალიჩებ. როგორია უცხო გარემოში ცხოვრება? უნამლოდ თან! რატომდაც დღეში შვიდჯერ გიჭერენ. უპრიჩინოდ. იღლები. გაფარჩაკებისგან ძალა არ გყოფნის, საქმე ბოლომდე მიიყვანო. ნახევრად სიაფანდზე იკლავ თავს. ვენებს იჭრი, რომ გადარჩე ისე, ან სხვამ გიშველოს.

2. მდინარის პირას დავთვერი. ათკაციანი ჯგუფი ზის. მივედი. გავაბოლეთ. დავლიეთ. თბილისელებს დასცინიან. ყველაზე დიდი ამოვარჩიე. ცხვირში მუშტი ვგლიჯე. გავხტი. დანა გავაძრე. ვერ მეკარებიან. გარშემო დარბიან. დიდმა რაღაც აწია. ლიანდაგს ვხედავ. ჩემი თავის მიმართულებით მოძრაობს. მიახლოვდება. სამი თვე რეანიმაციაში ვიწექი. ყბა გამიტყდა. ყბაზე თაბაშირს ვერ დაადებ. კბილებს შორის მავთულები გამიყარეს.

ზედა და ქვედა ყბა ერთმანეთს მიაბეს. სამი თვე უსიტყვოდ. ჩინელი სწავლული მანდარინივით დაფაზე ვწერდი იეროგლიფებს. დადებითი შედეგი მივიღე – დავდინჯდი და დავბრძენდი.

ომი

1. ეს ომი რაღა იყო? მე კიდევ გაგიუება მაკლდა?! დაარყებული ტვინი ისედაც ასტრალშია გასული. წამალი სწყურია. სულ გადავედი ჭკუიდან. ჯერ მაგრად არ ისროდნენ. აქა-იქ მხოლოდ. ისიც ლამით. გართობა? ცოტა გაკეთება. ბევრი პლანი არყით. ვარაზისხვით ტელევიზიის მიტინგზე. ან იშვიათად პარლამენტთან. ტელევიზიის მიტინგი სჯობდა.

2. დედა შევაგინე. სამტრედიელმა მხედრიონელებმა ფეხებით ამწიეს. ჩემს თავს ასფალტს ატბოინი მალატოკივით უბრახუნებენ. გონებას ვკარგავ. ლოგინზე ვიღვიძებ. ყველაფერი მტკივა. ნეკნები მაქეს გატეხილი. ძლივძლივობით ავდექი. სარკეში ჩავიხედე. ეეე?! სად წავიდა ცხირი?! ვეძებ. კეფაზეა! აირწინალივით გალურჯებული გოფრირებული მილით სახეს უერთდება. აირწინალი ძლიერ აფერხებს სუნთქვას.

3. ამჯერად ზვიადისტებმა ვითომ მარადიორობაზე დამიჭირეს. მარმარილოს იატაკზე ვწევარ. ცხვირით უნივერმალის მტვერს ვისუნთქავ. ლულა თავზეა მობჯენილი. სიკვდილი ახლოსაა. თვალები დავხუჭე. სიბნელეს სიმშვიდე მოაქვს. ამობრუნდი! გესვრი! შე ახვარო მხედრიონელო! ამოტრიალება არ შეიძლება. თვალებში ჩამხედავს. მერე ადვილად მომკლავს. ჩემი სხეულის კონტურების ნატურიდან ხატვას იწყებს მეგრელი ლეონარდო. გალენილი მთვრალია. საკუთარ დახვრეტას პირველად ვესწრები. ჯერი ყურისძირში. ყურები დამიგუბდა. ისევ ჯერი. კარგი მსროლელია ეტყობა. ახლოს აჯენს ტყვიებს თავთან. სახეში მესობა ატკეცილი მოზაიკის პანაზინა ნაწილაკები. ქვესკნელში ვიყურები. ორი მჭიდრი დამაცალა. ამოუშვა ბოლმის ორთქლი. გაუარა გაშმაგებამ. მეგრელიც ჭეშმარიტი ქართველია – სეპარატიზმს ვერ დასწამებ. არ დამპრიდა. ჯიგარია. გადავ-რჩიო-ი-ი!

თერიტო მესამე: LUCKY

ჩემო მოსაფერებელო გულისტკივილო N, ეს ამბები სამოცდათანი წლების თბილისში ხდებოდა და ერთ ცნობილ მკეთებელს, მეტსახელად „ლაქის“, შეეხება. იმხანად ბომბივით ხმა გავარდა – „კინოს სახლში“ შედგება საკულტო ფილმის – „O Lucky Man!“-ის ჩვენება!.. მთელი ქალაქი ინგლისელი მსახიობის მაღკოლმ მაკლოულის დაუვიწყარი, მიამიტური ლიმილითა და ალან პრაისის შესანიშნავი სიმღერებით ბოდავდა. ფილმის გმირს, კომივოიაუორ მიკ ტრევისს, წარმოუდგენელი თავგადასავალი ელოდება. ის შემთხვევით აკრძალულ ზონაში ხვდება, სადაც განთავსებულია საიდუმლო სამხედრო ობიექტი. მიუხედავად სასიკვდილო ხითათისა, „ილბლიანს“ მუდამ უმართლებს: მიკ ტრევისი ღიმილით ხვდება ნებისმიერ განსაცდელს და თავბრუდამხვევი სიუჟეტის მსვლელობისას ის შესანიშნავ ქალებსაც უყვარდებათ. მთელი ფილმის განმავლობაში ეს სულელური ღიმილი მის სახეს არ შორდება და საკუთარი ილბლიანობით გმირი თითქოს დასცინის კიდეც სასტიკ ბედისწერას.

...ასე შეარქევს მას გურული კიდეც მიაჩნდა, ქალაქში არავინ იყო მასავით ბედნიერი და ილბლიანი. წამალიც სულ ჰქონდა, ქალებშიც დიდი წარმატებით სარგებლობდა, ცნობილი კლინიკის წამყვანი ექიმიც იყო, უიგული- 07"-თაც დაქროდა და ძალებიც იშვიათად იჭერდნენ. მდიდარი მშობლების წყალობით – ვაკეში ბინა და ბედნიერი ცოლ- შვილი. ტურისტული საგზურით, გრძელი დემოკრატიულ რესპუბლიკიაშიც იყო წამყოფი და უნგრეთის სოციალისტურშიც! იქნან წამალიც ოხრად ჩამოზიდა და მოსკოვის საერთაშორისო „შერემენტიივოს“ აეროპორტის საბაჟოც უზრუნველად გადაღახა: კოდეინ-ნოქ-სირონით პირამდე ავსებული ჩემოდნით – „გდრ“-დან და „კინდერ სიურპრიზებში“ სათამაშობის მაგიერ ჩამონტაჟებული ერთი კილო თეთრი ყაყაჩოს გამხმარი წვენით – უნგრეთიდან. ერთი სიტყვით – „ო, ილბლიანო!“.

პირველად სერიოზულ ხითათს, კიროვობადიდან მომავალი, „წითელ ხიდზე“ გადაეყარა. ცნობილმა ძალმა, „წარკომა-

ნია-პროსტიტუციის“ სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალ ყურშიტაშვილის ძმამ ავტობუსიდან ჩამოხსნა და „ფაქტი“ ვერ უპოვა. გაბრაზდა და გაცოფებულმა საკუთარ ვენაში გაშვებული ოპიუმის „ჩეკების“ ნაფხევი ცელოფნები ჩაუდო.

„წითელი ხიდი“... მდინარე აღგეთის კალაპოტზე გადებული ძველებური აგურით ნაშენი ნაგებობა, რომლის ორივე ბოლოს განლაგებული იყო მილიციის საგუშაგოები, გზის გადასაკეტი შლაგბაუმებით. ერთი შეხედვით – საქართველოსა და აზერბაიჯანის დამაკავშირებელი მოასფალტებული გადასასვლელი. თითქოს, სხვა არაფერი....

ამ ვიწრო, მორკალური ხიდით მიემგზავრებოდნენ თბილისელი მკეთებლები წამლის ჩამოსატანად და ლომკის მოსახსნელად. უკანა გზაზე კი, გაჩერილი ბიჭებითა და წამლით გაძეგილი მანქანა, ჯერ გულგრილ აზერბაიჯანელ მილიციელებს ჩაუვლიდა, შემდეგ კი ქართული მილიციის მრისხანე რეიდს მიადგებოდა. სასტვენის ხმა, ჯოხის დაქნევა... შლაგბაუმი დაკეტილია... დამუხრუჭება, „თქვენი საბუთები“, „გადმობრძანდით“, ჩხრეკა. „აბა, სახელო აინიე“, ვენების დათვალიერება, დაჩხვლეტილი ხელები და ბორკილები. ცემა, ცემა, ცემა – „თქვი!“. თუ შენი ვერ გიპოვეს, „ფაქტის“ ჩადება და დაპატიმრება.

„წითელი ხიდი“ ნებისმიერ ნარკომანს შიშის ოფლითა და დაჭერის მოლოდინის სამარისებული დუმილის განელილი წამებით ახსოვს. ის მუდამ ჯოჯოხეთიდან გამოსასვლელ გზად დარჩება. ამ დაწყევლილ ადგილას დრო გაიყინა. აქ ათეულობით წელია არაფერი შეცვლილა, მხოლოდ დასახელება მილიციელი პოლიციელზე...

„ლაქის“ 1979 წელს შევხვდი. ბიჭები დათოსთან ვისხედით, ახალი წლის ღამე დგებოდა, მარნეულში წამლის ასაღებად გამგზავრებულ დევიკას ველოდებოდით. იმდედი არ გაგვიცრუვდა – „თოვლის ბაბუა“ ზუსტად 12 საათზე „შავის“ 10- გრამიანი პაკეტით ხელდამშვენებული მობრძანდა. გავიჩირეთ, ერთმანეთი გადავკოცნეთ და დაკაიფებულმა სტუმრებმა, ტრადიციისამებრ, ახალი წლის ოჯახებში შესახვედრად გაქუსლეს. მე, დათო და „ლაქი“ ჩვეულ „ლამის საუბრებს“ შევუდექით. სწორედ

იმ ღამით მოვისმინე „ლაქისგან“ ვრცელი დოკუმენტური მოთხოვნა იმ სასწაულებრივ გადარჩენაზე...

„...ბიჭო, მე და დევიკას კირავაბადელ ნორიკასგან 9 კილო „კუკნარი“ მოგვაქვს! იმხელა ფაქტია, ბარიგაც მაგრად დაიმენდა. ნორიკამ შავი სათვალე მოირგო, პირი დაიბანა და დასველებული თმა გადაივარცხნა. ბაზრიდან ცელოფნის ორი უშველებელი პარკი ამოიტანა და მანამ ლურჯი იზოლებულით გადაკრული ყაყაჩოინან პარკები დიდ ცელოფნებში საგულდაგულოდ ჩაპრესა. სამივენი დევიკას სტაფილოსფერ „06“-ში ჩავსხედით და მასპინძელმა ლამის კირავაბადის გასასვლელამდე გამოგვაცილა. ამდენი „კუკნარი“ გვიდევს – დაფქული თეთრი ყაყაჩოს პილცაა, 9 კილოგრამი, როგორია?!

„ნითელ ხიდს“ ვუახლოვდებით, ვნერვიულობთ, რეიდებია გაქანებული. კირავაბადში რომ მოვდიოდით, მაშინ დგებოდნენ. დევიკას ვეუბნები – დავაი, მე ავტობუსში გადავჯდები და ფაქტს ისე გადმოვიტან-თქო. მართლაც, მანქანით ავტობუსს დავენიეთ, გავაჩერეთ, ცელოფნები ზევით, თაროზე, შემოვდე და იქვე დავჯექი. ავტობუსი დაიძრა. ხიდზე შევედით. ქართულ მხარეს სამმართველოს გაგანია რეიდია. დედას იტყნავენ ეს ბოზები! სავარძელში ღრმად ჩავეჭედე, თვალები დავხუჭე, ვითომ მძინავს... „ფსს-სს-ს...წზზ... – „იკარუსის“ ავტობუსი გაჩერდა. კარები გაიღო, ამ ბოზმა, ყურშიტაშვილმა („ყურშამ“), არ შემოიხედა! ქალაქიდან კარგად მიცნობდა – აბა, დავაი, შე ჩემისა, ჩამოეთრიეო! ნარუჩინკები დამადეს, კმაყოფილებას ვერ მაღავენ – ფაქტით დავიჭირეთო! ცელოფნები ჩამოათრიეს, ერთი-ორი წამითაქს, საგუშაგოს კარზე ბორკილებით მიმაბეს და რეიდი გააგრძელეს – ჩემი დარდი აღარც აქვთ, უკვე ნაღდი ვარ! რომელიმე ძალი რეიდიდან შეისვენებს, ჯიხურისკენ წამოვა, ჩამივლის, პანლურს დამიადებს, წყალს დალევს. უკან წასვლამდე – კაი უდარსაც როჟაში მითავაზებს. ბაქსიორსკი გრუშასავით ვარ რა... მარა რას ვიგრძნობ?! ჯერ იმდენი „კუკნარი“ მაქვს ნაჭამი, მერე იმდენი „ხიმია“ გაკეთებული, მატარებელმა რომ გადამიაროს, ვერ გავიგებ! მთავარი გამაყუჩებელი – 9 კილო ნარკოტიკით ვარ დაჭერილი, 10-15 წელი გავაზე მაქვს გადებული. ცოლ-შვილი, დედ-მამა, ციხე, წარსული ცხოვრების კადრები – კინოსავით მიედინება თავში. ვის სცალია ტკივილისთვის?!

ნახევარ საათში „ყურშამ“, როგორც იქნა, მოიცალა, მაგ დალოცვილმა! ხომ იცი, რომელია? ყოფილი მსოფლიო ჩემ-პიონია ჭიდაობაში! „აბა, ჩემი ბიჭი, ახლა ხომ დაგიადეო!“ – უხარის ამ ყლეს, მოსალოდნელი კაიფისგან ხელებს იფშვნეტს. დაიწყო ცელოფნების ამოლაგება, გული მისკდება! რავარია 9 კილო „კუკნარი“?! 10 წელი ხელში მიჭირავს! გახსნა, ამოიღ... სათალი... უფრო ღრმად ჩაყო ხელი – ხიზილალის ქილები, კიდე – ისევ სათალი... ეე! მეც გამოყენები! პრი ჩომ ზუთხი? მე წამალი მედო! „ჰააა, შე წაბოზარო – გავარიტ – იკრებით ვაჭრობა დაიწყე, შე ჩემისა?“. ეცა მეორე ცელოფანს... ჩქარა, ჩქარა, ხელის ფათური – იგივე! კრუგომ ზუთხებში დავცურავთ! ვფიქრობ, ბიჭო, მირაჟია, სიზმარია, ამდენი წამლისგან, ხო არ გავრეკე?! ცელოფნის პარკები ჩემია, სათალი – არა!

უცებ სიფათში მაგარი დამიადა და ყვირის: „გვათოხლა ამ ნაბოზვარმა, ფაქტი ავტობუსშია!“. დაახტა თავის „06“ და სხვებთან ერთად გაქანდა... ვდგავარ კარებთან მიბმული, ისევ დახვრეტას ველოდები... ნახევარ საათში აქაფებული დაბრუნდა – მოგვატყუა ამის დედაო, ნაღდი ვიცი, ბლომად მოჰქონდაო! მცემეს, რა მცემეს! ნუ, აი... მოკლედ, ბოქსის დასრულებისას ჩემპიონმა თავისი გაჩერილი ცელოფნები – რომ აფხიკავ, ხომ იცი, და ოპიუმის კვალი რომ რჩება, აი, ის – ჯიბეში ჩამიდო. მაინც გქონდესო, იყოსო, ბევრი რო არ გაატრაკო.

...მე ვიყო რიპარდ ზორგე, საქმეში ფიგურირებდა 0,04 გრამი! დედას გეფიცები, 0,04! მერე გამომძიებელს ვეკითხებოდი – ატომური სასწორით ანონეთ ნიღს ბორის ლაბორატორიაში, თუ როგორ დაადგინეთ რაოდენობა-თქო?! კაროჩე, საღამომდე მიბმული ვიყავი, თვითონ რეიდობდნენ ბიჭები, გადაფრენაზე მყოფ მორფინისტებს იჭერდნენ და ფულს აწერავდნენ. ლამისკენ წავედით მთელი რეიდის სასტავი თბილისის ავტოსადგურში. ჩემი ავტობუსი უნდა კარგად გაშმონონ და „კუკნარი“ იპოვონ.

მივედით. მე მანქანაში დამტოვეს, შმოტკების საკიდზე ხელბორკილით მიბმული. თათარი მძღოლები გააღვიძეს, ჩვენება ჩამოართვეს – სად ამოვედი, რა მეჭირა ხელში... დაიწყეს ავტო-

ბუსის ჩერეკა. რა უქნეს?! დედა უტირეს, დაშალეს ავტობუსი! თათრები კივიან: „ეე, თავარისჩ ნაჩალნიქ, თავ ზაჩემ დელაეშ, სტო პრაცენთავ გავარუ, ნეთუ თამ, ნუუუ!“.

ერთსაათიანი ავტობუსზე შესევის შემდეგ, აქაფებული „ყურშა“ ყვირის, ეს ისეთი გოთვერანია, წამალს პაკრიშკებში შეამასტირებდათ! ბორბლები დააძვრეს – ბორბლები ამხელა „იკარუსა“! ზაფხულია, თეთრი, გაქათქათებული ფორმის პერანგები აცვიათ. ისე იყვნენ დარწმუნებულნი, 4-5 საათი ეძებდნენ! ვინ ჩამიშვა ასე მნარედ, აქამდე ვფიქრობ, მაგის დედას რო შევეცი! პერანგები კირავაბადულ მტვერში სულ ამოეგანგლათ, თან ოფლში გაიწურნენ. კაროჩე, დედა მოეტყნათ – „კუკნარი“ ვერ ნახეს! მირტყეს – თქვიო. ვეუბნები – ჩესტნად, მეც ვერაფერი გამიგია-თქო! ვინ დაგიჯერებს?! ისევ ქოთი. მიმიყვანეს სამმართველოში, უფროსთან, პოლკოვნიკ ჯანაშიასთან. მანამ „ყურშა“ რაციით გამუდმებით ატყობინებდა – ფაქტს მალე ვიპოვით და მოვათრევთო.

ტელევიზია მელოდება, სტივ მაკ ქუინი ვარ რა! შემიყვანეს, როჟა აქვს ჯანაშიას დალაგებული, ვითომ სოლიდური, უნესი-ერესი კაცია და უყურე, რას მებაზრება: „ბატონო ჩემო, ჩენ ყველაფერი ვიციო!“ – ჯერ ბოზურ პაუზას აკეთებს... შემდეგ დაბალი, მტკიცე ხმით აგრძელებს – „...თქვენი ნებაა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ სჯობს ნარკორეალიზატორი კირავაბადიდან აგვაყვანინოთ და თქვენ სახლში წაბრძანდებით“. გვერდზე „ყურშა“ შიბზიკასაცით მიდგას, ხომ გახსოვს, მეტრა დვაცატია, დაგვაჯული, მოჭიდავის ყურებით, ჩამჩურჩულებს: „დათანხმდი, შეჩემა, ერთად წავიდეთ, შეხვალ იყიდი, დავიჭროთ, „კუკნარიც“ ერთად გავიკეთოთ, მეტი კაი სიტყვა რა გინდა?!“.

აქ „ლაქის“ ფრაზა უთქვამს, ყველა დროის მსოფლიოს საუკეთესო გამონათქვამების ანთოლოგიაშია შესული! გმირული პოზა მიუღია და წარმოუთქვამს: „არა, ბატონო ჩემო, არა! მე ჩემს კეთილდღეობას სხვის უბედურებაზე ვერ ავაგებ!.. შეიძლება წაბოზება ძალიანაც მაწყობდეს, მინდოდეს კიდეც, მაგრამ ამის უფლებას სინდისი არაფრით მომცემს!“...

„ცემეთ, ამის დედას შევეციო, გაბერეთ ცემაშიო!“ – დუში-სყრით დაუბლავლია გალანტურ, დაწკეპილულვაშიან ჯანაშიას

და ასეთივე კულტურულ, ყურებდაჭყლეტილ „ყურშას“. ბრიგა-დას დაუწყია, რა დაუწყია! ერთი კვირა სცემდნენ და ბოლოს „ლაქის“ უთქვამს, – „ეგ 0,04 გრამიანი ცელოფნები ჩემია, ჩემიო, აბა, ვისი იქნებაო, თქვენი დედას, რო შევეციო!“. დედამისს 20000 მანეთი გადაუხდია. სპეტაკი იურისტები ქრთამზე რომ არ დამწვარიყვნენ, მარნეულში ჩუმად გაასამართლეს და 3 წელი პირობითი მიუსაჯეს.

ალბათ, დაკვირვებული მკითხველი იკითხავს: კარგი, მაგრამ სად გაქრა დათოს 9 კილოგრამიანი „ფაქტი“?! აი, რა ყოფილა:

„...ბიჭო, ავტობუსში რომ ავედი, სულ 5-6 კაცი იჯდა, ერთი სამხედროც. გვერდზე მივუჯექი. ზევით ავიხედე. მთელ ავტობუსში სულ ორი ჩანთა დევს, ჩემი ორიც მივუდე. პოსტზე, ქვევით რომ ჩამიყვანეს, ათრეულა „ყურშა“ და ეგრევე ჩემ ზემოთ შემოდებული ჩანთებისთვის დაუვლია ხელი. ვისიაო? – უკითხავს. ყველა გაჩუმებულა. თურმე ჯარისკაცს ზუთხი-ხილალა მოაქვს კონტრაბანდით, თბილისში გასაყიდად! რას ამოიღებს ხმას?! გვერდი-გვერდ იდო ჩემი და იმის ტვირთი. შოფრებს ანახეს – დაპატიმრებულს ხელში ესენი ეჭირა? იესო! – მათაც დაუმოწმებიათ და მგზავრებსაც. ნაუცაბათევად ამოლების ოქმიც შეუდგენიათ, ხელიც მოუნერინებიათ. თან დარწმუნებული იყვნენ, ფაქტი ვიპოვეთო. აბა, სულ ოთხ ჩანთაში მაინცადამაინც სხვისაზე რომ დაუვლია ხელი, რა იცოდა „ყურშამ“? თან შოფრებმაც დაამოწმეს, მგზავრებმაც... ამოცანა გვეკითხება: რატომ არავინ არაფერი თქვა?!... აი, პა-სუ-ხიც! მეც და იმ კონტრაბანდისტ ჯარისკაცსაც ზუსტად ერთნაირი ცელოფნის პარკები გვქონდა!!! აბა, იმასაც კირავაბადის ბაზარში უყიდია და ნორიკასაც, სხვანაირი საპჭოური დეფიციტის პირობებში როგორლა იქნებოდა?!“.

სანამ „ლაქი“ ხელბორკილით კარებზე მიუბამთ, სანამ „ყურშას“ მოუცლია, მერე ზუთხები უპოვია და ბოლოს ავტობუსს დასდევნებია, მანამ დევიკას წყნარად რეიდისთვის თავისი სტაფილოსფერი „06“-ით ჩაუვლია და „ლაქიც“ ამირანივით მიჯაჭული დაუნახავს. დევიკა ავტობუსს დასდევნებია და გაუჩერებია. გიუივით ავარდნილა და საბარგულის თაროზე ჩემი ცელოფნის პარკებიც შეუნიშნავს! მივარდნილა და ნალდე-

ბი, „კუკნარით“ გაძებგილი, ჩამოუხსნია! ჯარისკაცი ისევ გაჩუ-მებულა, დევიკაც პოლიციელი ჰგონებია! უფიქრია: „ვაი, ვაი, ეს რა შარში გავები, რა დედიჩემის ვჭამე, აიკანუშა დეიდას რომ დაუჯერე და ასატრინა წამოვილე თბილისშიო...“ – და ამ სიტყვებით გიუივით ავტობუსიდან გადამხტარა და გარშემო უდაბნოს ტრამალებში ლანდივით გაუჩინარებულა... სულ ხუთ წუთში ავტობუსი ისევ დაუკავებიათ, ამჯერად გააფთრებული „ყურშა“ ავარდნილა. თათარი შოფრებიც სულ დაცენტრილან, რამ გაგვაჩერებინა იმ პარკებიანი ბიჭისთვის, ალბათ „ათომნიი ბომბა“ თუ მოჰქონდაო.

„...მე, მალევე გამოვედი. „ყურშას“ ჩადებული ფაქტის საკუთარ თავზე ალებაზე, თავიდან მტკიცე უარზე ვიდექი და კარგადაც მიბრახუნეს. ბოლოს ძალლებმა იმედი დაკარგეს და ხნიერი, საპენსიო ასაკის მაიორი გამომძიებლად მომიჩინეს. ჯიგარი კაცი – თვალები უცებ, პირველივე დაკითხვაზე ამიხილა: მეგობარო, მე სადაცაა პენსიაზე გავდივარ და მხოლოდ თქვენი კეთილდღეობა მალაპარაკებს. ვხედავ, განათლებული კაცი ბრძანდებით, ექიმი... თქვენ წარკოტიკის კუთვნილების ფაქტს არ აღიარებთ, საქმეს ვერ ვხურავთ. ახლა, როგორ წარმოგიდგენიათ – თქვენ იძახებთ, არ არის ჩემიო და ბოლოს, სამმართველოს მთელ რეიდს და მაიორ ყურშიტაშვილს ერთად დაიჭერენ, და თქვენ გაგამართლებენ? რას არტყმევინებთ ამ უვიცებს, აღიარეთ დანაშაული! გარანტიას გაძლევთ – საბუთებს უცებ გავაფორმებთ და დღეს სალამოს სახლში იქნებით. გარე-დან მიხედეთ საქმეს, ასე არ აჯობებს?

მე და ებრაელმა დევიკამ 9 კილო კუკნარი ერთი თვე ვიჩირეთ! ისე, მთლად 9-აც არ იყო. ჩემს გათავიუფლებამდე დე-ვიკას მოუტეხავს 2 კილო. მაგრამ შვიდი რა, ცოტაა?! 7 კილო პილცად დაფქვილი თეთრი ხაშხაში!“

„...რაღა ბევრი გავაგრძელო და ბედნიერი კაცი იყო „ლაქი!“ ასე ლეგენდარულად იღბლიანი დარჩა ის ბიჭების მეხსიერებაშიც. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მცირედში მაინც არ გაუმართლა... საშინელი წარკომანი იყო და ამიტომ საათები სჭირდებოდა, რათა გამხმარ ვენებში რკინის ნემსით, ქარგვა-ქარგვით, სისხლში ამოთხვრილს, წამალი შეეყვანა; ბედ-

მა იმაშიც უმუხთლა, რომ მალევე ცოლ-შვილმა მიატოვა და სამუდამოდ მარტო დარჩა; იმაშიც, რომ ფეხები ისე დაუსივდა და გაუშავდა, საწოლიდან პრაქტიკულად ვერც დგებოდა; ამას გარდა, ბოლოს გალოთდა და, შარიანი ხასიათის გამო, ხშირად სრულიად უცნობები გონების დაკარგვამდე და ნეკნების ჩამტვრევამდე სცემდნენ... დიახ, სულ ეს იყო... და კიდევ ის, რომ ოთხჯერ გაასამართლეს, მეჩინიკოვზე წარკოლოგიურში ცხრამეტჯერ გამოამწყვდიეს, ექვსი წელი ინფექციურის პალატაში მუცელდასიებული ციროზით ეგდო, სამიც – სახლში, მომაკვდავი, გაუნძრევლად და „გარშოკით“ საწოლის ქვეშ, ჭრს მიშტერებული... სხვა მხრივ კი, როგორც ყველას მიაჩნდა, ის იყო ნალდი „ლაქი“!

ნირილი მეოთხე: გიორგიმ იშინეს ძარღვაზე

მაშ ასე, ჩემო N, ვაგრძელებ...

ზაფხულის საღამო იდგა, გია ჩემთან ამოვიდა, ჩამოჯდა და სახარება მთხოვა – აი, ის ლურჯყდიანიო – და ცოტა „კალიკები“...

დიახ, მეც მკეთებელი ვარ, ოღონდ ყოფილი, უბრალოდ, ვცდილობ არ გავაპაზრო. ახლობელმა მირჩია, საკუთარ თავზე წუ იტყვი, თორემ „წარკამანის“ დაწერილს არავინ წაიკითხავსო. თუმცა ყველამ მაინც ყველაფერი იცის... წარკომანის გამართლება კი მაქვს – სავარაუდოდ, თანდაყოლილი ენდორფინული უქმარისობით დავიბადე, მერე კი საბჭოურმა ჭაობმა მომიკლა ემოციები. ფაქტია, წამლით მჭირდებოდა ენდორფინების დეფიციტის შევსება. აბა, საკუთარი ემოციებისთვის არ მემკურანალა? თუ კომკავშირულ კრებებზე მოხარშული კარტოფილივით ვდებულიყავი და თევზივით გადმოკარკლული თვალებით წაირნაირი მდივნებისთვის მესმინა? მერე იყო და იმპერია დაინგრა: მიტინგები და სამოქალაქო ომი, უშუქობა და სიცივე, სმა და წამლის კეთება... ოჳ, ამ წყეულმა საბჭოეთმა

ისევ ჩამიხვია – ფსიქოტრავმა მაქვს, არაფერი შველის, რას იზამ?.. კარგი, გავჩერდები, ამაზე უკვე ისედაც ბევრი დავწერე.

მოკლედ, გიას შორიდან არ მოუვლია, თავზეაღუნულმა პირდაპირ მითხვა – ბევრი არ მინდა, სულ ერთი ზახოდი, ცუდად რომ არ ვიყოო. არადა, თავის მოკვლა ჰქონია გადაწყვეტილი. მე რა ვიცოდი?! მივეცი – სახარებაც და „ატ კაშლია- ნოქსირონ-თან“ ერთად. „კალიკები“ ცხვირსახოცში გაახვია, ჯიბეში ჩაიდო. მეუბნება – „მებაზრებას“ შეგნებულად არ ვხმარობ, გასაგებია რატომაც, მომენტს და გიოს არ შეეფერება და იმიტომ:

– ერთი რამე მინდა გითხვა, დათო. გიყურებ, და მაგარი რაზგონი გაქვს აღებული! არ გინდა, გადაიწვები, დაუკელი, ბიჭო, აბაროტებს.

– აბა, რა ვქნა ტო, ამ გაპრიალებულ ინტელიგენციას ვუყურო თუ ჩაყვინთულ, „ბრძენ“ ქურდებს?! მაგათ დედებს...! ადამიანის მთავარი მუღამი განვითარებაა, წარმატება! გია, ყველა ადგილი დაკავებულია – ამ არამზადებს ტრაკი თუ არ მიეცი, პონტი არა! შენ რაზე არ ანებებ?

ამდენს ადრე ვერ გავუბედავდი, არც თვითონ გამიყადრებდა თავს. უფროსი იყო, ბევრად, თანაც მაღალი და იმიტომ. ჰო, სხვა დროს ვერ მივახლიდი – აბა, შენ რატომ არ ანებებ თავს-თქო. საღამო იყო ზაფხულის, რაღაც განსაკუთრებულად თბილი და ბნელი, როგორც შემდეგ გაირკვა, გიოსთვის უკანასკნელი.

– ბიჭო, მე თუ იცი, უპატრონო ვიყავი, ტო, თუ რამე მაკლდა? ხომ ხედავ, ყოველ დილით ამხელა კაცი კაფეში მივეთრევი სირანუშასთან, ჩემო დაიკო, ჩემო საყვარელოთი...! რა რო, ეგებ საათი შევტენ და წამალი ვიყიდო!

გია ყოველ დილით ჩვენი უბნის კაფეში „ORIENT“-ის საათს სირანუშას „ზალოგში“ უტოვებდა და აღებულ 40 მანე-თად წამალს ყიდულობდა. ჰო, ზუსტად ამდენი სჭირდებოდა ვეზირასთან ორ ჩეკს. ასე ერქვა რვეულის ფურცლიდან გაკეთებულ ცეროდენა წამლიან პაკეტს, ერთმანეთში გაყრილი პირებით. სხვები, ორნი იკეთებდნენ – ერთს, მაგრად! გია – ორს, შუბლზე შემოიჭერდა ტილოს და ისე, თავი პრიხოდისგან რომ არ გასკდომოდა. პრიხოდი ისაა, თავში ამოვარდნილი სისხ-

ლი ჩაქუჩის რომ გირტყამს ტვინში. ისე პულსირებს, თითქოს თავის ქალა ძეგრსო და მორფის ნემსები გერჭობა ღანვებში.

– წამალს, ჩემო დათო, ზურგზე „ერმიტაჟი“ რომ გქონდეს მოკიდებული, ის არ ჰყოფნის, „ერ-მი-ტა-ჟი“!

„ერმიტაჟი“ – მუზეუმია ლენინგრადში (ამჟამად – სანკტ-პეტერბურგში), მასზე მდიდრული არაფერი წარმოგვედგინა იმსანად.

– ექიმი ხარ, ბიჭო, ისწავლე და გახდი მაგარი, მაგათი ნაბოზვარი დედაც..!

– მართალი ხარ, მაგრამ ასწორებს წამალი – ამ დამპალ ცხოვრებას გავიწყებს, მაგრად ასწორებს!

– ეჱ, ჯერ სადა ხარ, ტო, „გასწორებები“ ანი ნახე შენ. წავედი მე და რაც გითხარი, კარგად დაიმახსოვრე – გადაიწვები და ჩაგაგდებენ ეს ბოზები ნაგვის ყუთში, ზევიდან წიხლსაც ჩაგაყოლებენ! ამ სახარებას წავიღებ..

– არ ყოფილა ჩემი საშველი. ესე იგი დამენძრევა? მაინც მაგათი დედაც..! დავიღუპები და ეგაა რა! ეგეთი მაინც ვერ გავხვდები. სადაც სხვები, იქაც მე!

– რა ჩამოყარე ყურები, ბიჭო, არა გრცხვენია?! დაანებე თავი შენ ამ პესიმისტურ ამბებს, ფეხებსაც ვერ მოგჭამენ, გადის მაგათი დრო! ამათ, იცოდე, მაგრად დაენძრევათ, მაგრად! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები! დრო უნდა პროსტა, მე ამდენი აღარ მაქვს... ბედნიერი კაცი ხარ, შენ მოესწრები. მთავარია, არ დანებდე და გაიმარჯვებ! აბა ჰე, წავედი!

– თითო ზახოდი ხომ არ დაგვეშვა?

– არა, დღეს რა პონტია, ხვალისთვის შევინახავ.

– მერე ამხელა კაცს ეგ რას გეყოფა, მითხარი, მაქვს...

– მეტი ალარ დამჭირდება. ცოტაც მეყოფა, რაღაც საქმე მაქვს ხვალ, არ მინდა ლომეკაში ვიყო და ეგაა რა. იცოდე, ამ ცხოვრებაში მთავარია სიკვდილის შიშს სძლიო! დანარჩენი, ისე რა, მიდის-მოდის... ახალგაზრდობაში დაბრედვა შეიძლება უფრო ხელსაყრელიც იყოს – გაფარჩაკება მაგრად არ მევასება, ტეხავს... კაროჩე, წავედი, აბა, შენ იცი, არ დანებდე! ჭკუით და გაიღიმე, ძმაო ჩემო, გაიღიმე!

უცნაურად კი მოიქცა – „კალიკები“ არ დალია, ხვალისთვის შევინახავო.. არც – „ძმაო“ – უთქვამს ადრე... არც ეს უცნაური – „გაილიმე“? ვერც „დრო აღარ მაქვს“ გავიგე, რას ნიშნავდა... მხარზე დამადო ხელი, თითქოს მომეფერაო. გიოსთვის ესეც უცხო ჟესტი იყო. გაიხურა კარები და კიბეებზე დაეშვა-ა...

დილით შევიტყვე, თავი მოუკლავს თოფით. ლულა პირში ჩაუდია და ფეხით ჩახმახზე გამოუკრავს. დიდი ხნის განმავლობაში, გალვიძებისას თვალწინ მედგა სურათი: დაბალ მაგიდაზე ჭიქა წყალი, ცხვირსახოცი, სიგარეტი, საფერფლე; გახევამდე ღია პირი, დამსკდარი ტუჩები ცივ ლულაზე და ფეხის ცერა თითი ჩახმახზე; გიოს დაძაბული, თითქოს გაკვირვებული სახე.

მთელი თბილისი ბჭობდა – რატომ მოიკლა გიორგიმ თავი? თანაც შიშველმა?! პანაშვიდზე დამსწრე მაღალი საზოგადოება ამ უკანასკნელ ფაქტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და, ვერაფრით გაეგო, თუ რატომ არ ეცვა ასეთ გადამწყვეტ მომენტში კოსტიუმი ან თუნდაც, რაიმე სამოსი მაინც?! ყველასათვის ფრიად გასაკვირი გახლდათ, მიუღებელიც, გიოს მიერ არჩეული საზოგადოებრივი კონტროლისგან თავის დალწევის შემაძრნუნებელი მეთოდიც! მან ხომ ადამიანებს შანსიც კი არ დაუტოვა, მუხის კუბოში საზიმოდ განოლილი გიორგისთვის დახუჭულ თვალებში შეცოდებანარევი გაკიცხვით მაინც ჩაეხედათ! ხალხი ვერც ორმეტრიანი გიას გაღუნული, სიკვდილისგან გაყვითლებული ცხვირით და ერთმანეთის ცქერით დატკბა ისე, როგორც უნდა, ვერა! არც ჭირისუფალთ მისცა შანსი, ადამინურად ეტირათ იგი, თავგანწირვით ჩაბლაუჭებოდნენ და ელოშნათ მიცვალებულის გახევებული ლოყები, შემდეგ კი ეჭორავათ მის ცოლზე. ერთი სიტყვით, ხალხი მშრალზე დატოვა! თავის ქალა ჰქონდა ახდილი და ნახევარი ყბა მომძვრალი, ცხვირთან ერთად. სახის ადგილზე თეთრი სველი ტილო ეფინა. გაღიზიანებულ საზოგადოებას ამდენი პასუხაუცემელი კითხვა და უკმარისობის შეგრძნება კი ასე გამომწვევად დაუტოვა. ძალიან ცუდი ბიჭი აღმოჩნდა გიორგი, ძალიან ცუდი!

მოკლედ, მთელი თბილისი ბჭობდა – რატომ მოიკლა გიომ თავი? მე კი ვიცოდი მიზეზი – გადაიწვა და იმიტომ. ცოლიც გაშორდა, მარტო დარჩა. სიმარტოვეში ადვილია გადაწვა

– უშვილებოდ, უსიყვარულოდ. თანაც, „დრო მართლაც აღარ ჰქონია“ – საბჭოეთის მშობიარობის შემდგომი ფსიქოზის კიდევ ბევრი წელი გვკიდებია კისერზე. უფსკრულში მიექანებოდა და ვერაფერი გააწყო, გარდა იმისა, რომ უხეშად შეეწყვიტა ვარდნა. ვეღარ გაუძლო საკუთარი თავის დამცირების, უსინდისობის, განადგურების ცეკვას, სანამ ფსკერს დაასკედებოდა, ძლიერ გაბრაზდა, გაქანდა და გლიჯა კიდეც თავი კედელს!

ავედი, ინვა მუზარადიანი გოლიათი – ფრენკ ზაპა! ინვა და გვერდზე, თეთრ აბრეშუმზე ედო პატარა ლურჯი „ახალი აღთქმა“ ოქროსფერად ამობურცული ჯვრით, ნარნერა - „ევანგელიე“... ეჲ, ნეტავ დამეჯერებინა გიოსთვის, სულ ცო-ტა-თი მაინც დამეჯერებინა, სულ ოდნავ. არა! მე ჩემი გზა მქონდა გასავლელი, დასაძლევი! მთელი „გასწორებები“ წინ მქონია, ვაი რომ წინ...

არ ვიცოდი ვარდნის ფორმულის დასასრული, არ მქონდა ჯერ წაკითხული ეს წყევლა: „ხოლო სიმშვიდე, რომელსაც შენ ასე გაურბიხარ ახლა, იქნება შენთვის, როგორც დაკარგული სამოთხე“...

თავის მოკვლაც რამდენჯერ ვცადე. გიორგისავით ვერ ვივაჟკაცე, ვენებს ვიჭრიდი სლაბად, მთვრალზე, სხვას რომ დავენახე და გადავერჩინე, ისე...

ნერილი მესუთი: პროცესტის უკვდავი ინსტინქტი

ეს ამბავი, ჩემო N, ასე დაიწყო...

ჯინსებსა და ჯინსის ქურთუკში გამოწყობილი, ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცი ტახტზე ინვა და ფიქრობდა, რამდენს შეადგენდა 6-ისა და 7-ის ჯამი. ამ ამოცანამ მას შემდეგ შეანუხა, რაც წინა ოთახში გინეკოლოგი დედისა და მისი ექთნის შემოსვლამ შეაღვიძა:

– ნანა, გადავირიე, ზუსტად მახსოვს, 100- ლარიანი მქონდა – 6 სიგარეტის ვალი მივეცი, 7 – არყის, საფულეში ერთი 20- ლარიანილა მიდევს, დანარჩენი სად ჯანდაბაში წავილე?!

– სერგეევნა, აფთიაქარი დაგავიწყდა?

– დასწყევლოს ღმერთმა, ამის ხელში კიდევ კარგად ვარ!
ასე მოულოდნელად აეკვიატა დათოს ახლად გაღვიძებულ, არყითა და თასგვარი მედიკამენტით გაუღენთილ ტვინს ეს არითმეტიკული ამოცანა. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ სამზარეულოდან წამოსული სიგნალი ყურშივე უნდა დაებლოკა? დიახ, თავიდან ამოცანა იმდენად ადვილი მოეჩვენა, რომ მასზე არც დაფიქრებულა და ტვინისგან სწრაფ, ავტომატურ პასუხს ელოდა – $6 + 7 = \dots$ ჯამი არ ჩანდა...

ბიოქიმიურ დონეზე გადარჩნისთვის ბრძოლით დაკავებული ნეირონები უმნიშვნელო დამატებით დატვირთვაზეც კი უარს აცხადებდნენ. დათომ ლეიბი ასწია, ტრამალის რამდენიმე კაფსულა, როდედორმის ტაბლეტთან ერთად, ცელოფნის პაკეტიდან ამოიღო, პირში ჩაიდო და საწოლიდან აუდგომლად ჭიქა არაყიც მიაყოლა. ტახტის გვერდით, პატარა მაგიდაზე, „Löwenbräu“-ს ცარიელი ქილა მაინც შეანჯლრია, – არადა გაასწორებდა, ტრამალს უხდებაო, – სინანულით გაიფიქრა და სიგარეტს მოუკიდა. ტვინი კვლავ დუმდა და დასმულ კითხვაზე პასუხს არ იძლეოდა.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სამი დღით ადრე მამაკაცი ბაზარში გამყიდველს აუხირდა, არაყი ნისიად მაიტაო, და მოცვენილი პოლიციელებიც აგინა. ხუთმა-ექვსმა კაცმა დათო ფეხქვეშ გაიგდო და კარგადაც აბურთავა. ასე რომ, გატეხილი ცხვირი, თავის ტვინის გვარიანი შერყევა და ერთი-ორი ნეკნის მოტეხილობა, გამაბრუებულ ნივთიერებებთან ერთად, აზროვნებას ძლიერ აფერხებდნენ.

მოსაწევის გაბოლება დააპირა, მაგრამ დიდი ჰემოსფეროებიდან ჩამოსულმა ბრძანებამ, – ჯერ ადრეა, წამალი ოდნავ მაინც უნდა გაიხსნასო, – ჩანაფიქრი გადაადებინა.

– ისე, რა უცნაურადა ეს ტვინი მოწყობილი... ამდენი რამ გამაკეთებინა, 6-ისა და 7-ის შეკრება კი არ სურს, მოკალი თუ გინდა!” – რაზეც რუხმა ნივთიერებამ დედის მუდმივი წამოძახილით, – რაც გინდა, ის ხომ კარგად გახსოვს, შე ეგოისტოო, – სხარგად უპასუხა.

– ღმერთმა იცოდეს, მე არაფერ შუაში ვარ, ტვინი თავისით ირჩევს, რაზე იფიქროს.

დათო პირალმა დაწვა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და გონებრივი ძალების მაქსიმალური მოხმობით ამოცანის ამოხსნას შეუდგა.

– მაშ ასე, $6 + 7 = \dots$ ვახ შენი დედას შევეცი! მაიცა, ე-ქ-ვ-სს მივუმატოთ შვი-დი-ი...

არყით, ტრამალით, როდედორმითა და ძლიერი შერყევით გახევებული რუხი ნივთიერების ზედაპირზე პასუხი ჯიუტად არ ტივტივდებოდა. თავიდან დაიწყო... შესაკრებთა გადაადგილებისა თუ მათი ნაირნაირი ტემპით გონებით წარმოთქმის მიუხედავად, ტვინი ჯამს კვლავ არ იძლეოდა. დათო შიშმა აიტანა – ვაი, თუ ასე დავრჩეო! გაჭირვებული ხავსს ეჭიდებოდაო და ისევ ლეიბისქვეშეთში შეაცურა ხელი – პაკეტი გამოიღო, გახსნა, მასტირკა შეაკეთა და ტრამალის დაწყებულ მოქმედებას პლანიც მიაშველა. მოსაწევმა ტრამალი საბოლოოდ გახსნა და ოდნავ გადაქაჩა კიდეც, რის გამოც, კვლავ 200 გრამი არყის მიყოლება მოუწია. ახლა უკვე შეიძლებოდა სრულფასოვანი აზროვნების პროცესის დაწყება. „იტაკო“, – თქვა და კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის რუსული სეტტორის ყოფილი ფრიადოსანი რუსულენოვან აზროვნებაზე გადავიდა:

– Шесть плюс семь будет... будет... Даа, пиздец!

აუუ, რა დღეში ვარო! – ჯავრიანად ჩაიჩურჩულა და ახალ სიგარეტს ნერვიულად მოუკიდა. შემდეგ, პანიკა რომ არ გაღრმავებულიყო, საკუთარ თავს დამშვიდება უბრძანა და ყურადღების სხვა პბიექტზე გადატანას შეეცადა. ამ დროს თავიც ასტკივდა და ტვინმა ამოცანაზე ფიქრი შეწყვიტა. დათომ თვალები მიღულა და ყვინთაობას მიეცა.

სამზარეულოდან იატაკის საწმენდი ჯოხის ბრახუნის ხმა მოესმა, ეს კი „ალმზდელობითი საათის“ მოახლოებას მოასწავებდა. დათომაც გვერდი იცვალა და კიდლისკენ გადაბრუნდა. ოთახის კარი გაიღო, ჯოხი პატარა მაგიდას მიეჯახა. მიუხედავად ნოტაციების სმენის მრავალწლიანი გამოცდილებისა, დათო მაინც დაიძაბა და შეიკუმშა. ამასობაში ჯოხი ტახტის ქვეშ შექანდა და იქ გააგრძელა ხმაურიანი სრიალი... უცემ, დათომ თითებს შორის სასტიკი წვა იგრძნო, ხელი გაიქნია და წამოჯდა. სადღაც, ზურგს უკან, პლედზე სიგარეტი ბოლავდა.

მამაკაცი წამოხტა და სიტყვებით, – ფუ, შენი დედას შ...ო, – პლედის სწრაფ გადაფერთხვას შეუდგა, მაგრამ წაბარბაცდა და საწლოზე დაეცა.

– ისევ დათვერი, ჰო? ბიჭო, ტრამალი მთხოვე – დაგიტოვე, მე სულელმა ლუდიც მოგირბენინე და ისევ არყით გასკდი?! რა ჯანდაბა გინდა, ფულს რალას მახარჯინებ?! არა რა, ჩემი ბრალია, თავზე დაგისვი!

– არა, მე არა, გარეთ გავიხედე და შარა შემხვდა...

– ვიღაცა შეგხვდებოდა, აბა, რა იქნებოდა, შენი გულისთვის ქუჩას ვინ გადაკეტავს... ახლაც ნაოპერაციევი დავტოვე, ლუდზე გამოვვარდი, აფთიაქში შევირბინე, ვიფიქრე, აღარ დალევს- მეთქი – შენც არ მომიკვდე!

– სულ ორი ჭიქა დავლიე რა...

– ბიჭო, ორი მოგველავს თუ ათი, რა მნიშვნელობა აქვს, ფეხზე ძლივს დგახარ. რას გავხარ, არც კი გრცხვენია! მე კიდევალები გავისტუმრე – სიგარეტის, არყის... არა რა, გიუი ვარ, ნალდი გიუი!

ძლივს მივიწყებულმა ამოცანამ თავი კვლავ შეახსენა – $6 + 7 = \dots$

– ერთი ქილა ლუდი მომე რა, თავი მტკივა, ტრამალმა იცის...

– ტრამალი და ჯანდაბა შენ! დღეს მთელი ორპირი შენგელიების ქორნილშია, შენ ვინ დაგიძახებს?! სადაც მიხვედით შენ და შარა, ჩამნარეთ ხალხს. ეს ავაზაკი, ესა!

– ლუდი მაიტა რა...

დათო წამოდგა, მაცივრიდან ლუდის ქილა გამოილო და მაცოცხლებელი სითხე მიიყუდა.

– გულიც არ გწყდება, ხო? სადამდე დაეშვი ხედავ? ბიჭო, ყველა იქ იქნება, თუ ვინმე ნორმალურია ორპირში, ყველა! შენ ეგდე აქ და სვი არყები შარასთან ერთად, ფუი!

დათომ ლუდის სმა შეწყვიტა:

– თუ იქნება, თუ არადა, მაგათ არ გავარტყი გარდიგარდ- მო! ჩემთან წამალზე კარგად დარბოდა ეგ ბოზი!

ორპირის საზოგადოება მართლაც რომ გრანდიოზული სალამოს წარმოდგენისთვის ემზადებოდა – ქუთაისის მილიცი-

ის უფროსის, სერგო გალდავას, იმავე „ვასილიჩის“ ერთადერთი ვაჟი, ორპირის დეპუტატის, ვალერიან შენგელიას, დედისერთა ქალიშვილს ცოლად ირთავდა! თამადად სამხარეო პროკურორის მოადგილე – უორა ვაშაკიძე დაინიშნა, რაც სუფრას დამატებით ხიბლს სძენდა.

დათო თბილისიდან მარტოობას, უფულობასა და მილიციის ქრონიკულ „რაუნდებს“ მას შემდეგ გამოექცა, რაც ის მესა- მედ თუ მეოთხედ ნარკოლოგიურში გამოამწყვდის და სამი წელი პირობითიც მიუსაჯეს. ორპირში ჩამოვიდა, რკინიგზის საავადმყოფოში ექიმ-რეანიმატოლოგის თანამდებობაზე დაინ- იშნა, მშობლებმა იქვე ცინცხალი „BA3- 09“ უბოძეს და დავითი ახალ ცხოვრებას შეუდგა. დაიწყო გაუთავებელი ქორნილების, რესტორნებისა და ქალების ხანა – დათო გაალკაშდა. გამოსავა- ლი – თვეში ერთხელ გადასხმები, 2-3 ამპულა „ნორფინი“ და... ყველაფერი ისევ თავიდან.

ჩამოსვლისთანავე, „თბილისელი“, კარგი ოჯახის შვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რაიონში „გადა შამარა“-ს მარკის ავტომობილის ერთადერთი მფლობელი და ცოლშვილს თითქმის გაშორებული 37 წლის მამაკაცი ორპირის ელიტური საზოგადოებისა და ქალთა სქესის ყურადღების ცენტრში მო- ექცა. თუმცა მალევე, როგორც კი ადგილობრივ მკეთებლებთან ვიზიტებში შეამჩნიეს, უფრო კი, მისი სასტიკად აგრესიული სიმთვრალე გაცხადდა, საზოგადაებამ გალოთებული ექიმისგან პირი იბრუნა და ორპირის პრესტიული სახლების კარი მისთვის სამუდამოდ დაიხურა. სწორედ ეს შეიქნა გინეკოლოგი დედის გულდაწყვეტისა და დათოს გაღიზიანების მიზეზი.

პესიმიზმი ორგვარი შეიძლება იყოს: ერთი – ზოგადად, ცხოვრების აზრისადმი პესიმისტური მიდგომა, რაც ფილოსოფი- ური, განმჭვრეტი ყაიდის გონებას ახასიათებს და რასაც თავის მხრივ, ხშირად თან სდევს მიმდინარე მოვლენებისადმი პასიური დამოკიდებულება; მეორე – ყოველდღიური ყოფის დეტალები- სადმი იმთავითვე უარყოფითი მიდგომა, მუდმივი წუნულითა და საკუთარი წარუმატებლობის სხვებზე გადაბრალებით, რაც ღვარძლიანობისა და ადამიანებისადმი აგრესიის მიზეზი ხდება.

მიუხედავად ერთი შეხედვით უზრუნველი ყოფისა და თითქოს წარმტაცი პერსპექტივებისა, პირველი სახის პესიმიზმა დათო ახალგაზრდობიდანვე შეიპყო. თუმცა მას შემდეგაც, კარგა ხანს, ნათელი იმედები მაინც არ ტოვებდა მომავალ ექიმს – დავითი ცხოვრებისგან სამართლიანობასა და თავზე ხელის გადასმას ჯიუტად ელოდებოდა. ბოლო ხანს კი საზოგადოებაზე განაწყენების უკიდურესი განცდა დაეუფლა და მამაკაცი თავისი არსებობის საზრისს მოკლე ფრაზებით: „ამ ცხოვრების“- ან „ამათი“- დედას შევეციო, – გამოხატავდა.

...დათო საყვარელ ნავსაყუდელს – ტახტს დაუბრუნდა, ჩამოვდა, ლუდი მაგიდაზე დაფგა, სიგარეტი გააბოლა: „სერგო, სერგუნჩიკ, გეპაზორები არა, შე არამზადა... ოხ, შენი გასუქებული...!“. საქმე ის გახლდათ, რომ სერგო გალდავა და თბილისელი ექიმი ადრე, როდესაც ერთი ორპირის მილიციის უფროსი იყო, ხოლო მეორე – რკინიგზის საავადმყოფოს რეანიმატოლოგი, ერთმა და იმავე ვნებამ თითქოს დაამეგობრა კიდეც. შემდეგ სერგო ქუთაისის მილიციისა თუ პოლიციის უფროსად დააწინაურეს და გალოთებული, შარიანი დათო დავიწყებას მიეცა.

გაუგებობის თავიდან ასაცილებლად აქვე ერთიც უნდა აღინიშნოს: დათო, მიუხედავად თავისი ასაკისა, იმდენ რევოლუციურ გარდაქმნას შეესწრო, იმდენი ხელისუფლება გამოიცვალა, რომ ამა თუ იმ ახალი წესისა და სხვადასხვა პირთა თანამდებობების დასახელება ერთმანეთში სულ აერია: რაიკომის მდივანი იყო ის თუ პრეფექტი, გუბერნატორი თუ გამგებელი, მილიციისა თუ პოლიციის უფროსი, მიმოქცევაში მანეთი იყო, კუპონი თუ ლარი – აღარც იმახსოვრებდა. ექიმმა გადაწყვიტა, რომ ამგვარი წვრილმანებით გონების დანაგვიანება არ ღირდა და ყველაფერს საბჭოური დროის დასახელება დაუტოვა. ის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანსაც „თავისუფლების“ მაგიერ, ხშირად „ლენინის მოედანს“ უწოდებდა. დღეს კი, ზუსტად რა ერქვა ხსენებული ხელმძღვანელი მუშაკების თანამდებობებს და იმ დროისთვის მიმოქცევაში მყოფ ფულს, საკმაოდ ძნელი დასადგენია. ამის გამო, ჩვენც იძულებული ვართ, გავითვალისწინოთ დათოს აზროვნების აბსტრაქტული სტილი და მისი ტერმინოლოგით გავაგრძელოთ თხრობა.

დათო ტახტზე გადაწვა: 6 + 7 =... თითებზე დაიხედა, თავში ბუნდოვანმა აზრმა გაუელვა, თითქოს ამოხსნაც ახლოს იყო... ამ დროს ქორწილი გაასენდა: „ოხ, „ვასილიჩ“, შენი გაზულუქებული...“ და მალევე მიეყვინთა. სიზმრად წელსზემოთ შიშველი, ღიპიანი „ვასილიჩი“ ესტუმრა, რომელმაც წამლით სავსე „ბაიანი“ მიაწოდა. ის იყო დათომ გამორთმევა დააპირა, სერგომ ხელი უკან წაიღო და ხარხარით მიუგო, – მიპასუხე 6 + 7 რამდენია, თორემ „ზახოდს“ ვერ მიიღებო. „ვასილიჩი“ სირბილით უკან იხევდა, დათო კი ცდილობდა, დასწეოდა. დიდხანს სდია... ოფლში განურულს გამოეღვიძა. მაგიდიდან ლუდი აიღო, მოსვა. ბევრი აღარც უფიქრია, – „ვასილიჩი“, მამაშენი აღადავე, შე ქაჯორი, – გაიფიქრა და საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღო.

ჯერ გაიპარსა, შემდეგ წყალი გადაივლო და გამოეწყო. ბოლოს, ცისფერი „ბატენის“ პერანგისა და შავი მაისურის საყელო სარკის წინ შეისწორა და სერგო გალდავს სახლისკენ დაეშვა. მანამ, რაღა თქმა უნდა, არაყო ჩაარტყა, გზისთვის ერთი „ჩეკუშვაც“ თან გაიყოლა. მანქანა აღარ ჰყავდა, რადგან სულ რაღაც ნახევარ წელიწადში, რამდენიმე ავარიის შემდეგ, გაყიდა.

საქორწინო მუსიკის მკივანა ჰანგები და დამკვრელების ხრინწიანი ხმები შორიდანვე შემოესმა. მოსახვევში შევიდა. სახლს მიუახლოვდა. ეზოში მეზობლების ფუსფუსი და საქმიანი გადაძახება, სტუმრების ღრიანცელი, აუიტირებული ქალების კისკისი, მიკროფონის წივილი... და დათო სეფის გაკაშკაშებულ სივრცეში შევიდა. ქორწილი იწყებოდა: თამადა – უორა ვაშაკიძე ფეხზე იდგა, მიკროფონს სინჯავდა, მოადგილეებს ასახელებდა და მეუგე ღვინით საწყის მოთელვას ატარებდა; ცხოვრებითა და საკუთარი თავით კმაყოფილი, როგორც მათ დათო ეძადა, „ტოტალიტარული დეიდები და ბიძიები“ გოჭის ხორცს მიირთმევდნენ და ხაჭაპურს აყოლებდნენ; წინ, სიძე-დედოფლის სუფრასთან ახლოს, ახალგაზრდა ვაჟები და ნაზი ქალშვილები – მომავალი იურისტები, ექიმები და მენარმეები ერთმანეთს ეფლირატავებოდნენ.

დათოს ტერმინოლოგია ცხადად რომ წარმოვაჩინოთ, აქვე განვმარტავ, რას გულისხმობდა ის სიტყვაში „ტოტალიტარუ-

ლი“. საზოგადოების წევრთა ამ ინდივიდუებზე საუბრისას, რამ-დენიმე ხასიათის თვისების ჩამოთვლის შემდეგ, ის მთავარ მახასიათებელს ასე აღნერდა: „აი, ბიჭო, ხელებზე დააკვირდი – კაცებს მტევნებზე აქვთ სრულიად განსხავავებული, ფერმერთა-ლი, ოდნავ შემჭკნარი, თმიანი კანი და კონუსის ფორმის ფუმ-ფულა, წაგრძელებული თითები. თუ თან ზომიერად შესუქებუ-ლი, ბრილიანტის ბეჭდებით, ასაკთან შეუფერებელი კეკლუცი კისკისით, წითელსაცხიანი მეუღლე უმშვენებს გვერდს – ასიანი ეგაა - „ტოტალიტარულია!“

„დათოს მოულოდნელმა მისვლამ სტუმრების რიგებში ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენლები თავს ლალად მხოლოდ სა-კუთარ წრესა ან მათდამი დამორჩილებულ მდაბიოთა შორის გრძნობენ. დათო კი კარგა ხანია, ალარც მათი წრისა იყო და არც მათ უპირატესობას ალიარებდა. მობარბაცე ექიმთან თანაარსე-ბობის გარდაუვალობით შენუხებულმა „ტოტალიტარულებმა“ მასპინძელს, სერგო გალდავას, გადახედეს. „ვასილიჩიც“ დაბ-ნეული ჩანდა, რადგან უცხოტომელთაგან კასტის საზღვრების დაცვა რესპექტაბელური საზოგადოების ყველა წევრს მკაცრად მოეთხოვება. უხერხულობა მისმა მეუღლე მარინამ განმუხ-ტა – ქალი ექიმთან მივიდა, გადაკოცნა, ხელკავი გაუყარა და მეზობლების სუფრასთან მიიპატიუა. დავითი ყველას ხაზგას-მულად გალანტურად, თუმცა საკმაოდ შესამჩნევი ირონით მიესალმა, ორპირის „მაღალმა საზოგადოებამაც“ შეკავებული ღიმილით უპასუხა. სტუმრებმა „უცხო სხეულისადმი“ სიფხი-ზლე მოადუნეს და გოჭის ხორცის, ხაჭაპურთან ერთად, განად-გურება განაგრძეს.

მიჩნილ ადგილამდე არც მისულა, სეფა გადაკვეთა და სიძე-დედოფლის სუფრას მიუახლოვდა. მაგიდას მოუარა და ჯერ სიძე გადაკოცნა, ხოლო შემდეგ, როგორც თვითონ ყვებო-და, – ისე შევიჭერი როლში, რომ დედოფალს დავეტაკე და ხე-ლზე ვემთხვიერ. ძააან დამაჯერებელი და ჯენტლმენი ვიყავიო:

„არ ვსვამ, პუბლიკაც ცოტა დაწყნარდა, ჯერ მაინც არ გაა-ტრაკებსო. მივედი „მუზიკანტებთან“. „მუზიკანტები“ ძმები არი-

ან, ჯიგრები რესტორნიდან, ჩემს შესვლაზე, ეგრევე, ბრძანების გარეშე, ზედიზედ „დილით შენს ბაღში ვლილინებ“ და „ფუტკარი როგორც აფთიაქარის“ ასრულებდნენ ჩემს საპატივცემულოდ – კაროჩე, ჩემები არიან. მიკროფონი ეგრევე ჩამოვართვი, ჭიქა ხელში ავიღე, არყით პირამდე ავავსე და დავჭექე: აბა, მეგო-ბრებო, სმენა იყოს და გაგონება-თქო!

„ტოტალიტარულები“ მიჩუმდნენ, კისკისი შეწყდა, ყველა მე მიყურებს... ქორწილი სმენად იქცა – ორპირის საზოგადოე-ბის ერთი დიდი, ელიტარული ყური მე მისმენს. შესავლისთვის ორი-სამი სიტყვა ვთქვი, რომ არაფერი ეყნოსათ, კულტურუ-ლად... ჰო, ასე დავიწყე: ჩემო მეგობრებო და უსაყვარელესე-ბო, გაგიმარჯოთ!.. მე მოვედი, რათა გითხრათ შემდეგი რამ... არყის ჭიქა დავცალე და პაუზის შემდეგ გავაგრძელე: თქვენ მოგმართავთ მე – დავითი! ამხანაგებო, ახლა კი მინდა გთხოვ-ოთ, აბრძანდეთ, რიგში დაეწყოთ და მთელი რაზგონით გამო-ქანდეთ მილიციის უფროსიან-რაიკომის მდივნიან-პროკურორი-ანად და ყველა ერთად დამახტეთ აქ!..

ოპო-ჰომო-ჰო, ამბავი ატყდაა, ნუ, ამბავი ატყდაა – დედა შვილს ვერ აიყვანდა! კაროჩე, ორი თვე ნეიროქირუგიაში ვი-წექი. ნახევარი ქორწილი მე მირტყამდა, უფრო შეგნებული ნახ-ევარიც მიცავდა, რომ არ დავებრიდეთ. მთავარია, მე კმაყო-ფილი დავრჩი ჩემი გამარჯვებით, მართალი ვიყავი და იმიტომ.

გამარჯვებული ხომ ხშირად ის არ არის, ვინც მოწინააღმ-დეგეს მოერია, არამედ სწორედ დამარცხებული, რომელიც მი-უხედავად მეტოქის აშკარა რიცხობრივი უპირატესობისა, არ შეუშინდა მას და თავისი სიმართლის გასატანად თავგანწირვით ჩაება ბრძოლაში.

დანამდვილებით მხოლოდ ის ახსოვდა, რომ პირველმა „ვასილიჩმა“ გლიჯა. წაბარბაცდა, დაეცა, ფეხებით შესდგნენ, სახეზე ხელები აიფარა. როგორც უწინ, ტახტზე გადაწოლილს, თითების დანახვაზე თავში რაღაც ბუნდოვანმა აზრმა გაუელვა: 10 თითი და იქაც 3 – ცამეტი!

შემდეგ, როდესაც ქუთაისის რაიონული საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში იწვა, მომხდარის შედეგად,

ყოფილი მეცნიერის ანალიტიკურმა ტვინმა ფრიად დამაფიქრებელი დასკვნა გამოიტანა: „... რადგან ტვინი ასეთ ექსტრემალურ პირობებშიც კი განაგრძობდა თავისი მძიმე ტვირთის ზიდვას, მაშასადამე, პროტესტის ინსტინქტი ადამიანში ერთ-ერთი ბოლო კვდება. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარ-აუდოთ, რომ ინსტინქტი, რეფლექტორულ, შესაძლოა, გენეტიკურ დონეზეც კი დევს ადამიანში და გამოსაკვლევი მხოლოდ ისლა რჩება – პირობით ანუ შეძენილ თუ უპირობო რეფლექსებს განეკუთვნება ის?“.

P.S.

ეს მოთხოვთ სულ ახლახანს, დათოსთან (ამჟამად, ზოგი-ერთი, მას ფუკოსაც ეძახიან) სტუმრობის შემდეგ დავწერე. სანამ ერთმანეთს დავშორდებოდით, მითხოვა:

– ახლა ცემის გაძლებაც აღარ შემიძლია – ერთი მაგარი რომ მომხვდეს, მოვკედები... აღარც ვსვამ. ისე კი, დღესაც მაგრად მინდა, გარეთ გავიდე და ხმამაღლა ვიყვირო:

– პარტიულებო და უ-, ვითომ მემარჯვენებო, ძალად მე-მარცხენებო და მაინც „ტოტალიტარულებო“, თქვე „ძეხვისთვის“ მებრძოლო სექტანტებო – მე თქვენ ფარისეველ და შურით სავსე გულებში შევეციო-ი-ი-ი!

ნაწილი II. ინტერმედია. დათოს გარდაცვალება და ფუკოს დაბადება

ნაწილი მეექვსე:
ავტობიოგრაფია

ერთადერთო მიზეზო, რის გამოც ჯერ კიდევ ღირს ცხოვ-რება, ჩემმ მომხიბვლელო N!

საახალწლოდ ისე, რომ რედაქციაში იმ თვის ხელფასის აღებაც ვერ მოვასწარი, ხუთშაბათს, გვიან დამით, მე, დავით ჩიჩუა მოვკევდი. საღამოსკენ ჩაძინებულს გამეღვიძა, სიგარეტს მოვუკიდე, ღრმად დავანაფაზე, კიდევ... და გულის ტკივილ-მა ადგილზე გამაშება! თვალებდაჭყეტილი ჰაერს თევზივით ვყლაპავდი. ტკივილი მატულობდა. მაღლევე გონება დავკარგე და, როგორც აღმოჩნდა, გარდავიცვალე.

რამდენად შედიოდა სიკედილი ჩემს გეგმებში, ამაზე ერთმ-ნიშვნელოვანი ჰასუხი არ მაქვს. ვგონებ, ცხოვრების მიზანი დავკარგე და ამიტომ გადავპარგდი საიქოს. მართალია, ახალი წიგნების გამოცემა, წარმატება, ქალების ყურადღება და თვით სიყვარულის პროცესი დიდ სიამოვნებას მგვრიდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ცხოვრება მწყუროდა, თუმცა ამ მიღწევებით ტკბობა მაღლევე ნელდებოდა და ჩემში ისევ გულის გამანვრილე-ბელი მოწყენილობა ისადგურებდა.

ჩემო სათაყვანებელო N, ალბათ, არ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში მაცოცხლებელ წყაროდ, მხოლოდ კარგ ქალ-თან ურთიერთობასა და უიმაობას მოიაზრებდე, როგორც ჩემს შემთხვევაში იყო.

განსაკუთრებით 55 წლის შემდეგ შევამჩნიე, რომ ჩემი ცხოვ-რების ნელმა დინებამ, მდინარე ზამბეზივით გადატეხის ადგ-ილს მიაღწია და ვიქტორიას ჩანჩქერივით სწრაფი ვარდნა იწყო. დროის სვლა აჩქარდა – წლები თვალის დახამხამებაში გადიო-და... ქრონიკულმა უფულობამ და ყოველდღიური ყოფის მოწ-ყენილობამ სიცოცხლე მომაბეზრა, ხოლო უკანასკნელ წლებში საქართველოში გამეფებულმა „აბსურდულმა სიურეალიზმა“, საერთოდ, ბოლო მომილო. მე ცხოვრებისგან დავიღალე – ჯერ

ადამიანთა ბოლმის უღელქვეშ გავიღუნე, შემდეგ კი საშუალო ადამიანებთან განუწყვეტელმა შეჯიბრმა საბოლოოდ დამცა. ამ ფარისევლურმა სერიალმა, ულიმლამო და შურიანი შემსრულებლებით, ცინიზმის შხამით ამავსო – მე ცხოვრებისადმი სრულიად გულგრილი გავხდი და გავეცალე კიდეც მას.

სიკვდილი, როგორც ყოველდღიური ყოფისგან შვება, მართალი გითხრათ, მსურდა, მაგრამ გარდაცვალების მომენტი ძლიერ მაშინებდა. შემიძლია დავასკვნა, რომ ჩემი ალსასრული არ იყო უცარი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს – ის ცხოვრებისეული განწყობის სრულიად ლოგიკური შედეგი გახდათ. ინფარქტის გამო გულის გაჩერება კი, როგორც ამას სამედიცინო უწყებაში დაწერენ, მხოლოდ ბუნების მიერ გამოყენებული კონკრეტული მექანიზმი იყო და მეტი არაფერი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, გარდაცვალების რუბიკონი გადავკეთე. რაღაც დროის შემდეგ, ყოველგვარი გვირაბისა და გაბრნენებული მწვანე მდელოს გავლის გარეშე, გონის მოვედი. ჩემ წინ დოქტორი ფუკო იჯდა (მისი სახელი საიდანლაც ვიცოდი).

– სალამი, მეგობარო! – მითხრა მან, – კეთილი იყოს თქვენი მოპრძანება მარადისობაში! მაშ ასე, საქმეზე გადავიდეთ. მოკვდინების პროცედურა აუცილებლად ითვალისწინებს ავტობიოგრაფიისა და განვლილი ცხოვრების თქვენული ვერსიის ჩაბარებას – წარმოიდგინეთ, თითქოს საკუთარ თავზე წერთ.

ფუკოს შევხედე, რაღაცის კითხვა დავაპირე, მან არ მაცალა და მომიგო:

– ეს თქვენივე შემდგომი გარდასახვისთვის გამოგადგებათ.

მისი ტონი შეპასუხებას არ ითვალისწინებდა და მეც „აუცილებელი პროცედურის“ გავლას შევუდექი. დოქტორმა გამამხნევა:

– დაიწყე... ჰო, ბავშვობაზე უფრო ვრცლად, გემახსოვრება ეგზიუპერის – ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

მეც დავნებდი და საბჭოური ბავშვობის სიძნელეების თხრობას შევუდექი:

დავიბადე 1954 წელს. სულ თერთმეტი თვისა ვიყავი, როდესაც სამხედრო ექიმი მამა კამჩატკის ნახევარკუნძულზე გაამნესეს. დანიშნულების ადგილამდე მგზავრობას მატარებლით

თერთმეტი დღე და გემით ხუთი დღე დასჭირდა. ფეხი მოქანავე მატარებელშივე ავიდგი. მას შემდეგ ბაჯბაჯით დავდივარ.

კამჩატკა – ეს არის ღვთის მიერ მივიწყებული მხარე, სადაც ნაფურთხი მიწაზე ყინულის ბურთულად ეცემა, რვა თვის განმავლობაში განუწყვეტლივ ბარდნის და თოვლის საფარი 2-3 მეტრს აღწევს; ეს არის დაწყევლილი მიწა, სადაც მუდმივი ქარიშხალი – პურგა სიტყვა „ხილვადობას“ ყოველგვარ აზრს უკარგავს; იმ ქვეყანაში ყველა, ქალი თუ კაცი, რომ არ გაიყინოს, სამედიცინო სპირტს წამალივით იღებს და გაზაფხულზე დამდანარი თოვლის ქვეშ ასობით გახევებულ გვამს – «პიძნევიკ»-ს პოულობენ; ეს ჯოჯოხეთია, სადაც ერთი წელი სამწლიან სტაუდ გეთვლება, «ვა იძიალის», სამმაგ ხელფასს გიხდიან და სახლიდან გამოსასვლელად თოვლში გვირაბის გათხრა გინევს; იმხანად ეს იყო დიდი საბჭოური ციხე, რომელშიც ათიათასობით კატორლელს დილის ექვსი საათიდან ოქროს მაღაროებისკენ მიერეკებოდნენ; ეს არის ბედკრული ადგილი, სადაც ოცზე მეტი მოქმედი ვულკანი დამანგრეველ მიწისძვრას იწვევს და ნახევარკუნძულს ლავითა და ფერფლით ფარავს; მიუხედავად ყველაფრისა, აქ კორეელები არხეინად ცხოვრობენ და ძალის ჩასუებულ ლეკვებსაც გემრიელად მიირთმევენ.

ის დრო გაჩერებული კადრებივით მაგონდება. პირველი სურათი, რომელიც სამუდამოდ დამამახსოვრდა: ქამჩატკავლოვს-კამჩატკისკი, ოთხის ვარ, ძლიერი ქარბუქი; თავიდან ფეხებამდე შეფუთული და თოვლის ბურუსში გახვეული ციგაზე ვზივარ; ციგაზე გამობმული თოკით დედა აღმართში მიმათრევს; გარშემო მხოლოდ თოვლის გორაკებია. აგრეთვე მახსოვს ოთახი: ქოთანზე ვზივარ, მშობლები ჩემთვის უცხო, ქართულ ენაზე ჩხუბობენ.

ამგვარ წვალებაში ექვსმა წელმა განვლო, ჩვენი დაბრუნების უამიც დადგა. სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩვენი გემი კამჩატკის ნაპირს მოსცილდა, ვულკანმა „კლიუჩევსკაია სოპკამ“ კვლავ გაიღვიძა და დიდალი ლავაც ამოაფრქვია, რასაც უძლიერესი მიწისძვრა, ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა. ასე დასრულდა კამჩატკის ეპოპეა. აქვე უნდა აღვინიშნო, რომ შემდეგაც, რაღაც ზებუნებრივი ძალა მუდამ წარმართავდა ჩემს ცხოვრებისეულ გზას...

უკან რომ წამოვედით, ექვსის ვხდებოდი. გზად მოსკოვში გავჩერდით. „იტალიურ“ ეზოში მარტო გასული ქალაქის ქუჩებს გავუყევი. ჩემს გაუჩინარებას დიდი ალიაქოთი გამოუწვევია. როდესაც დედმამას დავუნახივარ, ჩემთვის არხეინად მივსეირნობდი, გარემოს ინტერესით ვათვალიერებდი და შემხვედრო ვულიმოდი. ტირილი არც მიფიქრია და შეშინებული მშობლების დანახვისთანავე სიცილით მომვკვდარვარ. დედა იხსენებდა – იმდენად მხიარული და თბილი ბავშვი იყავი, რომ გცემდი, მაშინაც კი არ ტიროდი და მიცინოდიო. მეტად მონდომებული და ინიციატივიანიც ვყოფილვარ, რასაც შემდეგი ეპიზოდი ადასტურებს: ადრე გაზაფხულზე მამას ნაწილიდან 5-6 ჯარისკაცი მოუყვანია და მშობლებს, მათი დახმარებით, ბოსტანში ჯერ ბუდეები ამოუთხრიათ, შემდეგ ისინი ნაკელით ამოუსიათ და დღის ბოლოს პომიდვრის ნერგები დაურგავთ. დაღლილი მამაკაცებისთვის დედას სუფრა გაუწყვია. ვახშიმიდან გარეთ გამოსულ სტუმრებს კი მე ნაკელში ამოგვნიგლული დავხვედრივარ. 500 ნერგი პომიდორი სათითაოდ ამომიძირკვავს და საგულდაგულოდ უკან, ყუთებში, ჩამიწყვია.

მთელი დღე შემეძლო, სათამაშოების გროვასთან ვმჯდარიყავი და ხშირად თურმე იქვე, ქოთანზევე, ვიძინებდი. თავისუფლებისთვის მებრძოლის სულიც მქონია – მამის მიერ გაშენებულ კურდლების მეურნეობაში შევდოდი და ყურცქვიტებს გალის კარს ვულებდი, ხოლო დასასჯელად მოცვენილ მშობლებს კვლავ მხიარულად ვუცინოდი და ვუცინოდი...

გადათეთრებული, ქარბუქის ბინდში გახვეული კამჩატკი-სა და ნაცრისფერი მოსკოვის შემდეგ, გაფერადებული სამყარო მხოლოდ საქართველოში აღმოვაჩინე! მექსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა: ყვითელი მზე, ცისფერი ცა, ბაბუას ეზო, ხასხასა მწვანე ბალახი, ხეხილის ბალი, ვაზი და შავი ყურძნის მტევნები.

დიდად არც საბავშვო ბალის მომვლელები მწყალობდნენ, რადგან „წყნარი საათის“ დროს თვალებს პირველი ვახელდი და ბოხი ხმით ყველას ვალვიძებდი. ამასობაში დაც გაჩნდა...

ავტობიოგრაფიის „ჩაბარების“ პროცედურაში ის იყო გასაკვირი, რომ არ ვწერდი, მხოლოდ ცხოვრების სურათებს ვიხსნებდი და ისინი რაღაც მექანიზმებით ფუკოში ტექსტად იქცეოდნენ. მე ამას ვხედავდი და დროდადრო ნაწერის შეს-

წორებასა თუ ფრაზების გამართვას ვახერხებდი. ერთ-ერთი ასეთი მცდელობის დროს ფუკომ მოულოდნელად მომიგო:

– მწერალმა, პირველ ყოვლისა, საინტერესო ისტორია უნდა იცოდეს და შემდეგ თავისი ნააზრევი მკითხველს მიმზიდველი ფორმით მიაწოდოს. ამას გარდა, თვით ტექსტს ხშირი გადაკითხვა სჭირდება, რათა აზრის გასაგებად, ჩამოყალიბებასთან ერთად, სიტყვათა შეთანხმების მელოდიურობას მიაღწიო.

მე დოქტორს ავხედე:

– ფუკო, გეთანხმები, მაგრამ რაიმე ლირებულის შექმნის საფუძვლად მაინც დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მივიჩნევ და მხოლოდ შემდეგ მოდის დაუღალავი შრომა და ტალანტი.

– იცი, მონოტონური თხრობა, რაოდენ დახვეწილი და საინტერესოც უნდა იყოს ის, მომაბეზრებელია, – აქ მან დაამთქნარა, – პერიოდულად რიტმის შეცვლაა საჭირო, არ უნდა დაგავიწყდეს სიტყვათა მელოდიაში ახალი ელფერის შეტანაც... კარგი, ეს ისე, გააგრძელე, გისმენ.

დილაა. გავიღვიძე. უმცროსი და გვერდით მიწევს. უნდა გავაწვალო. მიყვარს თამრიკოს კივილი. „გინდა მაგარი ფოკუსი – ღუმელზე დავკადები?“. თამრიკო – „ააა! დედა!“. მივდივარ ღუმელთან. თამრიკო – „ააა!“. ტრუსი ჩავიწიე. თამრიკო – „ააა! დედა!“. დავჯექი! თამრიკო – „ააა!“. მე – „უუ – ვაა!“. დედას ღუმელი ადრიანად აუგიზგიზებია, რის შესახებაც თამრიკოს სცოდნია. მაგრად დავიწვი. დედა შემოვარდა. სიმწრისგან კრიჭა შემეკრა, ხმას არ ვიღებ. მაინც მცემეს. ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვერ გავიგე – რა დავაშავე?

მეზობლად ვარ. სადილი იწყება. ნიგვზიანი ხარჩოა. ღომს არიგებენ. დიდ გობს დავადექი. ოხშივარი ასდის. ვყნოსავ. მეზობლის დიდი ბიჭი იქვეა. მერვე კლასელია. ფეხი გამომდო. მთელი სახით ღომში ჩავვარდი. საშინლად დამეწვა. კანი გადამდვრა. ტკივილი. ისევ მცემეს. მიზეზი კვლავ ვერ გავიგე. რთულია საბჭოური ბავშვობა. მშობლები ნასრედინის მტკივნეულ იგავს მიამბობდნენ: „მოლას შვილი წყლის მოსატანად უნდა გაეშვა. სანამ დოქს გაატანდა, მანამ სცემა. რატომ ურტყამდიო? დოქს გატეხვის შემდეგ გვიანი იქნებოდაო. ასეთია ტოტალიტარული აღზრდის წინმსწრები მეთოდი.

– კარგი, საკმარისია, ასე დავწვრილებით მოყოლაც არაა მიზანშეწონილი. შენ თხრობასთან ერთად, იმ პატარა ბავშვად იქცევი და ამისგან ტკბობაში ვარდები, გული გიჩუყდება და მთელ ბავშვობას ერთიანად აღწერ. ჩვენი მიზანი კი საპირისპიროა – მოყოლასთან ერთად, ბავშვობის სამუდამო დავიწყება.

– ერთიც რა, გთხოვ!

– მიდი, ნება შენია, მე, უბრალოდ ხმამაღლა ვფიქრობ.

– მოგიყვები იმის შესახებ, როგორ აღმოვაჩინე სამყაროში ტყუილის არსებობა და რამდენად გაუგებარი იყო იმსანად ჩემთვის მისი დანიშნულება. პირველი, რაც დამამახსოვრდა – მშობლების გულისტყვივილი, მათ მიერ „კამჩატკაზე“ ხუთი წლის განმავლობაში ნაშრომ-ნაჯაფის წყალში ჩაყრის გამო. „მთელი ცხოვრებისთვის“ ნაყიდი ტანსაცმლისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მაგიერ, სიმინდითა და ქვებით ავსებული კონტეინერები მივიღეთ. შემდეგ, მეზობელი გრიშა კვიცს მპირდებოდა, ოლონდ თოკი არ მაქს და მომიტანეო. სახლში მივრბოდი, ბაბუას თოკს ვევედრებოდი. ის კი ლიმილით მპასუხობდა, ნუ დაუჯერებო. ეს „ჯადოსნური“ შემოთავაზება რამდენჯერმე განმეორდა და გული ძლიერ მატკინა. გრიშას სადისტი დედას რო შ...ცი მე! საბოლოოდ კი, ადამინების რწმენა ამ შემთხვევის შემდეგ დავკარგე: დაწყებითი კლასების მოწაფე ვარ. უნივერმალის ვიტრინაში ახალთახალი სპორტული ველოსიპედი «Чемпион» გამოდგეს. გაგიუებულმა სახლში მივირბინე და ეს წარმოუდგენელი სიახლე დედას ვახარე. დამპირდა, თუ სასწავლო წლის ბოლოს ყველა საგანში ხუთები გამოგყვება, ველოსიპედს გიყიდითო. გაასმაგებული მონდომებით ვმეცადინეობდი! ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ჩემი ოცნების ველოსიპედის სანახავად მივიჩქაროდი, მეშინოდა, არ გაეყიდათ. მაღაზიაში შევდიოდი და ხარის რქებივით დაგრეხილ საჭეს ვეფურებოდი. პირობა შევასრულე და ოჯახურ საბჭოზე – გვეშინია, მანქანა არ დაგეჯახოს. არა ვიღაცამ, არამედ თვით საყვარელმა დედ- მამამაც გადამაგდო! დღემდე მახსოვეს...

ამასობაში მამამ სმას უმატა, დედამ კი ჩემს ცემას. ამოქმედდა ტოტალიტარიზმის ფუძემდებლური პრინციპი – „შიში და თანხმობა“. ჩვენ ყოველდღიურად საკუთარ მანკიერებას გვახსენებდნენ და, შედეგად, უკიდურესად დაბალი თვითშეფასებით გვა-

ჯილდოებდნენ. ყოველივეს საბჭოური სექსუალური აქრძალვები და გარდამავალი ასაკი დაემატა – მე ხალისიანი განწყობა ველარ შევინარჩუნე, დავწებდი და ბუნებით გულთბილი, მხიარული არსება, საკუთარ თავში ჩაკეტილ, მარტოსულ მოზარდად გადავიქეცი.

უკვე ბავშვობის გახსენების პროცესში გარკვეული შვება ვიგრძენი. შემდეგ, ზრდასრული ასაკის დადგომასთან ერთად, სიმსუბუქები იმატა. თანდათან პიროვნულ თვისებებს ვკარგავდი და სამყაროს ნაწილი ვხდებოდი. ეს, საკუთარი „მესგან“ დაცლის პროცესი, მეტად მათავისუფლებდა – აღარც სირცხვილის გრძნობა მანუხებდა, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთიც თანდათან მოვიხსენი. იმ მიზიერი ცხოვრებისგან განსხვავებით, როდესაც „მეს“ ტანჯვითა და ტკივილით იმეტებ, აქ იგივე პროცესს, პირიქით, ალუნერელი გამჭვირვალობის გრძნობა მოჰქონდა. თხრობასთან ერთად, ჩემში ცხოვრების ეტაპი კვდებოდა და ფუკობი დაწერილი ტექსტის სახით გადადიოდა. ფუკო, თითქოს ჩემი „მე“ იყო, რომელიც თქვენთან უნდა დარჩენილიყო; ის გახლდათ ჩემი დატოვებული „მეების“ კრებული, რომელთაც გველის ტყავივით ვიცვლიდი და მორიგი პერანგის მობერების შემდეგ კვლავ თქვენთან ვტოვებდი. მარადისობა ჩემში შემოდიოდა და მე მისი ნაწილი ვხდებოდი, ხოლო თქვენთვის ჩემი სუბსტანცია ქრებოდა. დღეს კი ქვაში ვარ, მიწაში...

დოქტორმა ფუკომ სიგარეტის ყუთი ამოიღო, ჩემთვის არც შემოუთავაზეაბია, ისე გააბოლა:

– მეგობარო, დაწერილ სიტყვას აუცილებლად მიჰყება ის ენერგეტიკა, ის განწყობილება, რომლითაც ეს სიტყვა ავტორის მიერ იმ კონკრეტულ მომენტში დაიწერა. იგივე ხდება, მაგალითისთვის, „სკაიპითა“ თუ „ფეისბუქით“ მიმოწერის დროს.

– ეს უცნაური ფენომენი, ჩემო ფუკო, მეც არაერთხელ შევნიშნე. რა-რა და ეგ საკითხი ხუთიანზე ვიცი.

– მოკლედ, ფაქტი ერთია, ყველა საკუთარი „მეს“ წარმოსაჩინად, შეიძლება მის სამკურნალოდაც ან გარე სამყაროსგან დასაცავად, ჰქმნის, წერს... პო, გავერთეთ, გავაგრძელოთ. სიგარეტის მოწვევა როდის დაიწყე?

– ეჲ, ფუკო, ცხოვრების ეს ეტაპიც სიგარეტის წვასთან ერთად დაიფერფლა...

წლები, წლები, ხომ იცი... მესამე კლასში გემო გავუსინჯე ბაბუას თამბაქოს და წითელ, აყროლებულ „პრიმას“. მალევე მამის პიჯაკის ჯიბიდან მოპარულ „Philip Morris“-ზე გადავედი – ყავის-ფერი პლასტმასის ყუთი ძალზე მომნუსხველად გამოიყურებოდა! ამ დროიდან მოყოლებული აკრძალული ხილის კვლევა, დამალულისადმი უზომო ინტერესი და კლეპტომანიაც კი ჩემი ცხვორების წესად იქცა. მე ისტერიულად ვაღებდი დაკეტილ კარადებსა თუ უჯრებს, ვიქექებოდი საგულდაგულოდ გადამალულ ოჯახურ ოქროულობაში, ფრჩხილის გრძელი ქლიპით ყულაბიდან საათობით ვაძვრენდი და შემდეგ უკან ვყრიდი რკინის მანეთიანებს.

მავნე ჩვევების დაგროვებასთან ერთად, ჩემში სექსუალური ხან ევოლუცია, ხანაც რევოლუციაც მიმდინარეობდა. პოლიგამიური სასიყვარულო ფსიქოზი ბავშვობაშივე დამეწყო. 10-12 წლისას თავდავიწყებით მიყვარდა ყველა ხუთოსანი კლასელი გოგო. ისინი დღესაც ცხადად მახსოვს: პუტუნია, თეთრბაბთებიანი ოლია დ.; გაბერილლოყება, დიდთვალება, ნაზი რიტა ჯ.; მაღალი, გიშრისფერთმიანი, ხმელი, დაკუნთული ფეხებით, ლიუდა კ. ... მახსოვს მათი სიარულის მანერაც კი: ოლიას მძიმე, ბაჯბაჯა სვლა; რიტას ჰაეროვანი ნაბიჯი ფეხის წვერებზე; ლიუდას ბალერინასავით გარეთ მიმართული ტერფებით ნარნარი. ამას გარდა, ვგიყდებოდი უმცროს პიონერხელმძღვანელზე, სვეტა დ.- ზე და მის მომნუსხველ ბორცვებზე, ხოლო დიდტუჩება, ქერათმიანი, ცისფერთვალება უფროსი პიონერხელმძღვანელი ფანია, რომელიც იმხანად ასაკოვან და ამიტომ მიუწვდომელ ქალღმერთად მიმარიდა, უკიდურეს სასონარკვეთაში მაგდებდა. ჩემში ეს ვნებათაღელვა მიმდინარეობდა კლასის დამრიგებლის შვილის, ნადია გ.-ს თავდაუზოგავი, ეჭვიანობითა და ტკივილით აღსავსე სიყვარულის ფონზე, რომელსაც გონების დაკარგვამდე მივყავდი და ყველა სხვა ლტოლვას ფარავდა. მამის ნაჩუქარმა „რობინზონ კრუზომ“, „სამმა მუშკეტერმა“ და „გრაფ მონტე კრისტომ“ საბოლოოდ დამღუპა. გამუდმებით ვოცნებობდი, სიზმრადაც კი ვხედავდი, როგორ დაკბენდა ჩემს უსაყვარლეს ფერიებს საშინელი ბუზი ცეცე და მათ აფრიკული ციებ-ცხელება ქუ ენწყებოდათ. ამ დროს მე, ერთადერთი ერთგული მიჯნური, მამაც მშველელად ვევლინებოდი მათ, სასიკვდილო სასთუმალზე მიგდებულთ, თავს

ვევლებოდი და ნაზად, მოსიყვარულე ხელით ვადებდი შუბლზე ცივ საფენებს. ასე იწყებოდა ჩვენი საუკუნოვანი, უსაზღვრო სიყვარული... სიზმრად ჩემი ოცნების ობიექტები პერიოდულად იტეხდნენ ფეხებს, მათ თავს ესხმოდნენ ბოროტი ყაჩაღები და, ისევ და ისევ მე, უკიდეგანო ოკეანის ტალღების, შტორმის მიუხედავად, კარაველის ცხვირზე წინმდგომი, კამზოლში და თეთრ, მაღალყელიან წინდებში გამოწყობილი, გვერდზე გამოჩრილი ხმლით მივცურავდი მათ გამოსახსნელად.

მეექვსე კლასისთვის ჩემში აბობოქრდა ტაიფუნი, დაიწყო უნებლიე „მინისძვრები“! წარმოუდგენლად მიზიდავდა ბიძაჩემის მიერ ამერიკიდან ჩამოტანილი მწვანე ავტოკალამი, რომლის გადატრიალებისას ორი დიდმკერდიანი, ქერათმიანი ლამაზმანი შიშვლდებოდა; ჭკუიდან გადავყავდი მკერდზე ოპერაციების სამედიცინო ატლასს. შემიყვარდა მოკლეკაბიანი ფრანგულის მასწავლებელი დარინა, რომლის გამოც წინა მერხზე გადავჯექი და გამუდმებით ძირს ვაგდებდი კალამს, რათა შემდეგ, თითქოს კალმის ასაღებად, ქვემოთ ჩავმძრალიყავი და თვალი შემერჯო მის სქელ, ოდნავ შეჭმუჭნულ თეძოებში. ხელოვნურმა და უნებლიე „მინისძვრებმა“ იმატა და რიხტერის შკალით ათ ბალს მიაღწია! მერხებს შორის დაჭრობანა, თეთრბაბთიანი კლასელების მკვრივი ძუძუები და მოკლეკაბიანი მასწავლებლები სასტიკ ნდომას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდნენ.

მეშვიდე-მერვე კლასისთვის, როდესაც თეთრი პერანგის გულისჯიბეს „დაისის“ უკვე პირადი ყუთი ჭუჭყანი წითლით ასხივოსნებდა, გადამრია პოლონელი ებრაელი ფიზიკის მასწავლებლის, სავარაუდოდ თეთრმა, უაღრესად ფაფუქმა ტრაკმა. ვერ მოვითმინე. შესვენების შემდგომი ჭყლეტვისას ნაზად მივადე გავაზე ხელი და გავშეშდი. დროთა სვლა შეწყდა! ახლაც მახსოვს ცომისებრი სირბილე, რომელშიც ჩაეფლო ჩემი მტევანი.

საცხოვრებელი სახლის სხვენი გახდა ჩემი და ეზოს ბიჭების ხშირი შეკრების ადგილი. აქ მიდიოდა გინებაში დახელოვნება, შაირობა, სიგარეტის წევა და კოლექტიური ნძრევა. ერთი იმდროინდელი ეპიზოდი: მე და გია მარტოდმარტო დავრჩით სხვენზე. სიგარეტს ვენევით. გია ოდნავ უფროსია. ჯიბეში იქექება. საღეჭი რეზინა „ჩიკლისის“ თეთრ ფირფიტას იღებს, მჩუქნის და

მთავაზობს: „მოდი, კუტუს თავს უკან შეგიყოფ, კაი?“. შემეშინდა. მეხვეწება. არ ვთანხმდები. გამოვიქეცი. „ტოტალიტარული დეიდების“ სიბრძნემ მიშველა, ვიცოდი: „ჯერ „უუვაჩიას“ დალეჭავ, მერე სიგარეტს გააბოლებ და ბოლოს, გაბოზდები კიდეც“.

დადგა მერვე-მეცხრე კლასის გარდამტეხი ხანა. კაშკაშა მზე. ბირჟაზე მოზრდილი „ძველი ბიჭები“ მოცისფრო-ლურჯ „Levi Strauss“-ის ან უკანა ჯიბებზე ოქროსფერელვებიან „Super Rifle“-ისა და „Wrangler“-ის ჯინსებში. თემურა, ჭიჭყინა, ნუკრია, პავლიკა... მუდამ კაიფში, წელში მოხრილნი, სველი ცხვირსახოცით ხელში, ჩამყაყებულ სოციალისტურ საზოგადოებას ხმამაღლა აგინებენ, მათი ყველას ეშინია, მილიციასაც, რომელსაც მაინც გაურბიან. დანებით დადიან, „საკაიფოდ ბაზრობენ“, ყველაზე ლამაზი გოგონები მათ ეტრფიან. ამიერიდან შესაბამისია ჩემი ოცნებაც – ყველა ძალით ვეცადო, თდესმე მაინც მივაღწიო მათი მანერების, ჩაცმულობის, გამბედაობისა და მომხიბვლელობის სიმაღლეებს.

ამ დროისთვის, ანუ მერვე კლასისთვის, დეიდაჩემის უჯრაში ნაპოვნმა „ნოქსირონის“ ვარდისფერმა ფლაკონმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ასეთივე ცხოველი ინტერესი აღძრა სხვა ფერადმა ტაბლეტებმაც: წითელმა „ციკლოდოლმა“, მწვანე „ელენიუმმა“, ყვითელმა „ლომპარკინმა“ და თეთრმა „სედუქსენმა“. დანარჩენში, ორი-სამი წლით უფროსამა მეზობელმა და იმ დროისთვის უკვე გამოცდილმა მორფინისტმა, ბესიკამ გამარკვია.

მეცხრე კლასის დამთავრება ლურჯი „კოსმოსით“ აღვნიშნე. „მეიდნის“ პლანმა გაახალისა დაგუბებული კომუნისტური ყოფა. მეგობრებთან ერთად დავიწყეთ ტაშკენგრძიში, სამარყანდში, ბუხარაში ფრენა, გავეცანით ფერგანის ხეობას, მის ფლორას და „ატომნიი“ ჯიშებს. შედეგად, ცხვირსახოცმა, რომელიც აქამდე შარვლის უკანა ჯიბები იდო, ახალი ფუნქცია შეიძინა. მოსახურიან ცხვირსახოცს ჯერ ორთქლში გაატარებ, შემდეგ კი კარში მოაყოლებ. ამგვარად მიღებული „მაცანის“ ყავისფერი თუ ღია მწვანე მჭადები ჩემი მუდმივი თანამგზავრი გახდა. „ჩაის სახლი“, „ფრანციას“ ნამცხვრები, შეუკავებელი სიცილ-კისკისი და მადიანი ჭამა.

მეათე კლასი ოქროსფერი „ივერიის“ დეფიციტური სიგარეტის ყუთით დავხურე.

ხელთქმნილი „მიწისძვრები“ გრძელდებოდა, სექსი კი ძლიერ აგვიანებდა – სოციალიზმისა და საქართველოს გამო. და აი! და აიი-ი-ი, აღსრულდა საუკუნოვანი ოცნება! არის! საზაფხულოდ, მისაღები გამოცდების საგამოცდო ციებ-ცხელების წინ, სასტუმრო „საქართველოში“ ათმანეთიანი „რუსი“ მეძავები შემოფრინდნენ. დავ-კაც-დიიი! პირველ ქალს, ფულის გარდა, „ივერიის“ გაუხსნელი ყუთიც მივართვი. სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე და ძმაკაცებთან ერთად „პაზდეკაში“ ვოლგორადს გავემგზავრე. ბევრი ვიჩირე, ცოტაც ვიჟიმავე.

სამედიცინო ინსტიტუტში ყველას ერთად, მთელ კურსს, ერთი გოგო გვიყვარდა და ის, რაღა თქმა უნდა, ცე-ს პირველი მდივნის, ვასილ პავლეს ძე მუავანაძის შვილი გახლდათ. პირველ კურსზევე მორფინის 1% და ომნოპონის 2% ამპულებს შევასკდი შუბლით... რეჯიბა დედამოტყუნულმა მოათრია ორ მანეთად და დააყოლა – აიღე, ნაშებს უპრობლემოდ შეაბამო. შემდეგ „რესპუბლიკურში“ ინტერნატურა. საორდინაციოროს სიმუშდროვე ნაზ პრომედოლ-ფენტანილ-კოკაინის კოქტეილში ჩაიძირა. ერთმა მერვე სართულიდან უკრა თავი, გავფრინდებიო... ვერ შეძლო, დაენარცხა საავადმყოფოს ეზოს რუს, ხორკლიან ას-ფალტზე. ბარძაყის ძვლები ბეჭებთან, ფრთების მაგიერ, ამოებურცა. არც მე ვაკლებდი ხელს. რესპუბლიკურის მეთორმეტე სართულზე ობობასავით დავცოცავდი – გარედან, ფანჯრის რაფებით. საბურთალოს ცივი ქარი, თეთრი ხალათის ამაყად აფრიალებული აფრა, შიში...

– აი, ახლა კი ატრაკებ! მეთორმეტე სართული რა ამბავია?! ფაქტებს მიაწერი, ნუ სიაბანდობ!

– რა, არ გჯერა? გეფიცები, „რესპუბლიკურის“ კედელზე რაინქოლდ მესნერივით, სტრახოვკის გარეშე, გარედან დავცოცავდი! ამაზე „იმპერიის ორსულობაში“ დავწერე კიდეც: მთავარი მედდის სეიფები, მორფებით სავსე, რამე. ლომკა რას არ გაგაკეთებინებს?! შენ რა იცი... ბარძაყის ძვლების ბეჭებთან ამოჩრას გადავრჩი. თანდათან სუნთქვის, კვების, სექსის და სხვა დანარჩენის ადგილიც მორფმა დაიკავა.

დოქტორმა საგრძნობლად მოიწყინა, თუმცა მაინც მამხნევებდა. ერთხელ, მიღიციაში დაკითხვის დროს გამოჩენილი სიმტკიცის

შესახებ თხრობისას, წამოიძახა კიდეც – „ვაა, სალოლ შენ, ქურდულად მოქცეულხარ!“. ამ ფუკოსი ვერ გავიგე. ის ლიტერატურაშიც ერთადა, ექიმობაშიც, ძველი ბიჭიც იყო, წესიერი კაციც... ალბათ ყველაფერი ერთად, როგორც ყველა ადამიანი?

– ფუკო, სასტიკი დრო იყო, დახუთული, მახინჯი. აი, უყურე, რა გითხრა: სოციუმის ღირებულებებზე, მისაბაძ ეტალონზე ზუსტად მეტყველებს ხალხში მოარული გამონათქვამები. „კაცური კაცის“ მორალს ასახავდა შემდეგი ამაზრზენი კლიშეები: გამოცდილი ადამიანი – „ათას ყ...ზე გადამხტარი კაცი“; იმჟამინდელი ბიზნესმენი – „კომპინატორი“ იგივე „დელეცი“ – „მე ისეთი პროფესია მაქვს, ყ...დან ყ...ზე დაგხტუნავ, მაგან რა უნდა მომატყუოს?!“; „ქურდის ქურდი ცხონდა“; ახლობლობის გამოხატულება: „მაგას? ვირს მო...ნევინებ“; კომუნისტური პარტიის რიტორიკა: „გვიმტკიცებენ, ყ...ე კიტრია და ტაში დაუკარით“; „ყველა ქალი ერთი ყ...თაა ნაკეთები, მხოლოდ სახელები აქვთ სხვადასხვა“; ...და, აი, საბჭოური ბედნიერების საოცნებო ფორმულაც - „ყ...ეც მუ...ში და სულიც სამოთხეში“. რას მიპრაძნებ? რომელი ნორმა გამეზიარებინა?!

– ჰო, რა ვიცი... თუმცა ეს ნარკომანიას მაინც არ ამართლებს... არ ვიცი, ვერ გეტყვი... იცი, რა შევამჩნიე? თუ შენ მიერ შექმნილ ტექსტს გარკვეული დროის შემდეგ კითხულობ და გეჩვენება, თითქოს ის სხვისი, ვიღაც უფრო მაგარის დაწერილი, მაშინ შენ კარგი რამ შეგიქმნია.

– ფუკო, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! ჩემი მდგომარეობა გაისიგრძეგანე, დაიჯერე, ყველაფერი დაკავებული იყო, ყველა ხვრელი ამოქოლილი! ელიტარული კლანები, კასტები, ფეოდალები, ქურდები... აი, მაშინდელი ავტორიტეტები: უმაღლესი სასწავლებლის რექტორი – მექრთამე, მომავალში – „ცეკას“ ნომენკლატურა; წამყვანი ისტორიკოსი სიმართლეს გვიმაღლავდა, არ ვიცოდით რუსული ოკუპაცია, 21 წლის თებერვალი, აზრზე არ ვიყავით, ვინ იყო ქაქუცა და ამის მაგივრად, ანანისტებივით ვდაობდით იმაზე, თუ რამდენ ყიზილბაშს გაავლო მუსრი დიდგორს დავით აღმაშენებელმა – 600 თუ 200 ათასს? ასეთივე მწერლები, რეჟისორები, რომელთაც ქართული კულტურის მომავალი ათეულობით წლებით მიითვისეს და დაამახინჯეს.

დღესაც ამ ხალხს მივაგებთ პატივს. შევარდნაძე დედამოტყუნულის გამოჩენისას აღფრთოვანებულნი ფეხზე ვდგებით და ტაშს ვუკრავთ! ეს საზოგადოება საკუთარ თავს არ სცემს პატივს! ისინი „სიმართლის დასასრულის“ ეპოქიდან არიან!

...ჰო, რაც შეეხება კონკრეტულად ნარკომანიას... ჩვეულებრივი მშვიდი ცხოვრება, ბოსელში გასასუქებლად შემწყვდეული საქონლის არსებობას, პირუტყვის ყასბის დანის მოლოდინს დაემსგავსა. 60-იანი წლების დასაწყისში, „რკინის ფარდის“ ავლით, დასავლეთიდან დაიწყო ინფორმაციის შემოდინება: როკი, ჯინსები, ჰიპები, გრძელი თმები, ნარკოტიკები... იმხანად წამალი, კოლექტივიზმის რეალობისგან გაქცევის, პროტესტის ფორმა გახდა. ნარკოტიკი იყო ანემიური ყოფის სისხლით ავსება, სევდიანი ერთფეროვნებისგან გაქცევა, მუდმივი რისკი და გაგიუების პირას მისვლა. მიზიდულობის კანონის სიმსუბუქით უარყოფა... შემდეგ ნარკომანია ცხოვრების წესად იქცა. ეს უკვე იყო არსებობა სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე, თავისუფლებასა და ციხეს შორის, „კაი ბიჭობისა“ და უსინდისობის შერწყმით... გაზრდილი დოზის მოპოვება სულ უფრო ჭირდა... ნარკოტიკი დასალევმა ჩაანაცვლა – უსიამოვნომ და მაინც თრობისმომგვრელმა, თავისუფალი და შფოთიანი ცხოვრების წყარომ. ოღონდ არა სიმშვიდეს! ბრძოლა საბჭოეთის დაგუბებულ ჭაობში ჩაფლას! სიკვდილი სჯობს ულიმლამო გდებას! კაშკაშა წვა დაფერფვლით დასრულდა...

– მაგრად გაქვს აკრეფილი საბჭოეთზე, აი! მოდი, იცი, სანამ გააგრძელებდე, რას გეტყვი? ყველა ელიტარული კლანისა და დახურული კასტის დედას შე... ვეცი მეც! გეკადრება, ძმაო – ხელოვნება, ლიტერატურა მკვდარია, თუ მასში მხოლოდ ესთეტიკური ტკბობაა და ის არაა გაჯერებული რეალობისადმი მძვინვარე პროტესტით! ჯიგარი ხარ, სწორად უბერავდი. უბრალოდ, ხომ იცი, ახლანდელი როლი მავალდებულებს, ოდნავ თავშეკავებული ვიყო... მოჰყევი, ბოლოსკენ რა იყო. ბარემ ეგეც შეუბერე და ვხედავ, მარადისობისთვის უკვე მომწიფდი, თითქმის მზად ხარ!

– სად გავჩერდი? აა, ჰო...

„მოკლედ, ექიმი ვარ, მოდის მოთხოვნების თანახმად, უფილ-ტრო სიგარეტზე გადავედი – ჯიბეს უფილტრო „Camel”-ის ყვი-თელი ან „Gitan”-ის ლურჯი ყუთი ამშვენებს. პარალელურად იყო რუსთავი მარნეულით, კიროვაბადი ყაზახით, ორჯონივიძე ნაზ-რან-აჩალუგით და კახეთი ბელაქნით: „ნოქსირონ-ატ კაშლია” – რწყევით; მორფის „სირეცი” – პრიხოდში თავის გახეთქვით; სუფთა ოპიუმი – სიცხით და აგდებით; დაანგიდრიდებული ოპიუმი, „ბა-ნია” და ჰეროინი – საშინელი ლომკით; პერიოდული „სასწრაფო დახმარება“ – ნორფინით ან სუბუტექსით, იშვიათად – მეტადონით. სულ მთლიანობაში – ერთი დიდი, გაუთავებული ლომკა. აბ-სტინენცია – გაყინულ სივრცეში და გაჩერებულ დროში ჩამოკ-იდება, ცივი ოფლით, ხშირი პოლუციებით. სრულფასოვანი სექსი – ნარკოტიკების გარეშე – გაქრა, ის ჰეროინმა შეიწოვა.

მოსკოვში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ბაზრები, თათრები, ინტენსიური ჩხერა. ერთი-ორი ექთანი, ძირითადად ნამ-ლისტვის... როგორც იქნა, მოვიდა „ჰერესტროიკის” და არყების დამანგრევებული ეპოქა! „საბჭოელ უძლეველ გოლიათს“ დასავ-ლეთან შეიარაღებულ შეჯიბრებაში თიხის ფეხები მოკეცა!

ჯიბეში – მწვანე ოქროსფრით „Marlboro Lights“. დაიწყო „უპარაშუტო ვარდნა”: სამოქალაქო ომი, „ზვიადისტები“ და „მხედრიონი“, გადასხმები, „ესპერალეს“ ჩაკერებები, ხშირი ავტომატიანი „რაუნდები“ ნარკოლოგიურში მოთავასებით, მტ-კივნეული მილიციებით, ბევრი ცემით და ნარკოტიკის ჩადებ-ით, ჰერიოდული დანებებებით, სასამართლოებით და სამწლიანი პირობითებითი სასჯელებით – 3-5 ათას დოლარად კბილებში „უმწივლო ჩეკისტებს“.

გახანგრძლივებული სიკვდილი, სეფსისის ცენტრი, სიცხე მუდმივად 39, ცახცახები, ინფექციური ჰეპატიტი, ციროზი, ას-ციტი...“

– მაიცა, შეჩერდი, ძალიან წააყარე! ახალი ზეადამიანის დაბადების შესახებ უფრო დეტალურად – რა იყო, სიკვდილს როგორ გადაურჩი?

– არ გინდა, ძმაო, „ზეადამიანები“ და ირონია!

– მე არა, ნიცშე წერს: სრულყოფის, თუ გნებავს, ძლიერი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, მძიმე სენი და დიდი ტკივილი გადამწყვეტი ფაქტორებია. ამიტომ ვახსენე...

– ძალიან გამიჭირდა, დღეს ვერც კი ვიჯერებ – ნუთუ ყოველივე ეს მე გადავიტანე, შევძელი?.. კარგი, აი, ჩემი ჯო-ჯოხეთი და განსაწმენდელი:

„დაიწყო თვითმკვლელობაზე ფიქრი, ორ-სამჯერ სხვის დასანახავად, „ბრიტვით“ ვენებიც გადავიჭირო. სულ მოკლე ხანში გავხდი გამოუსწორებელი „ალკაში“, საშინლად აგრესი-ული სიმთვრალით. ახლა უკვე ალკოჰოლის „ლომკისგან“ თა-ვის დასაღწევად მჭირდებოდა ნარკოტიკის მიღება. სამსახური სრულიად მივაგდე. გადიოდა წლები. დღეში სამოც ტაბლე-ტამდე, მხოლოდ სიბაზონ-რელანიუმ-როდედორმ-ფენაზეპამს ვიღებდი, ტრამალთან და სპირტთან ერთად! ისე მაგრად ვთ-ვრებოდი, რომ ხშირად სახლამდეც ვერ მივდიოდი და ქუჩაშივე ვიქცეოდი. გავხდი ჩვეულებრივი „ბომუი“. ამ დროისთვის უკვე ვიყავი ნარკომანიაზე ოთხჯერ ნასამართლევი გაიძვერა, რომე-ლიც 15-ზე მეტჯერ იწვა „მეჩინკოვის“ ნარკოლოგიურში.

ჯანრთელობასთან „თამაში“ კატასტოფით დასრულდა! 1998 წელს, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავვარდი ლოგინად, ძლივს ესუნთქავდი. იყო ხანგრძლივი, თვეობით მკურნალობა ინფექცი-ურ საავადმყოფოსში, კისერში გაყრილი კათეტერებით გადასხმები და გამოჯანმრთელება... ისევ ჩხერვა, ისევ საავადმყოფო. 1998 წლის ბოლოს-1999 წლის დასაწყისში, 44 წლისა, საავადმყოფოდან გამომწერეს, როგორც მომაკვდავი. „დასალოცი სიტყვა“ დედას მისმა აკადემიკოსმა ბიძამ გამოაყოლა: ჩემო კარგო, ია, რაოდენ დასანანიც უნდა იყოს, ჩვენი ბიჭი მალე, სულ ერთ-ორ თვეში გარ-დაიცვლება... წაიყვანე სახლში, ბარემ საკუთარ საწოლში დალიოს სული. შენც ნაკლები სირბილი და ხარჯი მოგიწევს”. ასე დამდეს საკაცეზე და ნამომათრიეს სახლში. დიდ ოთახში მომათავსეს, სა-დაც ვინერი, ველოდებოდი სიკვდილს და საკუთარ პანაშვიდებს ვერცევოდი... სიკვდილი გარდაუვალად ეჩვენებოდა ყველას, მათ შორის მეც. გავიდა წელი, ორი... გაუნძრევლად წოლაში დადგა მესამე, 2000 წლის ზამთარი... სამი წელი ლოგინად, სიკვდილთან ერთად გაუნძრეველი გდება... სასოწარკვეთა და ვენების ჭრა. აღ-სასრულის ათწლიანი მოლოდინი... რა სექსი, რის სექსი?!

დაა-ა... მე სიკვდილი გადავიფიქრე!.. მისუსტებული, საშინ-ლად გამხდარი ავდექი, რაც კი ნარკოტიკების დარჩინილი მარა-

გი მქონდა ღუმელში გადავუძახე და უახლოეს ტაძრამდე ძლივს მივლასლასდი. მთელი უბანი ღუმელში ამომწვარი ერთი ქვაბი პლანის სუნით დაბოლდა. სამეზობლომ შევებით ამოისუნთქა – მთვრალი დამით ალარ ილრიალებს, მშვიდად დავიძინებთო... შემდეგ იყო მედავითნეობა, მონასტერი – გერგეთის სამება. ეკლესიაში სულ 6-7 წელი დავჭყავი. ბოლოს თბილის დავუბრუნდი, ვმუშაობდი, ვწერდი. 2001 წლის დასაწყისშივე სრულიად შევეშვი როგორც წამალს, ისე ალკოჰოლს. იმ დროიდან ერთხელაც კი არ შევმცდარვარ, პლანიც კი არ მომინევია, ერთი ჭიქა ლუდიც კი არ დამილევია. ასე დავანებე თავი წამალს და შევუდექი ყოველდღიურ ცხოვრებას... ამჟამად კი – შენ გესაუბრები...

ამასწინათ მეგობრის აივანზე სიგარეჭს მოვუკიდე. მეგონა, მარტო ვიყავი, არავინ მხედავს, ყველა და ყველაფერი დამავიწყდა. ვდგავარ, ცხოვრებაზე ვფიქრობ, ვნებიანად ვექაჩები. თურმე, ოთახიდან ძმაკაცი მითვალთვალებს, მაკვირდება. დავამთავრე, შევედი. მეუბნება: „ბიჭო, ახლა გიყურებდი – რა, ავადმყოფი ხაარ! ვუცქერდი, როგორ ეწეოდი თამბაქოს, რა გულიანად ურტყამდი ღრმა-ღრმა ნაფაზებს და მივხვდი: ერთ მოქაჩვაში იყო მოქცეული ყოველივე: თამბაქო, მოსაწევი, წამალი და სექსიც კი!“

– ეკლესიაში რატომ არ გაჩერდი? რას ერჩი ანაფორიან დამრიგებლებს?

– მოკლედ, ერთი სიტყვით მოგახსენებ: „რაც ერი – ის ბერი“. გარეთ – მუდამ „მართალი“ ელიტარული ავტორიტეტები, ეკლესიაშიც იგივე – „უცდომელი ეპისკოპოსები“. ორი ლოზუნგი მაქვს ამ მდგომარეობისთვის მიძღვნილი: „ფარისევლობა – ეს არის ნიღაბი, რომლის უკან იმაღება ტოტალიტარული საზოგადოება!“ და „ფარისევლობავ – ქართველების კისერზე გამოშმული ლოდი უნდა გერქვას შენ!“

– გასაგებია, გამართლება ყველაფერზე გაქვს... ღმერთის არსებობის გჯერა?

– გაჭირვების უამს – მიწაზე განრთხმული მორწმუნე ვხდები, დალხენისას კი ღმერთი მავიწყდება და მორიგ წარმატებას საკუთარ ძლიერებას ვაწერ. წეს-ჩვეულებების მექანიკურ აღსრულებაზე დამყარებული „ტაძრული რმწენა“ უკვე გავიარე – ეს ადამიანის სულიერი განვითარების მხოლოდ საწყისი ეტაპია, რომელზეც დიდი ხნით შეჩერება არ ღირს. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში, რწმენა თავის კარიკატურად – კერპთაყვანისმცემლობად იქცევა, ხოლო თვით მორწმუნე – გაბერილ, გაამაყებულ კერპად. – ...უფრო კონკრეტულად, ის არსებობს?

– იცი... უნდა ვალიარო, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, მივხვდი, რომ რაღაც ზებუნებრივი ძალა თუ ვიღაცის „ხელი“ აშკარად განაგებდა ჩემს ბედ-ილბალს – ამაში არ შეიძლება არ დარწმუნდე, თუ მძიმე, განსაცდელებით სავსე ცხოვრებისეული გზა გაქვს გავლილი... თუმცა ასტრონომია გვამცნობს, რომ მანძილი მეზობელ გალაქტიკებამდე 25 000 სინათლის წელია, ხოლო შორეული გალაქტიკები დაშორებულია ჩვენგან მილიონობით სინათლის წლით. წარმოიდგინე – მილიონი სინათლის წელი... სინათლის სიჩქარე უდრის 300 000 კმ/ წამში, ანუ ეს გალაქტიკა ჩვენგან დაშორებულია იმდენი კილომეტრით, რამდენ წამსაც იტევს ერთი წელი და დამატებით გამრავლებული 300 000!!! საუბარია მხოლოდ „ახლომდებარე“ გალაქტიკებზე. ასეთივე გალაქტიკები გაცილებით შორსაა და რაოდენობითაც ურიცხვია!.. ყოველივე კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი მტვრის ნამცეცი ვართ კოსმოსური აფეთქებით წარმოქმნილ მილიარდობით ნატეხს შორის. ასე რომ, ჩვენი ცოდნა უზომო „შავ ხვრელებსა“ და გალაქტიკის უსასრულობაში იკარგება... ვინ რა იცის ამ სამყაროს შესახებ?! რა თქმა უნდა, არავინ – არაფერი! ზოგიერთი მხოლოდ იჩემებს, რომ იცის...

– და მაინც?!

– ვიცი, მეტყვი, ღმერთი გონებით არ შეიცნობა, ის მხოლოდ გულით შეიძლება ირწმუნოთ. დიახ, ვიცი, გეთანხმები კიდეც, და მაინც მირჩევნია, რომ გონება და გული ასეთ შეურიგებელ წინააღმდეგობაში არ იყოს ერთმანეთთან... დიდი და მნიშვნელოვანიც არაფერი მოხდება, მე ხომ მხოლოდ ერთი, რიგითი მტვრის ნაწილაკი ვარ ამ უკიდეგანო გალაქტიკაში და სხვა არაფერი... თუმცა, ისიც ცხადია, რომ ცალკე წაწილა ანარეკლია მთელი სამყაროსი და ეს უმნიშვნელო, მიკროსკოპიული წატეხი შესაძლოა იტევდეს კიდეც მას.

– კარგი, ვნახოთ... მიპასუხე, რატომ დაიწყე წერა?

– ჩემო ფუკო, ყოველდღიურობის წნევი მეტად დამთრგუნველია და, ამ თვალსაზრისით, შემიძლია, ვაღიარო: ვწერ,

რათა ყოველივეზე არ ვიფიქრო. მართალი გითხრა, თან ძალიან მეჩეარება, მე ხომ ნახევარი საუკუნე გავაცდინე და უნდა მოვასწრო, სათქმელი ვთქვა! დღედაღამ ვფიქრობ, მსიამოვნებს აზროვნების და მიგნებების პროცესი. კონკრეტულ ადამაინებზე ფიქრი ნაკლებად მიტაცებს, ამისთვის დროც არ მრჩება. ამიტომ გარკვეული გაეგოისტება მეპატიება..

— ჰო, აი, ხომ გითხარი, უკვე მომწიფდი, მზად ხარ!

— ახლა უკვე მეც ვხედავ — მართლაც, მზად ვარ. მომბეზ-რდა ეს სამყარო. გავცივდი ადამიანებისადმი. ჩემი გრძნობების გამა მერყეობს გულგრილობიდან სიძლვილამდე. როდის დაი-წყო ეს გაციება? ალბათ ბავშვობიდან. როდის გადავიდა ის საკუთარი თავისა და გარე სამყაროს ზიზღში? დღეეს? ზუსტად არ ვიცი, როდის, თუმცა ყველაფერი იქეთ მიდიოდა.

გარშემო ამდენი შური, უვიცობა, სიბნელე, ფარისევლობა... ამ მოძეზრებისგან, საკუთარი თავით უკიაყოფილებისგან გა-მომდინარეობს ჩემი დევიზის: „დღეს, ადამიანს სიგიფისგან იხ-სნის: იშვიათად — იუმორი, უფრო ხშირად კი — ცინიზმი და სარკაზმი“. აბა, გაგიგია ისეთი ბავშვი, რომელსაც სცემენ და მაინც იცინის? მე ამ ცხოვრების დედას რო შევეცი, ახლა, რაც მართლა სასაცილოა, იმაზეც აღარ მეცინება... მომწყინდა, ყველამ და ყველაფერმა დამღალა, თავი მომაბეზრა. ერთი სი-ტყვით, მარადისობისთვის მზად ვარ!

ფუკო აფეთქდა:

— კაცო, შენ აქ ალსარების ჩასაბარებლად და სინანულისთვის კი არ ხარ! ადამიანის სიაბანდი სინანული აქ არავის სჭირდება. ეგ ცოდვებზე ტირილი და ფარისევლობა აქ არ ჭრის! შეიძულე იმიტომ, რომ ის საზიზღრად უსამართლოა — და მორჩა!..

* * *

ფუკოს ლექციიდან ვუდსტოკში „შეშლილი პროტესტანტების“ შეკრებაზე

...დასასრულს მინდა გაგაცნოთ ის, რაც მან გადმომცა, სანამ ყოველდღიური ყოფის მიმართ საბოლოოდ გაცივდებოდა და ჩვენ მიმართ გაქვავდებოდა, ანუ დაგვტოვებდა. აი, უკანასკ-

ნელი ამოფრქვევა: „...მე მათ იმავეთი ვერ ვპასუხობდი, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი მათი დატოვება იყო. არა და მე ისინი ადრე მიყვარდა, ვენდობოდი მათ, მათი მსახურებაც კი მომწონდა... მაგრამ ამდენი ტკივილი... ეს მხოლოდ დაცვითი რეფლექსია და მეტი არაფერი“, — დაასრულა მან და ვულკანური ლავა გაცივდა. მაგიდაზე კონვერტი იდო. „ოჲ, რას ნიშნავს, ეპისტოლარული უანრის ტრფიალი! ავტობიოგრაფიის ბოლო, მაინც წერილით“, — გაღიმებულმა, კონვერტი გავხსენი:

ა ნ დ ე რ ძ ი

„...როგორც იცით, ჩემი მონათხრობი ფუკოში ტექსტად იქცეოდა. ამის შემდეგ ფუკოზე არაფერი ვიცი. თუ თქვენ ახლა ტექსტს კითხულობთ, ეს ფუკოს დამსახურებაა, მაშასადამე, ის თქვენთანაა. ჩემი ვნებებით და პიროვნული თვისებებით გაჯერებული, დოქტორი ფუკო თქვენ შორისაა. იმედია, ფუკო წერს, სწავლობს, რათა სიტყვათა იდეალურ შეთანხმებასა და ტექსტის მელოდიურ უღერადობას მიაღწიოს — შექმნას ლიტერატურული სიმფონია. ეს მხოლოდ ვარაუდია, მე ამის შესახებ არაფერი ვიცი და ეს არც მაღლვებს.

საუბრის, ფიქრის უნარი დავკარგე. არც ემოციები შემრჩა, არც განცდები და სურვილები მანუხებს. არ მინდა ზოგიერთებივით ვიპაკაზუხო და დავიჩემო, რომ პეპელაც ვარ. არა, მე მხოლოდ მისი ფრთების ფართატის სხაში შემიძლია ვიყო. პეპელა ხომ ცოცხალია და ესე იგი, მას სტკივა და განიცდის საკუთარ ხანმოკლე ცხოვრებას — ერთბაშად, ბევრს. ეს ალბათ მეტად რთული ასატანია, ან პრიქეთ, შესაძლოა, ყვავის ცხოვრებაა ყველაზე სასტიკი, რადგან ის ძალიან იღლება ცხოვრებისა და დაბერებისგან.

ასეა თუ ისე, ტკივილსაც ვერავინ მაყენებს, რადგან ხეც კი არ ვარ, მე, უბრალოდ, ეთერში ვარ, როგორც ფოთლის შრიალი, როგორც ჩიტის გალობა. ხეს აქვს ემოცია, განცდები, რადგან ისიც ამოდის, იზრდება და ხმება, ჩიტისაც სტკივა და სცივა, მე — არა. ჩემში ყოველივე ორგანული მოკვდა, არ შევდგები ცოცხ-

ალი უჯრედებისგან. ყოფიერებაში ვარ განზავებული, ნისლსა და ღვარცოფში, ღრუბელსა და ელვაში.

არც ის ვიცი, არის ამ ღრუბლებში სხვა ჩემსავით, ყოფილი „მეები“. თუ ჩვენ ბევრნი ვართ კიდეც, ერთმანეთს არ შევიგრძნობთ, ხელს არ ვუშლით და არც ერთმანეთის გვშურს. ერთმანეთი კი არ გვიყვარს, არამედ ნეიტრალურად თანავარსებობთ.

ვერც დროს შევიგრძნობ, მე მარად ვიყავი – გუშინ, დღეს და ხვალაც ვიქნები. გალაქტიკაში ვარ – ვარსკვლავების ციმციმში, ლამესა და დღის სინათლეში... და თოვლის ფანტელების ვარდნის ხმასა და სიჩუმეში...

თოვლის ფანტელი დნება და წყლად იქცევა – გემშვიდობებით, დროებით, სანამ მარადისობაში შემიერთდებით, თუ, რა თქმა უნდა, ეს ბედნიერება ოდესმე გეწვიათ.

ისე, კანონზომიერი შედეგია – მობეზრება, ზიზლი, სარკაზმი, გამოუვალი მდგომარეობა – კიდევ კარგი, გადავრჩი და ამ ცხოვრებისთვის მოვკვდი – ემოციებისგან, ვნებებისგან, ცუდისგან, კარგისგან დავიცალე და კოსმოსს შევუერთდი... თვით გავხდი მარადიული.

ქვადქცეული გაუნდრევლად და ცივად ვდევარ, ქართან ერთად დავქრივარ, მზის სხივებში ვარ და ვათბობ, თოვლში ვარ და ვბარდნი. თუ თქვენს ფანჯრებზე წვიმის წვეთების კაკუნი მოგესმათ, იცოდეთ – ეს მე ვარ, თქვენთან სტუმრად მოსული. გტოვებთ, კარგად...“

ნაწილი III. დღეს – ფუკო

ცერიტი მეშვილე: სხოვრება მოაზროვნე ძალლისა
დამოსი და alter ego-სი მისისა ფუკოსი

მონატრებულო N, ეს ტექსტი განვლილ ცხოვრებასა და შენზე ფიქრებში დავწერე – ის პირადად შენ გეკუთვნის. გულწრფელად ვაღიარებ, მინდა ყოველივე მოგიყვე, აგიხსნა და... ალბათ, თავიც მოგაწონო. ერთი სიტყვით, ნახე.

ფუკომ კიბეზე ჩაირბინა. ლიფტი გამოიძახა და იქვე, კიბის ბაქანზე მიწოლილ დემოს გადახედა:

– აი, ძმაო, ესაა მწერალი!

ძალლმა ძილისგან დაწითლებული თვალებით ზანტად ახედა.

– ჰერმან ჰესე – გერმანელი მწერალია... მწერალი კი არა, ფილოსოფოსია – „ტრამალის მგელი“!

გერმანის ხსენებაზე დემოს მაღაზიის გამყიდველის მიერ დამადლებული ძეხვი გაახსნედა, – ჰა, ჭამე, უბრალო არ გეგონოს, გერმანულიაო. განსაცვიფრებელი არომატის ბურუსში გაეხვა და პირი ნერწყვით აევსო. თვალები მიღულა, ძეხვის გარეკანზე, სავაჭრო ნიშნის სახით გამოსახული, წითელკრამიტიანი სახურავებითა და განკრიალებული ქვაფენილით, ქალაქი წარმოუდგა. ამასობაში ლიფტის კარი გაიღო და ფუკო დაეშვა. დემომ ფიქრი განაგრძო. ის მაღალი მგძნობელობით გამოირჩეოდა და ამიტომ ზოგადად გამოთქმულ მოსაზრებასაც საკუთარ თავზე იღებდა. ახლაც ასე მოხდა – ტრამალის მგლის აღფრთვანებით ხსენება, მდაბიო სტატუსის შეხსენებად აღიქვა. დემოს საკუთარი, ძალური ბუნების შერცხვა კიდეც. უნდოდა, ეთქვა, მაგრამ, უტყვობის გამო, მხოლოდ გაიფიქრა:

– ეჱ, ტრამალის მგლები გერმანიაშია, იქ ფილოსოფია ფასობს, ძეხვის პრობლემაც დიდი ხნის დაძლეულია... არც ძალებს ურტყამენ მუჯლუგუნებს. ჩვენში მხოლოდ ქუჩის ძალლის წოდებამდე თუ ამაღლდები... თუმცა, ვინ იცის, მეტ სიბრძნეს რომელი ფლობს – ფილოსოფოსი თუ მოხეტიალე მწირი?

დემოს შეეძლო სოციალური სტატუსის გაუმჯობესება, მაგრამ არ მოინდომა. სანამ ფუკოსთან სახლში ცხოვრობდა, პარმი პატრონთან ერთად დარბაისლური გასეირნებისას ჯიშიანი ძუენები მუდამ წყლიანი თვალებით აცილებდნენ. მათთან დაახლოებაც სცადა, მაგრამ ამ ძალლების ადამიანისადმი უპირობო, მხოლოდ კუჭის ძახილზე დაფუძნებული მორჩილება მეტისმეტად აღიზიანებდა. მას ქუჩაში მარტო ხეტიალი და, სადარბაზოში გაშხლართულს, იმ დღეს ნანახზე, წარსულზე ფიქრი იტაცებდა. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ დემოსა და სხვა ძალლებს შორის გაჩენილი გაუცხოება მხოლოდ მისი განდევილობის ბრალი არ იყო. გარკვეული გალიზიანებით, მაგრამ დემოც აღიარებდა, რომ არც ჯიშიანი ძალლები სწყალობდნენ დიდად (ადამიანების ენაზე – ულრენდნენ) და თავიანთ ვიწრო წრეში არ იღებდნენ. ეს სწობური იგნორირება იმითაც აიხსნებოდა, რომ ქუჩებსა თუ სადარბაზოებში განმარტოების გამო, დემოს ბეწვი გაექცა, მან გაცვეთილი, არაპრეზენტაბელური იერი მიიღო. ეს კი ჯიშიანი ძალლების გალიზიანებას, თითქოსდა, სამართლიანს ხდიდა. დამატებით საკუთარი ჯიშიანობითა და სილამაზით აღტაცებული ელიტარულები დემოსგანაც მუდმივ მლიქვნელობას მოითხოვდნენ, რაც მას მალევე ბეზრდებოდა. ძალლების უმრავლესობის შაბლონურ აზროვნებაზე, ხროვებად ყოფნის მიდრეკილებასა და „ბარსონფი დიდისადმი“ მონურ მორჩილებაზე ხომ საუბარიც არ ღირდა. ასე იყო თუ ისე, მწირმა ძალლები დაივიწყა და გადაწყვიტა: „მოდი, ადამიანებთან ვიქონიებ ურთიერთობას, ისინი ხომ უფრო გონიერი არსებები არიან. ოღონდ – მე ჩემთვის, ისინი – თავისთვის, გარკვეული დოზით, სანამ ინტერესთა თანხვედრა გვექნება... რაღა თქმა უნდა, ურთიერთპატივისცემა – აუცილებელი პირობაა“. ასეც მოიქცა.

დასაწყისისთვის, საკვლევი არეალი მონიშნა. სარჩო-საბადებლით უზრუნველყოფა თავისი მრავალსართულიანი კორპუსის ეზოდან გაუსვლელადაც შეეძლო. გარდა სურსათის მაღაზიის გამყიდველისა, ფუკოც ხშირად უდებდა საჭმელს. მაინც ბევრს დაწანნალებდა. ინტელექტს, ანალიტიკური აზ-

როვნების უნარსა და განათლებას არა თუ აფასებდა, არამედ ამ თვისებებზე აფანატებდა კიდეც. უბნის შემოვლისას შედარებით ახალგაზრდებს ირჩევდა და მათ მიჰყებოდა ხოლმე. ბანკის ფილიალის ლამაზმანებს აეკიდა, მაგრამ მათი საუბარი მეტად მხიარული და ზედაპირული ეჩვენა. ერთხელაც სიტყვა – „ტოტალიტარიზმის“ მოჰკრა ყური – წინ ორი ახალგაზრდა მამაკაცი საქმიანად მიაბიჯებდა. მიუახლოვდა, საუბარს ყური მიუგდო...

ტერმინის კონტექსტის დადგენისას ის მიხვდა, რომ „ტოტალიტარიზმი“ ადამიანთა მცირე ჯგუფების მიერ დიდი კოლექტივების ყოფა-ცხოვრებაზე ტოტალურ კონტროლს გულისხმობდა. ძალლების ხროვასა და მათ ბელადებს ადრეც ვერ იტანდა, ამჯერად კი, ძველი ცოდნა ახლად შეძენილ ტერმინოლოგიას დაუკავშირა. დროთა განმავლობაში, სიტყვის არსის გააზრების შემდეგ, ყველივე კონსერვატიულს, ძალადობრივსა და თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულს, იყო თუ არა საჭირო, უადგილოდაც, „ტოტალიტარული“ უწოდა. ასე დაიყო მის ცნობიერებაში ინდივიდები ერთი მხრივ, „ტოტალიტარულ დეიდებად თუ ბიძიებად“ და მათ „ტოტალიტარულ შვილებად“, ხოლო მეორე მხრივ, „პროგრესულებად“. ამასთან დაკავშირებით, ბულგარული ქათამივით გასიებული „ტოტალიტარული სენბერნარი-დეიდისა“ და მისი ორი ჩასუქებული ქალიშვილის მაგალითი მოჰყავდა, – საკუთარი ოჯახის უმანკოებით მოხიბლული დედა-შვილი, მთელი დღე უქმად დგას და გაპრანქული ძუკნისა თუ მოკლეშორტიანი გოგოს გამოჩენისას, იქაურობას ყეფით იკლებსო.

დაკუბრუნდეთ ორ ახალგაზრდა საქმიან მამაკაცს. ისინი შავი შუშის შენობას მიადგნენ. შესასვლელს წითელი, მომრგვალებული ასოებით შესრულებული წარწერა ამშვენებდა – უურნალი „ცხელი ტაბურეტი“. დემო შენობაში არ შეუშვეს, ეზოდან მოუარა. ყველაფერი დასუნა, მონიშნა კიდეც. მცველს სიყვარულით ახედა... სულ რამდენიმე დღეში, დემო უურნალ „ცხელი ტაბურეტის“ თანამშრომლების საყვარელი არსება გახდა. შიდა ეზოში სიგარეტის მოსაწევად გამოსული გოგო-ბიჭების ყურადღების ცენტრადაც იქცა და მათ საუბრებსაც გულისყუ-

რით უსმენდა, სიტყვას არ ტოვებდა. შემდეგ კი სადარბაზოში ადიოდა, კიბის ბაქანზე წვებოდა და ძილშიც კი ფიქრობდა, ფიქრობდა და მიღებულ ინფორმაციას აანალიზებდა...

„ტაბურეტელების“ კვლევა არ იქმარა და, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ, მემარცხენე ინტელექტუალური წრებიც მოინახულა. მათიც მოისმინა. კვლევა გააფართოვა. ნაირნაირი არასამთავრობობი, ლიტერატურული კაფეები, უურნალ-გაზეთების გამომცემლობები და გამოფენები მოიარა. მალევე დარწმუნდა, რომ ამ ელიტარული წრების ადამიანებს წიგნებიც ბევრი წაეკითხათ, განათლებაც საკმაო მიეღოთ, მაგრამ იდეალების დაცვისთვის, არა თუ თავის განირვა, რაიმეს მოკლებაც კი არ სურდათ. დემომ დაინახა, როგორ ადვილად იცვლიდა ეს ხალხი, „ძეხვის“ ხათრით, პრინციპებს. მათი ცოდნაც, ხშირად, იმ მომენტისთვის მოდურ სფეროს მოიცავდა და თავის წარმოჩენასა თუ საკუთარი თავით ტკბობას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე სიცრუის მხილებასა და ჭეშმარიტების დამკვიდრებას. ყოველივე ამის გვირგვინს კი ელიტარულების სექტებად ორგანიზება იყო. ამაზეც ბევრი იფიქრა და მიხვდა, რომ მხოლოდ კრიტიკისა და კონკურენციის გარეშე შეეძლოთ, უზრუნველად ეარსებათ გაბატონებულ ცრუ-ავტორიტეტებსა და მათ მრევლს. ამ სექტების მთავარ იარაღს ახლად გამოჩენილი ტალანტის სრული იგნორირება წარმოადგენდა, რათა ის უცნობლობაში ჩამოვდარიყო. თუ ვინმე მაინც გაბედავდა და საკუთარ ნიჭს წარმოჩენდა, კლანებში გაერთიანებული ელიტარულები, წინამდლოლის ბრძანებით, ცოფიანი ძალების ხროვასავით მზად იყვნენ, შესეოდნენ მას და ისე გაენადგურებინათ. „გასაკვირია ისიც კი, რომ ადამიანები, თუნდაც სირბილში, ოქროს მედალს სწორედ ყველაზე სწრაფ სპრინტერს აძლევენ და არა ტოტალიტარული სექტის რჩეულსო“, – ამ ეტაპისთვის მისთვის უკვე დამახასიათებელი სარკაზმით დაასკვნა მან.

დროთა განმავლობაში დემომ რამდენიმე მეგობარი მაინც გაიჩინა და მათთან ვიზიტებით გაჰყავდა დღე. ეს ადამიანები მანანალა ძალლისთვის გაღებული სიკეთის ხარჯზე საკუთარ თავსაც უკეთესად წარმოიდგენდნენ. მართალია, ხელით არა, მაგრამ სიტ-

ყვით ნაზად ეალერსებოდნენ და საჭმელსაც ხშირად აჭმევდნენ. თუმცა, საკვებიც ისეთი იყო, როგორსაც ჯიშიანი ძალლი არც კი იკადორებდა. ამ ხერხით იყუჩებდნენ დემოს მეგობრები სინდისს და ყოველდღიურ ყოფასა თუ სამსახურში ჩადენილ უმსგავსობებს, დროებით მაინც, ივინყებდნენ. იმხანად მანანალა ძალმა საკუთარ თავს „ადამიანთა სინდისის მკურნალი“ უწოდა.

...მას ფუკოსთან გატარებული წლები გაახსენდა. არც ფუკო წყალობდა კოლექტივს, ლუდის დასალევადაც კი არ ჩადიოდა ეზოში დომინოს მოთამაშებთან, ძველ მეგობრებსაც დაშორდა.

მთელი დღე კომპიუტერის კლავიატურაზე აკაკუნებდა – მუდამ რაღაცას წერდა და ნააზრევს დემოს უზიარებდა. დემოც უსმენდა და სიყვარულის ნიშნად კუდს უქიცინებდა. გვიან ლამით ფუკო იძინებდა და დემოც გვერდით სავარძელში წვებოდა. ფუკო თბილ ხელს დემოს ლოყის ქვეშ უცურებდა და ორივე ერთად იძინებდნენ. როდესაც ფუკო გვერდს იცვლიდა, ის ხელს იღებდა, რასაც დემო სასტიკად აპროტესტებდა და ზურგში ცხვირის მიკვრით მეგობარს ლოყის ქვეშ მეორე ხელის ამოდების აუცილებლობაზე მიანიშნებდა. ფუკო ძილშიც ფიქრობდა. უცებ ილვიძებდა და ბლოკნოტში ჩანაწერებს აკეთებდა. შემდეგ ისევ იძინებდა და იქვე, უცებ, რაღაც აზრი მოსდიოდა და ისევ ბლოკნოტს იღებდა. კარგი დრო იყო – თბილი... მწერალს ხანდახან ქალებიც მოჰყავდა და მათ ვნებიანად ეფერებოდა. დემო ოდნავ ეჭვიანობდა კიდეც, თუმცა, ზუსტად იცოდა, რომ ფუკო მათ სახლში არ დატოვებდა და ერთ-ორ საათიანი სექსის შემდეგ გააცილებდა... ნინი კი დარჩა და, როგორც გაირკვა, დიდი ხნით. მას ძალლის ბენვზე სასტიკი ალერგია ჰქონდა და დემოსაც სადარბაზოს ბაქანზე გადასახლება მოუწია. „ეპ, ყველაფერი, რაც ხდება, უკეთესობისკენ არისო“, – იმხანად, ჯერ კიდევ გააზრების გარეშე გაიმეორა ფუკოსგან გაგონილი ფრაზა. შემდეგ უკანასკნელი წლების გამოცდილებამ საბოლოოდ დაარწმუნა ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში: „რომ არ წამოვსულიყავი, ვერც ამდენს გავიგებდი და ვერც დამოუკიდბლობას მივეჩვეოდიო... თავისუფლება კი მთავარი რამ ყოფილაო. ვინც ეს ვერ გაიგო, ჩათვალე, არც უცხოვრიაო...“, – დაასკვნა მან.

ძალლის დაკვირვებები ადამიანთა საზოგადოებაზე, რაღა თქმა უნდა, გაგრძელდა. შემდგომი ხარისხობრივი ნახტომი, რომელიც დემოს ცნობიერებაში ტოტალიტარიზმის ცნების გააზრებას მოჰყვა, ეს იყო კოლექტივიზმისა და ფარისევლობის არსში წვდომა. ძალლმა შეამჩინია ადამიანთა სწრაფვა დიდ ჯგუფებში გაერთიანებისკენ, რათა ამ გზით, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობა აეცილებინათ, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული ინდივიდები და მათი განსხვავებული აზრი ადვილად დაეთვრებათ. სწორედ ეს მიზეზები აიძულებდა ადამიანებს, გაერთიანებულიყვნენ „ერთმორწმუნე“, უსახურ მასაში, სადაც გარანტირებული იქნებოდა კომფორტული და უპასუხისმგებლო არსებობა. კოლექტივიზმის შეფასება დემოს გამჭრიას გონებას დიდად არ გასძნელებია – მას ხომ წინ ძალლების ხროვის მაგალითი ჰქონდა. სწორედ თანამოძმეულთან შედარების გზით, დემომ დასკვნა, რომ კოლექტივში ადამიანი ისე დაცულად გრძნობს თავს, როგორც ძალი – საკუთარ ხროვაში, ან ცხოველი – საკუთარ ჯოგში.

არც ამ კოლექტივებში გაბატონებული სიცრუის დანახვა იყო ძნელი. უმრავლესობის ტოტალური კონტროლი უმცირესობაზე სრულიად აუცილებელს ხდიდა ტაბუირებული მორალური ნორმების ზედმინევნით დაცვას. შედეგად, საზოგადოებაში არქაული დოგმებიდან გადახვევაში მხილების შიში გამეფდა. სწორედ ეს შიში ამონებდა ადამიანებს და აიძულებდა ინდივიდს, საკუთარი ბუნების წინააღმდეგ წასულიყო. ადამიანი იძულებული იყო, ორმაგი მორალური სტანდარტებით ეცხოვრა – ერთი ელაპარა და რეალურ ცხოვრებაში მეორე ეკეთებინა. ასე მივიდა დემო იმ დასკვნამდე, რომ ფარისევლობა საკუთარი სიბნელის დაფარვისა და კოლექტიური ცნობიერებისადმი დამორჩილების (ანუ მონობის) გამართლების ხერხია. „ფარისევლობა – ეს ნიღაბია, რომლის უკან იმაღლება ტოტალიტარული საზოგადოება“, – შეაჯამა მან და წარსული ცხოვრებიდან თავისი დიდი სიმპათის აბიექტი, ცისფერთვალება ბერტა გაახსენდა. მეტად მიმზიდველი და დახვეწილი მანერების ციმბირული ლაიკა თავს გურმანობით იწონებდა, ხოლო როდესაც საქმე საქმეზე მიდგა,

დემოს მიერ მინაში საგულდაგულოდ გადანახული ფრანგული პაშტეტი ბულგარულად მონათლა... სექსშიც მეტად მორცხვი, პასიური და ულიმლამო იყო, – გაიხსენა.

ჰო, რადგან დემოს საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობა ვახსენეთ, ბარემ გადავხედოთ იმასაც, რა მეტამორფოზები განიცადა მოაზროვნე ძალლის „ძირითადმა ინსტიქტმა“. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარების განვითარებასთან ერთად, ასაკოვანი დემოსთვის პოლიგამიური წანწალის ხანა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა. აქვე გაგიმხელთ მისი იმუამიდელი გატაცების ობიექტსაც – ეს იყო ულამაზესი შავი ინგლისური კოკერ-სპანიელი, გრძელი, დაბლა ჩამოყრილი ყურებით და ფუმფულა ბენვით, მუდამ აქტიური და მხიარული – მატილდა.

უყვარდა თუ არა დემოს მატილდა? ამ კითხვას ხშირად უსვამდა საკუთარ თავს... რა თქმა უნდა, უყვარდა და თანაც ძალიან! მაგრამ თუ, მაგალითად, უცებ გაჩენილი ნდომის დასაკმაყოფილებლად მატი მახლობლად არ იყო, ან არ ეცალა, დემო, თეორიულად მაინც, უშვებდა სქესის შესაძლებლობას სხვა მდებრობითი სქესის წარმომადგენელთან. იქნებოდა თუ არა ეს ღალატი? ალბათ იქნებოდა, რადგან ამგვარი ფიქრები მამრში სასტიკ სინდისის ქენჯნას იწვევდა – ნორჩი „მატი-მატილდინა“ ასაკოვანი დემოს მიმართ ხომ ისეთი მოსიყვარულე და ალერსიანი იყო. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ღალატზე ფიქრები იშვიათად მოსდიოდა და იმუამად მისი გული პრაქტიკულად განუყოფლად მატილდას ეკუთვნოდა.

„მატი-მატილდინა“ მართლაც გასაოცარი არსება იყო! დემოს მანამ არასოდეს შეხვედრია მდედრში ასე ბუნებრივად შერწყმული პირველქმნილი გულის სისუფთავე და პირველყოფილი თავისუფლება სექსში! კოკერ-სპანიელ მატის დემო თან ძალიან უყვრადა და, იმავდროულად, მას სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. მატილდინა ოდნავაც არ ცდილობდა დემოს პირად ნივთად გადაქცევას, როგორც იტყვიან – მის „პრივატიზებას“. თვით დემოც ძალდატანებით მოვალეობებსა თუ ოჯახზე ყოველდღიურ ზრუნვას თოფის გასროლასავით გაურბოდა. ამ მინიჭებული

თავისუფლების გამოც უყვარდა მატი და ხშირად იხსენებდა მეზობელი სადარბაზოდან ინგლისური სეტერების ოჯახს: „ფუუ! ეზოში ყველას დასანახად ფარისევლური ლაქუცი და ერთმანეთის აუტანლობა... ამასწინათ ავტოფარეხის უკან გერმანული ნაგაზი რას უქანავებდაა!“

„დრო მიედინებოდა. პლანეტები დემოს გარეშეც მოძრაობდნენ, მზეც თავისით ჩადიოდა და ამოდიოდა. სამყარო თავისი კანონებით ცხოვრებას განაგრძობდა. დროთა განმავლობაში ძალლი მიხვდა, რომ თვისტომის დატოვება და ადამიანებთან ყოფნა მას გულის გატეხისგან ვეღარ იხსნიდა. დემოს ოდესლაც მოსიყვარულე გულმა გაციება იწყო... მაგალითად, ადრე ქუჩის მეძავებს მუდამ ესარჩეობოდა და აბეზარი კლიენტებისგან თავის დაღწევაში ეხმარებოდა. ამჟამად იმ უბანში გასვლაც კი ეზარებოდა. ამასწინათ, ქუჩაში მიძინებულ, გადამთვრალ მანანნალას გადააწყდა. ადრე დემო არა თუ დაყნოსავდა და მარტოსულს სახეს აულოკავდა, არამედ იქაურობას ყეფითაც აიკლებდა. ახლა კი ადამიანებმა უხეშობითა და უმაღლერობით ისე შეაზიზეს თავი, ყოველდღიური ყოფის წნებმა ისე დაღალა მოაზროვნე ძალლი, რომ თითქმის გულგრილად ჩაურბინა, ოდნავ აუჩქარა კიდეც სვლას, რათა დროზე გასცლოდა იმ ადგილს და სინდისის ქენჯინით ნაკლებად შეწუხებულიყო. რა იყო ამ რწმენის დაკარგვის მიზეზი – ზოგადად სამყაროში სიყვარულის კლება თუ ასაკით გადაღლა და დაგროვილი წყენა – ეს მან არ იცოდა. ალბათ, ორივე ერთად. თუმცა ფაქტია – დემოში სიკეთის კეთებისა და სითბოს გაცემის მოთხოვნილებამ მკვეთრად იკლო. ამგვარი იმედის გაცრუება სულაც არ ნიშნავდა მორალური ნორმებისა თუ ძირითადი პრინციპების ღალატს და, გარშემოყოფების მსგავსად, შურითა და ბოლმით ცხოვრებას. არა, ის, უბრალოდ, გაცივდა და საგრძნობლად გაუხეშდა კიდეც.

ამ ძოლო დროს, რაც ადამიანებმა ძლიერ გაანაწყენეს, დემომ ღრენას უმატა, ხშირად უმიზეზოდაც ყეფდა. ერთი სიტყვით, მოხეტიალე ძალლს უსამართლობა ყელში ამოუკიდა. მთელი შეგნებული ცხოვრება მან უხმო მორჩილებასა და მეგო-

ბრების მსახურებაში გაატარა. ჩვეულებისამებრ, ადამიანები-სგან მიყენებული გულისტკენის უამს, წაინკმუტუნებდა ხოლმე და შემდეგ სხვისი უხეშობით იქეთ დარცხვენილი, უხერხულობის გასაქარწყლებლად, თავხედს მლიქვნელურად კუდს უქიცინებდა და დამნაშავის გამომეტყველებით ქვემოდან შესციცინებდა. თითქოს ეუბნებოდა: შენ არაფერ შუაში ხარ, ეს მე ვარ ცუდი და ჩემი ბრალია, რომ შენ გალიზიანდი და წიხლი ჩამცხეო. არც თუ იშვიათად, ახლო მეგობრები საჭმელსაც კი აყვედრიდნენ, – ჩვენთვის არაფერი გვაქვს და თავი ნუ მოგვაბეზრეო. დემო შეურაცხყოფას არ იმჩნევდა, არც იბუტებოდა და გულში წყენა, მაქსიმუმ, დღის ბოლომდე თუ გაჰყვებოდა. ამჟამად კი ის უკვე აგრესისთვის ისეთ მზადყოფნას ასხივებდა, რომ მისთვის შეყვირებასაც ვერავინ ბედავდა.

სწორედ ამ გულგატებილობის უამს დემოში, ფუკოს მსგავსად, ცხოვრებისეული გამოცდილების განზოგადების, მოყვასისთვის ნააზრევის გაზიარების სურვილმა იფეთქა. ამ საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზას ყოველივეს გაანალიზება და შემდეგ ქალალდზე გადატანა წარმოადგენდა, რაც, დემოს შემთხვევაში, შეუძლებელი იყო. სამყაროს შექმნისას შემოქმედმა, მოაზროვნე მანანნალა ძალლების არსებობა თითქმის არ გაითვალისწინა, ხოლო მათში მნერლობის დაუოკებელი უინის გაჩენა ხომ, საერთოდ, მხედველობიდან გამორჩა. ცხადი იყო – დემოს ოცნებას განხორციელება არ ეწერა. მანაც ან უკვე ჩვეულ ხერხს მიმართა და თავისი უსაზღვრო ფანტაზია მოიხმო. ნაირნაირი სცენარების წარმოსახვაში გათამაშების შემდეგ, სიზმარი იხილა:

„...დემო მიადგა უურნალ „ცხელი ტაბურეტის“ გამომცემლობას, რომელშიც განთავსებული იყო ძალლების ფილიალიც. შესასვლელშივე, მაგიდასთან, თეთრი, კისერზე იისფერი ბაფ-თით, ხორჩი პუდელი იჯდა და უსასრულობის ღაბირინთებში თავის მომხიბვლელ მომავალს ჭვრეტდა. მოწიფული, საკმაოდ შელახული იერის დემოს დანახვაზე ნაზი პუდელი ისე შეცბა, რომ თეთრი კულულები ერთიანდ შუბლზე ჩამოეშალა. ტურ-ფამ ოქროსფერფილტრიან სიგარეტს მოუკიდა და მოულოდ-

ნელ სტუმარს მზერით გზა გადაულობა... შემდეგ იყო საცხოვრებელი ადგილიდან და ჯანმრთელობის ცნობა, ჯიშიანობის დამადასტურებელი საბუთი და მრავალი სხვა ბიუროკრატული ფორმალობა. ბოლოს და ბოლოს დემომ მთავარ რედაქტორამ-დე მიაღწია. ეს იყო წითური ტაქსას შავსათვალიანი ძუკნა, რომელმაც სტუმარი კაბინეტში მიიპატიუა. დემო რედაქტორს ლვთაებასავით უცქერდა და სიტყვებს ვერ პოულობდა, რომ მისდამი კეთილგანწყობა და მოწინება გამოეხატა. ისლა მოახერხა, სიყვარულით თვალებში ჩასხდა და ძლივს ჩაილულლუდა: „თქვენ, ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა საქმეს მიკეთებთ!“. მანანნალას გასაკვირად, „ღმერთ-ძალლი“ პირდაპირ საქმეზე გადავიდა და მწერლების შეკრების დრო ამცნო. დამშვიდობებისას ტაქსამ ღრმად ამოსუნთქვას მეტად ბუნდოვანი ფრაზა ამოაყოლა: „ბატონო დემო, მწერლობა – აზვირთებული ოკეანეა! ეს დანაღმული ველია, სადაც ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს...“. ემოციებისგან დაცლილი, მაგრამ შთაბეჭდილებით საკუთარი და დამავალს დიდი ოპტიმიზმით აფასებდა. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ ახერხებენ ძალლები წიგნის დაწერას, მათ კიდურს ამისთვის ხომ მტევანი სჭირდებოდა?..

შეკრება საღამოს შვიდ საათზე შედგა... მწერალი ძალლების მიერ ატეხილი ყვირილისა და აყალმაყალის გახსენება, კარგა ხნის შემდეგაც, უკიდურეს სასოწარკვეთაში აგდებდა.

...მკრთალი სინათლე. დარბაზში მხოლოდ დემო ზის. რიგითი მწერლები ლოჟებში სხედან. ამაღლებულ სცენაზე, წინ, პრეზიდენტის წევრები ერთმანეთს გამოსვლას არ აცლიან. ორატორები, ანითლბული სახეებით, ლამის კივილით, ერთიმეორეზე საფუძვლიან არგუმენტებს ასახელებენ, თუ რატომ არ შეიძლება დემოსთვის წერა. მორიგი მიზეზის დასახელებისას დარბაზში მჯდომ დამნაშავეს გრძელი მათრახი თავში მწარედ ხვდება. ჯალათი სადღაც უკან დგას, სიბნელეში და არ ჩანს. დასახელდა „ათასი მიზეზი, რატომ არ შეიძლება გახდე მწერალი“, მათ შორის: ადამიანები ასოციალური არსებების ისტორიებით არ ინტერესდებიან და ამიტომ დემოს ასე თუ ისე სოლი-

დური ძალლის რეპუტაცია კოლეგების დაცინვას შეეწირებოდა; მანანნალა, ადამიანებთან შედარებით, სრული უწიგური იყო და მხოლოდ ნანახითა თუ განაგონით ხელმძღვანელობდა, რის გამოც მას ინტელექტუალების მწარე ირონია არ ასცდებოდა; ისიც ითქვა, რომ მწერლობით თავის გატანა შეუძლებელი იყო, რადგან ადამიანები ძალლების საპონორარო ძეხვის უდიდეს ნანილს თვითონვე მიირთმევენო... და მრავალი სხვა. ყველა არგუმენტი ამხელდა დემოს ასაკისთვის შეუფერებელ ახირებას, როგორც ინტელექტუალური ფუფუნებისა და გართობის დაუოკებელ სურვილს... აკრძალვების თემამ ისე შეიძყრო გამომსვლელი, რომ სხდომა შვიდი დღე და შვიდი ღამე გაგრძელდა. დასასრულს, მისავათებული, ხმაჩახლეჩილი პრეზიდენტი ერთ ფორმულირებაზე შეჯერდა, რომელიც დასკვნით პროტოკოლში შეიტანეს. მწერალთა კავშირის ვერდიქტი ჯალათმა დემოს შუბლზე სპეციალური შანთით ამოუწვა: „ყველაფერი მოაზროვნე ადამიანებმა უკვე დაწერეს!“. მტკიცნეული პროცედურა უხმოდ დაითმინა...

...ახალგაღვიძებულმა დემომ თავი სასწრაფოდ ტომრის ქვეშ შერგო და, ერთი საათი მაინც, გაოფლილი, სიბნელეში მშვიდდებოდა. ათასი აზრი უტრილებდა... მეტად გასაოცარი მის ხილვაში იყო ის, რომ ყველა კრების მონაწილეს თითო წიგნი მაინც ჰქონდა გამოცემული, რაც სწავლული ძალლების მიერ დემოსთვის მწერლობის აკრძალვას სრულიად აუხსნელს ხდიდა. თხრობის თანამიმდევრობას დავარღვევ და წინასწარ გამცნობთ, რომ კრებულის გაშმაგების მიზეზი დემოსთვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩება... ამას გარდა, უკვე მომდევნო დღეებში ხშირად ფიქრობდა, როგორ წერდნენ მასსავით უხელო ძალლები წიგნებს?.. ვითომ მათ მაგიერ ადამიანები ქმნიდნენ და ძალლები მხოლოდ იჩემებდნენ, რომ თვითონ დაწერეს?

ასე იყო თუ ისე, მწერლობაზე ოცნება წარსულს ჩაპარდა. დემოს მარტოობის მძიმე განცდისა და პესიმიზმის ხანა დაუდგა. მიუხედავად განდევილობისა, დილის გასეირნებისას დემო ეზოს ძალლებთან ზედაპირულ საუბრებს მაინც აბამდა. მოხეტიალე მწირისა და მოაზროვნის სტატუსი მას

გარკვეულ უპირატესობას თავისთავადაც ანიჭებდა, რაც უბნელ ძალებს საკმაოდ აღიზიანებდათ. ამას გარდა, გარშემო გამეფებულმა სიბნელემ დემო აიძულა, საუბარში არა მხოლოდ ირონის, არამედ მწარე სარკაზმის წილიც მეტად გაეზარდა. ყოველივე ეს კი, ადრე თუ გვიან, ბარსონოფი დიდის ხელუნვდენელ იპოსტასზეც უნდა გავრცელებულიყო. სწორედ ამ ტაბუს შეხებამ ორივე მხარეს ცხადად დაანახა, რა უძირო უფსკრული დევს აგრესიულ კოლექტივსა და მეპროტესტე ინდივიდს შორის.

ბარსონოფი დიდი... ვინ იყო ის – ბელადი, წინამდლოლი თუ კერპი? დანამდვილებით არავინ იცოდა, თუმცა ცხადია – ის იყო სწორედ ის და, არა მხოლოდ ის, რომელიც იყო... აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება – ეს შეუცნობადი არსება წლების წინ გარდაიცვალა და მის მაგიერ, ბარსონოფი დიდის შეუცვლელობის გამო, აღარავინ აურჩევიათ. სანაცვლოდ, წინამდლოლად მისი სურათი დატოვეს და ქვემოთ ლურსმულად წააწერეს – „უფაფუკესი და უსაკალელესი ბარსონოფი დიდი უ-I-ლესი“. ამავე სახელით მოიხსენიებდა მას ეროვნულ არქივში დაცული ოფიციალური პერგამენტიც. ასე დარჩა ბატონი ბარსონოფი ძალებთან ჯერ სურათად, შემდეგ კი სამარდჟამო ხატად...

მაშ, ბარსონოფი დიდი, ვინ იყო ის – ძალი თუ ღვთაება? თუ გამოსახულებით ვიმსჯელებთ, ეს იყო გრძელებენვიანი, კისერზე მშვენიერი ფაფრითა და დიდი თავით, ჩალისფერი ჩაუჩაუ. მას, როგორც ამ ჩინური ჯიშის ძალებს სჩვევიათ, მუქი ლურჯი ენა ება და სათაყვანებელ სურათზე სწორედ ეს ლურჯი სიწმინდე ჰქონდა გამოყოფილი. დემომ მოიძია კიდეც, მაგრამ გაირკვა, რომ ბარსონოფი პირადად არავის უნახავს – ცნობილი იყო მხოლოდ მისი სურათი, მუქი ლურჯი გადმოგდებული ენით. ანუ ის ძალი გახლდათ? არამც და არამც! ასე მხოლოდ უგუნური თუ იფიქრებდა...

მის სიბრძნესა და მართალ ცხოვრებაზე ლეგენდები დადიოდა. მან ყოველივე იცოდა! ბარსონოფი დიდმა დანამდვილებით იცოდა, რომ ორჯერ ორი უდრის ოთხს, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, ხუთსაც. იმ შემთხვევაში კი, თუ ამის აუცილებლობა

დადგება, მაშინ იგივე ნამრავლი, შესაძლოა, შვიდამდეც გაიზარდოს. იშვიათად, მაგრამ არსებობდა ზეამოცანები და ზემიზნები, როდესაც ორჯერ ორი შეიძლება ასერთსა ან თუნდაც ორასსამოცდაშვიდს გატოლებოდა...

ბარსონოფი დიდის სწავლების – „ბარსონოფიკის“ არსს წარმოსახვითი უპირატესობის მითები წარმოადგენდა და სიამაყის უტკბესი ელექტრიკით ძალების თრობა. გამოჰქონდათ ხატად ქცეული სურათი, მუქი ლურჯი გამოყოფილი ენით. ჩარჩოზე, სულ ზემოთ, დიდი წითელი ლურსმული ასოებით დაწერილი იყო ზეალმატებულობის დამადასტურებელი „დედაბოძი“ მითი: „ჩვენ, ბარსონოფის სულიერი შვილები, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ისტორიისა და მართალი სარწმუნოების ხროვა ვართ!“. სიამყის ამ მთავარი საყრდენიდან, დროთა განმავლობაში, გამოიჩეკა უამრავი შვილობილი მითი, რომელიც ღვთაებრივი ძალის ენაზე იყო ამოტვიფრული: „ბარსონოფი აღდგება და მხოლოდ ჩვენ დაგვკოცნის!“, „ჩვენ ყველაზე კულტურული და განათლებული ამუნიები ვართ!“, „ყველაზე მართლმორწმუნე და შემწყნარებელი..!“, „ყველაზე უმანკო, უბინო და კდემამოსილი ძუკნებით..!“, „ყველაზე „კაი ტიპები“, „ჯიგრები“ და „არაჩმორები..!“ და სხვა უამრავი „ყველაზე!- მითი“. იდგა მორჩილი კრებული გამოსახულების წინ, ლურჯ ენას მიშტერებული და მომწუსხველი წითელი ლურსმული წარწერების ნარკოტიკით მთვრალ ძალებს ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. ეს იყო დიდი კოლექტიური ბედნიერების ცრემლები, როდესაც ყველა ერთად, დროებით მაინც, თავის ძალურ ცხოვრებას ივინყებდა და საკუთარი განსაკუთრებულობის განცდის ნირვანაში ლივლივებდა.

ბატონი ბარსონოფის დიდ თავს, უმშვენიერეს ჩალისფერ ფაფრამდე, ნახევარმთვარის სახით, ისევ ლურსმული ნიშნებით შესრულებული, „ბარსონოფიკის“ მთავარი ლოზუნგი ამშვენებდა – „მხოლოდ ამ უბანში დაყრილი ლეკვების გრძელებენვიანი შთამომავლები ვართ გენეტიკურად მართლები და ვფლობთ სრულ ჭეშმარიტებას!“.

არაადგილობრივებს და გარედან უტკბესი ელექტრიკის მისაღებად „ჩარჩორებულებს“, ერთი სიტყვით – „სხვებს“, მაგა-

ლითად, ინგლისურ დოგებსა თუ ამერიკულ სტაფორდშირის ტერიერებს, საკუთარი მანკიერი წარმომავლობა გენეტიკურად მართალი ძალების კრებულის წინაშე დაუყონებლივ უნდა ელიარებინა. გულწრფელი მონანიება კი მათ ავტომატურად ძირძველ უბნელებად აქცევდა. მხოლოდ ამის შედეგ მართალი ჯიშითა და ახალი სახელით შემკულ უცხოტომელებს უფლება ეძლეოდათ, რჩეულთა ელექსირს მისდგომოდნენ. აღნიშნული წყალობის გამო სწორედ გოიმებმა (გოიმი – ებრ. არაებრაელი, უცხოტომელი) ბარსონოფი დიდის გამოსახულებას „ულევად ელექსირმდინარე“ უწოდეს. ხატი ხომ ათიათასობით გოიმ ძალს თან კვებავდა, თანაც ჰეროინივით აკაიფებდა.

...ის რომ ბარსონოფი დიდი, ჩინელი იმპერატორების, ჩაუ-ჩაუს ჯიშის ძელლების ლეკვი გახლდათ, როგორც ეს ეროვნულ არქივში დაცული პერგამენტიდან ირკვეოდა, სულაც არ ეწინააღმდეგებოდა სწავლებას. „ბარსონოფიკა“ ხომ ყოველგვარ ეჭვებს მკაცრად კრძალავდა და თვით წარმოადგენდა შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნებას. აი, სწორედ ჩინურ წარმომავლობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ მიიქცია დემოს ყურადღებაც. თავიდან დემო უბნელ ძალებთან უბოროტოდ ხუმრობდა, შემდეგ მისი ფრაზები აშკარა დაცინვასა და სარკაზმში გადაიზარდა. სულ ბოლოს, მან არც აცია, არც აცხელა და მკვახედ დააჯახა, – ეგ თქვენი ბარსონოფი მატყურა ყოფილაო... აქ დემომ ძალების სრული გაოგნებით ისარგებლა, შეყოვნდა და დასძინა: „დიახ, დიახ თქვენ ვიღაც გაბოლებთ – ეს არის საკუთარ თავში შეყვარებული კერპის სურათი და მეტი არაფერი!“.

...რა ამბავი ატყდა! რამდენიმე ძუკნამ იქვე გონება დაკარგა და მოცვენილმა მეზობლებმა ისინი ნიშადურის სპირტით ძლიერ მოასულიერეს... ეზოს ხროვის წინამძღოლს სასტიკი სლოკინი აუტყდა და ბალანი აეძაგრა!

...ღამით სახლში დაბრუნებულ, წანწალით დაქანცულ დემოს სადარბაზოსთან ჩასაფრებულ, ორგანიზაცია „გმქ“-ას (გენეტიკურად მართალი ძალების კავშირი) ბოევიკები ვერა-გულად თავს დაესხნენ. ეშვებმა გაიელვა, ხროვამ შემზარვად

დაიღრინა და ერთიანი ყმუილით დემოსკენ დაეშვა... ფერდები გამოგლიჯეს, კისერი გამოჭამეს, კიდურების კუნთები ეშვებით დაუსერეს... სისხლისგან დაიცალა, გონება დაკარგა, დაეცა... მაინც არ დაინდეს, ზედ გადაუარეს – ცხვირპირი დაუჯიჯვნეს, მარცხენა თვალი გამოღრღნეს...

...ძლივს გამოძვრა. ერთი კვირა უგონოდ ეგდო. არც წკ-მუტუნებდა. რომ არა ფუკო, კიდევ საკითხავი იყო, საერთოდ, ეშველებოდა რამე? არ მოშორებია – მეგობარმა სახლში ადგილი გამოუყო (ნინი სადღაც გადავიდა), ჭრილობები გადაუხვია. წამლებმა, მალამოებმა, ფუკოს ალერსმა და დემოს შეუპოვრობამ თავისი გაიტანა – ავადმყოფმა საჭმლის დანახვაზე კუდის ქიცინსა და ნერწყვის ყლაპას უმატა. დადგა დრო, როდესაც დემო ფუკოს მიუზორჩდა, ხელი აულოკა და თავი კალთაში ჩაუდო. დემო მეგობარს უცქერდა და გადარჩენილი მარჯვენა თვალიდან მაღლიერების ცრემლი სდიოდა.

„ყველაფერი, რაც ხდება, უკეთესობისკენ არისო“, – მერამდენედ გაიმეორა დემომ და კვლავ აზროვნების პროცეს ჩაულრმავდა. განსაცდელს უშედეგოდ არ ჩაუვლია. დროთა განმავლობაში დემომ გააცნობიერა, რომ მან ინდივიდის განვითარებისთვის, პიროვნების ყოველდღიურ ყოფაზე ამაღლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი – მძიმე ავადმყოფობის, შეიძლება ითქვას – კვდომის გამოცდილება მიიღო. მოაზროვნე ძალმა დიდი ტკივილი გადაიტანა, სიკვდილს სძლია და შედეგად, სიკვდილის შიში, დიდწილად მაინც, დათრგუნა. უძილო ღამეებით, მტანჯავი ფიქრებით, უსამართლობის გულისტკივილით, სიმწრის ცრემლებით, ღამის სიბნელეში ყმუილით, დემომ ცხოვრების ძირითადი პოსტულატები დაადგინა:

I. ზოგადი – ყოველივე წარმავალია და ამაოა; მიწა ხარ და მიწად იქცევი; სამყარო შენგან დამოუკიდებლად არსებობს და თავისი კანონებით ცხოვრობს; ხვალ მაინც ის მოხდება, რაც უნდა მოხდეს – ამიტომ შენი ყოველდღიური განცდები ფუჭია; ბედისწერას იქამდე მიენდე, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზეც კი დიდად ნუ იდარდებ; დემო, დაიჯერე, ამაოდ

შფოთავ, დაწყნარდი და გულგრილობამდე მისული, აუტიზმის მსგავსი სიმშვიდე დაისადგურებს შენში;

II. პირადი – მარტოსულობა მოაზროვნე არსების ხვედრია; მთავარი ფასეულობა – თავისუფლებაა, მისი მიღწევის გზებია – მძვინვარე პროტესტი და გამუდმებული სწავლა; თუ გსურს, სიკვდილისთანავე არ დაგივინყონ, კოლექტივს განუდევი, მუდმივად განვითარებად არსებად იქეცი და დიდი საქმეებით შეუერთდი მარადისობას.

მაშ ასე, სიკვდილზე გამარჯვების გამოცდილებამ სრულია და შეცვალა დემოს პიროვნება – მასში ზეარსებამ გაიღვიძა, მისი „მე“ უსასრულობისკენ მიისწრაფოდა... სანამ ფუკოსთან სახლში მკურნალობის კურსს გადიოდა, დროს უქმად არ კარგავდა და ხშირად მეგობრის წიგნებს ათვალიერებდა. დემოს ყურადღება ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში სწავლის-დროინდელმა სახელმძღვანელოებმა მიიპყრო. ის მიხვდა, რა დიდი შესაძლებლობები იმაღებოდა მომაჯადოებელი ციფრების მიღმა – ეს იყო კონკრეტული საგნებიდან ზოგად ცნებებზე გადასვლის შესანიშნავი გზა! ამას გარდა, როგორც განტელები ავარჯიშებს და ზრდის ათლეტის კუნთებს, ისე ავარჯიშებს ტვინს მათემატიკა, ავითარებს რა მასში აპსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების უნარებს. დემომაც არ დააყოვნა და ციფრების შესწავლას, მათთან ოპერაციების შესრულებასა და რიცხვების მეშვეობით გარკვეული მოვლენებისა თუ საგნების აღწერას მისცა თავი. აზროვნების პროცესიც ერთიორად ეფექტური გახდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადმიანების შესწავლის დასაწყისშივე დემომ ისინი „ტოტალიტარულებად“ და „პროგრესულებად“ დაყო. ახლა კი, გამოჯანსარების დასასრულს, სწორედ ამ კლასიფიკაციის საფუძველზე, მათემატიკური ანალიზის მეშვეობით, მან „ადამიანის განვითარების უნივერსალური თეორია“ ჩამოაყალიბა.

დემოს „ადამიანთა განვითარების უნივერსალური თეორია“

„ადამიანთა ცხოვრების მთავარ საზრუნავს მატერიალური ფასეულობებისა და ფულის შოვნა წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევას კი, ღირებულებების სისტემიდან გამომდინარე, ორი საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს:

a) ტოტალიტარულ ლირებულებათა სისტემის კანონი. ადამიანთა უმრავლესობას ფულის მოპოვება მთლიანად ითრებს, ისინი პიროვნულ განვითარება- განათლებას წყვეტენ და თვით ხდებიან ფულისა თუ სიმდიდრის მონები. წარმატების შემთხვევაში, ამ ადამიანებს მასებიც სიამოვნებით ემორჩილებიან და თვით მდიდრებიც ტკბებიან საკუთარი ძალაუფლებით ხალხზე. ტოტალიტარული ანუ შიშსა და კოლექტიურ თანხმობაზე და-ფუძნებული ცნობიერების ძირითადი მახასიათებლები ასეთია:

1. აზროვნება – უკრიტიკო, შაბდლონური;
2. შეგნება – მითოლოგიური;
3. მორალი – ფარისევლური;
4. მენტალობა – მონური, ბატონყმური,

– რაც გამოისახება ტოტალიტარული ცნობიერების ფორმულით:

$$T = P + Myt + H + S$$

სადაც: T არის ტოტალიტარული ცნობიერება; P – შაბდლონური, უკრიტიკო აზროვნება; Myt – მითოლოგიური შეგნება; H – ფარისევლური მორალი; S – მონური მენტალობა.

უნივერსალური კანონის პირველი ნაწილიდან, ლივინგ-სტონ-კუნდერას განტოლებებით მარტივი გარდაქმნების შემდეგ ვიღებთ სამ შედეგს:

1. მონის ტრიადა: ა)შური, ბოლმა; ბ)უვიცობა, არაპროფესიონალიზმი; გ)პასიურობა, უინიციატივობა.

2. „ტოტალიტარული“ ადამიანის ცხოვრების პრინციპი – ოლოდ სხვა იყოს ცუდად.

3. „ტოტალიტარული“ კოლექტივების ძირითადი პრობლემა – ღირსების უქონლობა და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის უპატივცემლობა.

б) პროგრესულ ლირებულებათა სისტემის კანონი. ადამიანთა უმცირესობა ცხოვრებისთვის აუცილებელი ფულის რაოდენობით კმაყოფილდება (არქაული სრული უპოვარობა დღეს თითქმის შეუძლებელია). მოპოვებული მატერიალური სახსრებით, ეს ინდივიდები დამოუკიდებლობას იძენენ, რომლის საფუძველზეც, მძვინვარე პროტესტისა და განათლების მეშვეობით, ვითარდებიან და მთავარს – თავისუფლებას აღწევენ. პიროვნული თავისუფლების შეგრძნება კი, თავის მხრივ, პირდაპირპოპორციულია ბედნიერების, რაც გამოისახება ბედნიერების განტოლებით:

$$\mathbf{F} = \mathbf{M} + \mathbf{I} + (\mathbf{P} + \mathbf{LE}) = \mathbf{H} \times \mathbf{q}$$

სადაც: \mathbf{F} არის პიროვნული თავისუფლება; \mathbf{M} – ფული, სიმდიდრე; \mathbf{I} – დამოუკიდებლობა; \mathbf{P} – მძვინვარე პროტესტი; \mathbf{LE} – განათლება; \mathbf{H} – ბედნიერება, \mathbf{q} – ინდივიდუალური ბედნიერების კოეფიციენტი.

უნივერსალური კანონის მეორე (b) ნაწილიდან, ასევე მარტივი ლოგიკური და მათემატიკური გარდაქმნებით, ვიღებთ სამშედეგს:

1. ადამიანის მთავარი ნიჭი განვითარებაშია, რაც მოძველებული „მეების“ მუდმივ მოკვდინებას გულისხმობს;

2. თავისუფლების საწყისი წყარო კოლექტივისგან განდგომა და პროტესტია;

3. ჯერ თვით უნდა გახდე თავისუფალი და მხოლოდ შემდეგ შეძლებ, გაათავისუფლო სხვა.

ადამიანთა განვითარების უნივერსალური თეორიის დასკვნა: **a** და **b** კანონების კერუაკ-გინსბერგ-ბეროუზის სისტემაში გარდაქმნის შემდეგ ვიღებთ საზოგადოების ცივილიზებულობის განსაზღვრებას:

ადამიანთა ჯგუფების მიერ დასახლებული ტერიტორია მიეკუთვნება ცივილიზებულთა რიცხვს, თუ მისი ერთი ბოლოდან მეორემდე გადაკვეთა შესაძლებელია ავტოსტოპით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დემოს „ადამიანთა განვითარების უნივერსალური თეორია“, მენდელის გენეტიკისათუ ნიუტინის მექანიკის კანონებთან, კრიკ-უოტსონის მიერ გენეტიკური კოდის გაშიფრასთან თუ აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან ერთად, კაცობრიობის გაბეჭდული აზრის საგანძურში აუცილებლად დაიკავებდა საპატიო ადგილს, რომ არა ერთი, ზემოხსენებული გარემოება – მოაზროვნე მანანალას მწერალმა ძალებმა გზა გადაუღობეს და ამის გამო მისი მეცნიერული ნაშრომი მსოფლიოსთვის უცნობი უნდა დარჩენილიყო... მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს რაღაც უმაღლესი სამართლიანობის კანონები, რომლებიც ლოგიკას არ ექვემდებარება და აი, „უნივერსალური კანონი“ ჩემთან აღმოჩნდა. მეცავილე და თქვენ გაგიზიარეთ...

ეპილოგი

გავიდა დრო, დემო გამოჯანსაღდა და კვლავ სადარბაზოში დაიდო ბინა. 10 სექტემბრის დილა გათენდა. წვიმდა. ზემო უბანში მობილურის ზარი გაისმა:

- ჰო, მე ვარ... ჩამო, ინსულინები წამოიღე...
- მოვდივარ!

დაგუბებული ტოტალიტარიზმის ქალაქის ზემო უბნიდან, კაი ბიჭი კოდექსა, შავი, საკმაოდ შელაცული, ბამპერებმომძვრალი „BMW“-თი წამლის ასაღებად ქვემო უბანში წუილ-წუილით დაეშვა. გზად, გუროს გაუარა:

- დაჯე, დროზე! რამდენია?...
- სამასი...

გურომ სამი ასდოლარიანი კაი ბიჭს კოდექსას გადასცა:

- ვიბრიდები, ჩემი, ისეთ ლომკაში ვარ... „სუბუა“?
- არა, „გერონტი“...

ტოტალიტარული ქალაქის ქუჩებში, სადაც ტოტალიტარული ცნობიერების მოქალაქეებით დასახლებული, ტოტალიტარული არქიტექტურის სახლები იდგა, ისევ წვიმდა. „სასტავი“ ქვემო უბანს სწრაფად უახლოვდებოდა...

გუშინდელი საღამო დემო „მატი-მატილდინასთნ“ გაატარა. ბოლოს, მატის ცხვირ-პირი აულოკა და პარკისკენ წაძუნდულდა.

თავის ეზოში არ დაბრუნებულა. მთელი ღამე ხის ძირში თვლემდა და ფიქრობდა. დილისკენ წვიმამ გამოაფხიზლა... „რამდენი ხანია ფუკო არ მინახავს, ეგებ სინდისის მკურანალობა სჭირდება... ისიც ჩემსავით მარტოა. მივალ, კეთილ საქმეს გავაკეთებ, დავაიმედებ. ალბათ, ნინოც ისევ ჩაუსახლდა... თუ უნდა მიყვიროს...“, – ფიქრებში გართულმა დემომ თავის ქუჩაზე აუხვია. დალლა იგრძნო:

– ეჱ, უკვე ისე მოვპერდი, ახლა საიქიოს მეტი ახლობელი მყავს, ვიდრე აქეთ... ამ ძალური ცხოვრების გადამკიდე დიდად დასანანიც არაფერია...

ბოლო დროა ცხოვრებისგან გადაიდალა, მობეზრდა კიდეც ის. მატისთანაც მოვალეობის გამო მივიდა – გული არ დაწყვიტა. თუმცა მოფერების დროს სიყვარული მაინც მოეძალა და ტირილამდე აუჩუყდა გული. აღარაფერი ახარებდა. გულის გაციებასთან ერთად, თითქოს სულიერადაც გამოიფიტა. დემო ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა, მას არც ძალები იღებდნენ და ვერც ადამიანებთან ურთიერთობაში პოვა ნუგეში. ცხოვრების ოცნებაც აღისრულა – „ადამიანთა განვითარების უნივერსალური თეორია“ შექმნა. შეიძლება ითქვას – დემომ თავისი მიწიერი ფუნქცია ამონურა. რაღა აზრი ჰქონდა მის არსებობას?

ფუკომ თვალი გაახილა, მობილურს დახედა, 11 საათია. სიგარეტი გააბოლა, მოთენთილობას ძლიერ მოერია და წამოდგა. ნინი ტელევიზორთან იჯდა. „ერთი გამაგებინა, ამ დილაადრიან რას უყურებს?!“, – გაიფიქრა ფუკომ და ფანჯარასთან მივიდა. ქუჩას გადახედა. გარეთ წვიმდა... დემო შენიშნა, ის ქუჩას კვეთდა. მარცხენა მხრიდან ბამპერებმომძრალი „BMW“ გამოფრინდა. მანანწალა, მარცხენა თვალის არქონის გამო მას ვერ ხედავდა... ფუკომ დაყვირებალა მოასწრო: „დემო, ძმაო, დემო, მანქანაა!..“. ყრუ ხმა. ავტომობილის ქვეშ შევარდა. რამდენიმე დარტყმა. უკინდან გამოისროლა, რამდენჯერმე ინერციით გადატრიიალდა. ფუკო სადარბაზოდან გამოვარდა...

წვიმიან ქუჩაზე, გზის პირას, ძალით უსულოდ ეგდო. პირიდან სისხლი სდიოდა. მუხლებზე დაჩოქილი მეგობარი თავზე ხელს უსვამდა. მანანწალას არსებობამ ხომ აზრი დაკარგა და განგებამაც დაივიწყა (თუ წაიყვანა?) ის. დემო კოსმოსს შეუერთდა.

წერილი მერვე, საახალწლო: „ჩვენ შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას ერი ვართ!“

N, ისევ გწერ. ეს ამბები მე ჩავიწერე, როდესაც პოლიციის მეტად გახშირებულ „რაუდებსა“ და ქუჩაში გაჩერებებს („თქვენი საბუთები... სახელობი აიწევ, ვენები...“), თავისი დაჭრებითა და ფულის ახევით, თბილისიდან იმერეთში, მშობლებთან გავექცი. შემდეგ იქ წლები შევრჩი და ყველა სიკეთესთან ერთად, გავლოთდი კიდეც...

I. „დიდი გამომცემელი“

– ფუკო, მე მოვედი, მზად ხარ? – ეგოს, გაუ! კი, გუშინ გვიან ლამით ერთხელაც გადავხედე. აი, ესაა.

– ხომ იცი, არჩევანი შეზღუდულია, სად წარვადგინოთ – გამომცემელთან თუ „გაბრწყინებულ ივერიაში“?.. არის კიდევ „მხოლოდ ჩვენ“, თუმცა...

– რა თქმა უნდა გამომცემელთან და გელოდები...
– მე არა, თუ დიდმა გამომცემელმა გადაწყვიტა, თვითონ დაგიკავშირდება. ხომ იცი, ის ბავშვივით გულრწფელია და მოუთმენელი. თუ რაიმე მოეწონა, ჩვენც კი, მარადისობაში გასულებს, ახალბედებთან ურთიერთობას არ გვანდობს. ერთი სული აქვს, პირადად შეხვდეს მათ – ასეთია სიყვარულის ბუნება.

– მაგას რა სჯობს, მეც მას დავუცდი, ეგებ შემიყვაროს.
– კარგი, ფუკო, წანერები მომანოდე და წავედი... ვაა, რაც ერთმანეთს გავეყარეთ, კარგად გიმუშავია – „ჩვენ შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას ერი ვართ!“ – სათაური მევასა! გახსოვდეს, თუ დიდ გამომცემელთან ურთიერთობას გადაწყვეტ, სხვებთან თანამშრომლობა გამორიცხულია!

– ვიცი, იმთავითვე ვიცოდი...
გავიდა დრო. კვლავ დილის ფიქრებს, ხველების მახრჩებელა პაროქსიზმებით სიგარეტის წევას და დღის მრავალჯერად ძილს მივუბრუნდი. ისე გავზარმაცდი, გონების ოდნავ დაძაბ-

ვაც კი მღლიდა. თვე გავიდა, კიდევ ერთი... მართალია, მოვიწყინე, თუმცა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გამომცემელი მცდიდა და მაკვირდებოდა. საერთოდაც, ასეთი ბედი მაქვს – ნებისმიერ დასახულ მიზანს ვაღწევ, ერთი შეხედვით მიუღწეველსაც კი, მაგრამ ადვილად არ მეძლევა – დიდი შრომა მიწევს და მრავალი გულისტკენის გადატანა. შედეგად, გამარჯვების ჯილდო თითქმის აღარც მახარებს და მეხსიერებაში მხოლოდ მიზნისკენ მიმავალ გზაზე წყენა მელექება.

... და, აი, მან უცებ თავისთან მიხმო! ჯერ გული გამოთბო, მითხრა, მიყვარხარო და მომეფერა, თავზე ხელიც გადამისვა... შემდეგ კი მოულოდნელად გაქრა და მე გამომცემლობის რედკოლეგის სხდომაზე ამოვყავი თავი. შეკრება, რომელსაც დიდი შოთა უძლვებოდა, ერთობ არაფორმალურ ვითარებაში მიმდინარეობდა – შოთა, საბა და ილია ლვინოს აჭაშნიკებდნენ და ყალიონს აბოლებდნენ, ტატო და დავითი ზღაპრულ ხილს მიირთმევდნენ, ხოლო აკაკი და ვაჟა უმშვენიერეს ბალში ყვავილების სურნელით ტკბებოდნენ... შოთამ ფოლიანტი, რომელსაც წარწერა „ქართული მწერლობა“ ამშვენებდა, გადაშალა, მოწვეულებს ყურადღება სთხოვა და უცნაური სხდომა დაიწყო. ახალგაზრდა ყმაწვილმა კათედრასთან ადგილი დაიკავა და კითხვას შეუდგა.

II. ხელნაწერი

შესავალი. მარადიული ხელნაწერის ისტორიისთვის

პატივცემულო საზოგადოებავ!

ქვემოთ მოყვანილი ტექსტი პირველად წლების წინ გამოვაქვეყნე, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ ტალღებმა მშობლიური ზადენ-ორპირის ეპარქიამდე მოაღნია. იმხანად, მეც ახალი, „დასავლური სიოს“ გავლენის ქვეშ მოვექეცი და ოჯახური ზანდუკიდან საგულდაგულოდ გადანახული მანუსკრიპტი ამოვიღე. ვიფიქრე, ახალი ეპოქა დგება, მოდი, მომავალ თაობებს ბედენული საბჭოური წარსულის ჰაგიოგრაფიულ ძეგლს დავუტოვებ და ნორჩები მას „შუშანიკის წამებასთან“ ერთად ისწავლიან-თქო.

გავიდა დრო... 2013-ის „სამართლიანი ოქტომბრის“ დახმარებით, ლირსება დავიბრუნე, „ვარდების“ მასონური სამოსი სრულიად განვიხუნე, ქართულ ფესვებს დავუბრუნდი და იგივე ტექსტი, ამჯერად „ნაცების“ არაეროვნული არსის სამხილებლად კვლავ გამოვაქვეყნე. შემდეგ იყო 2014 და ისევ იგივე ხელნაწერი... დღეს კი მიხარია, რომ უკვე 2015 წელია და მამაპაბისული ფასეულობებისთვის ბრძოლა „პიდარასტების“, ინცესტისა და „ჩმორების“ წინააღმდეგ ახალ ფაზაში შედის! იმედი მაქვს, რომ ხელნაწერი ჩემს დინასტიას მომავალ საუკუნეებშიც მრავალგზის გააბრწყინებს!

საქმე ის გახლავთ, რომ ეს პაპირუსი ჩვენი საოჯახო რელიევია და ის თაობებიდან თაობებს გადაეცემა. საგვარეულო გადმოცემის თანახმად, ეს ტექსტი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ჩემმა დიდმა ბაბუამ და იმავდროულად, ცნობილმა არქეოლოგმა – სილიბისტრომ, გერმანელ ჰაინრიხ შლიმანთან ერთად, ტროას გათხრებისას აღმოაჩინა. იმ დროიდან მოყვალებული, პერგამენტი ჩვენ გვეკუთვნის და სწორედ ის განაპირობებს გვარის არნახულ პოპულარობას. სილიბისტროს შთამომავლებს მხოლოდ ისლა დაგვრჩენია, რომ უძველეს ტექსტში ტერმინოლოგია თუ მორიგი მმართველის სახელი დროსთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ და შედევრიც მზადაა – აქვეყნე და იყავი! ჩემგან ანუ ამ ჯადოსნური განძის უკანასკნელი მფლობელისგან, იმას დავამატებ, რომ სამამულო წარმოების ჯავშნით დაცულმა ქართულმა შუბლმა მსოფლიო მასონიზმის ჭურვები ამჯერადაც წარმატებით მოიგერია და, შესაბამისად, მეც ტექსტშის გამოვეყნების წინ მხოლოდ თარიღის შეცვლა მიწევს.

ერთი სიტყვით, სრულიად საქართველომ, ერმა და ბერმა შეგვიძლია ვიამაყოთ ეროვნული ცნობიერების შეუვალი მდგრადობით – ჩვენ მას საუკუნეების მანძილზე თავს ვევლებით და ვერანაირი მტერი ვერ შეგვიბლალავს! დიდება ჩვენ, დიდება ჩვენს მარადიულ ფასეულობებს და მათი დამადასტურებელი დოკუმენტის მფარველ ანგელოზებს – ჩემს გვარსა და ჯილაგს, დიდება!

გზა ამირანიდან ნაცარქექიამდე

ივერია უძველესი კულტურის ქვეყანაა. აქ არა მხოლოდ ცნობიერება, არამედ გარემო, შესანიშნავი ბუნება, თვალ-

წარმტაცი ცისფერი მთები, პაერიც კი გმირობით, მითოსით არის გაუღენთილი. საქართველოში ანტიკური ხანიდან იქმნება მითი ამირანზე. რომანტიკოსი ამირანი კულტურული გმირია – ის ანადგურებს მავნე მცენარეებს, აძლევს ადამიანებს ლვთიურ ცეცხლს და ასწავლის მათ მქედლობას. ღმერთთან ბრძოლის გამო ამირანი კავკასიის ქედზე გამოქვაბულშია მიჯაჭვული. მის ღვიძლს მუდმივად ძინგის არწივი, ხოლო ერთგული ძალი ჯაჭვს ლოკავს და ცდილობს გალიოს იგი. მაგრამ ღმერთის მიერ მიჩნილი მქედლები ყოველწლიურად, სწორედ შობის წინაღამეს ანახლებენ ჯაჭვს. დამდეგი შობის წინა ღამესაც ალბათ იგივე მოხდება და მიჯაჭვული ამირანი ვერ შეახსენებს თავს გულმავიწყ ქართველებს. ვინ დაიკავებს მის ადგილს – ვინ გაგვანათლებს ამჯერად და ვინ შემოიტანს ჩვენში კულტურას?

მითის საშუალებით ძეველმა ადამიანმა მოახერხა წინააღმდეგობათა გადალახვა, დაუძლეველის დაძლევა, მაგალითად: კაცი ამაღლდა ღმერთამდე, სიცოცხლემ გაიმარჯვა სიკვდილზე, ჩია ტანისამ სძლია გოლიათს, ღატაკი და უქონელი – გამდიდრდა!

რეალურ და წარმოსახვით ცხოვრებას შორის განსხვავების თუნდაც წანილობრივი გაქარწყლება, მიწიერ ყოფაში წარმატების, სამართლიანობის მიღწევით ხდება. ივერიელთა ცხოვრება არც დასაბამიდან ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, ხოლო უკანასკნელი 8-9 საუკუნეა აქ ოდნავ სასიკეთოც კი არაფერი მომხდარა. რა ექნათ? იგონებდნენ და თხზავდნენ ქართველები ახალ-ახალ მითებს, რათა ზღაპარში მაინც მიეღწიათ წარმატებისთვის, გაემართლებინათ თავიანთი ამქვეყნიური დუხტირი ყოფა.

გავიდა მრავალი საუკუნე, შეიცვალა დროება. თანამედროვე საქართველო კი კვლავ მითოლოგიური აზროვნების ქვეყანაა, მეოცნებე ხალხით დასახლებული. ქართველები იმდენად მოწყდნენ ცივილიზაციას, პრაგმატულ რეალობას, რომ ისინი ერთს აღიარებენ, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ. გულგატებილი მოსახლეობის უმრავლესობა, დღესაც, მომავალ არამინიერ ანუ ზეციურ ცხოვრებაზეა ორიენტირებული. სასუფეველზე მუდმივი ოცნება ამ ხალხს სულაც არ უშლის ხელს, ადამიანი მითოლოგიურად „მიწიერი კრიტერიუმებით“

მანქანით, ბეჭდით, საათით და მობილური ტელეფონით შეაფასონ და შემდეგ ფშვინვით მიაყოლონ – დიდი პასუხისმგებლობაა ბოლო უამის საქართველოში ცხოვრება, ძალიან დიდიო!

სწორედ ჩვენს ეპოქაში წამოყო თავი ქართული ზღაპრის საყვარელმა პერსონაჟმა – „ნაცარქექიაძე“! ის ზარმაცია, მაგრამ მოხერხებული. მატყუარა და ბაქა ნაცარქექია დევებს საკუთარი სახლიდან აძევებს და მათ ქონებას ეპატრონება. დღესაც იგივე ისტორია განმეორდა – ნაცარქექიაძე ჩვეული ხრიკებით ფული იშოვა, დარწმუნდა საკუთარ „უპირატესობაში“ და მარხვას შეუდგა. დღევანდელი „მართლმორწმუნე“ ნაცარქექიების ძირითადი საფიქრალია: როგორ არ მოჰყვეს სიტყვას საქმე, რა წინაღობა მოიგონონ, რათა არ გადაწყდეს პრობლემა. მათი მთავარი სურვილია შეინაღიუნონ გონებრივი და ფიზიკური უძრაობა და თან ამაში, რაც შეიძლება, მეტი სარგებელი მიიღონ. მუქთახორობასა და კარგ, უდარდელ ცხოვრებას შორის ფატალური წინააღმდეგობის დასაძლევად ქართველებს პროტესტის სხვადასხვა ფორმა აურჩევიათ: სამოქალაქო ომიდან – მრავალათასიან მიტინგებამდე.

დიდება ჩვენ!

სამი ისტორიული ფაქტიდან: 1. საქართველოში შეიქმნა უკვდავი პოემა „ვეგხისტყაოსანი“; 2. ქართველებს ჰყავდათ დიდი მეფეები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე; 3. ქართველებმა დაუშვეს, რომ ერთ მოედანზე აშენებულიყო ოთხი სხვადასხვა აღმსარებლობის ტაძარი – გამომდინარეობს ნაცარქექიების ცხოვრების წარმართველი ლოზუნგი – „ჩვენ შოთას... ილიას, აკაკისა და ვაჟას ერი ვართ!“ და მათი ცნობიერებისთვის სავსებით ლოგიკური, ეროვნული სიამაყის მთავარი ქმნილება, მითი – „ჩვენ ქართველები დედამიწის ზურგზე ყველაზე მაგარი და მართალი ერი ვართ!“. ამ მითს მრავალი განმტოება აქვს – „ყველაზე ძველი და გმირული ისტორიის მქონე..! „ყველაზე კულტურული..!“, „ყველაზე განათლებული..!“, „ყველაზე მართლმორწმუნე და შემწყნარებელი..!“, „ყველაზე უმანკო, უბინო და კდემამოსილი ქალებით..!“, „ყველაზე „კაიტიპები“, „ჯიგრები“ და „არაჩმორები..!“ და სხვა უამრავი „ყველაზე..!“. აზროვნებაც ძველი და ახალი ზღაპრებით არის გა-

ჯერებული. ერთი მხრივ – ისტორიიდან ამოგლევილი ეპიზოდებით, რათა სამარცხვინო განიდევნოს, ხოლო გმირული გაზვიადდეს და მეორე მხრივ – ყოველდღიური მოხმარების, აბსურდული პოლიტიკური ხასიათის მონაგონით, შეთქმულების თეორიებით, მრავალი მტრის ხატით, რათა ცხოვრების სიძნელეები უშრომლად, ჭორაობაში ან მიტინგზე მაინც დაიძლიოს.

აյ სიხარულის ძირითადი წყარო – „სუფრა-თამადა-აკადემია” – მითია, ქართულად – „მამა-პაპური სმა-ჭამა” და „შემეტენე-შეგეტენე” სადლეგრძელოები! გამთენისას სახლში მისვლა და საწოლში ჩუმი, ნეტარი ხარობა იმით, თუ როგორ შეგაქს, რა მოხდენილად, სრულიად განსახვავებულად ითქვა შენი სადლეგრძელო! სუფრის ფენომენი, ურთიერთ-ფსიქოთერაპია ჭიქით ხელში იმდენად მნიშვნელოვანია ნაცარქექიათა ყოფისთვის, იმდენად ზღაპრულია და რეალობას აცდენილი მათი ცნობიერება, რომ ყველაზე ცუდ დროსაც კი, როდესაც არც შუქი ჰქონდათ, არც ბუნებრივი აირი და ქუჩაში ერთმანეთს ხოცავდნენ, რისთვის – დღესაც არავინ იცის, მაშინაც კი, პირველ რიგში რესტორნებს, კაფე-ბარებს და სასადილოებს აშენებდნენ. ამასვე განაგრძობენ დღემდე.

ნეტავ, განახათ ნაცარქექიების ზღაპრული რიტუალები: გასვენებები, ქელეხები, ქორნილები, მრავალრიცხოვანი ბანკეტები, გაგაგონათ სადლეგრძელოები – ფანტაზიის ფოიერვერკი! აი, სად ხდება ჭეშმარიტად დაპირისპირებულ წინააღმდეგობათა გადალახვა! სუფრაზე შენდება ქვეყანა და მერე როგორი! აյ ხდება მკვდრების გაცოცხლება და ცოცხლების მიწაში ჩადება! გმირული ამბები და ახალი მითოლოგიური ისტორიის შექმნა! მიჯნურობა და განშორება! ყოველივე ეს – კაცების... დიახ, დიახ – მამრების „ზასაობის“ თანხლებით! ნაცარქექიებს ხომ სექსი ეზარებათ და ამიტომ ეზიზლებათ კიდეც!

ქართველი ქალებისთვის გაცხადებულად, ანუ საზოგადოებისგან დაუფარავად, ქორნინებამდე სექსი არ არსებობს, ამაზე საუბარიც კი სამარცხვინოდ ითვლება. ქალის და კაცის სასიყვარულო ურთიერთობის ძირითადი მიღებული ფორმა მდგომარეობს სქესობრივ აქტში ბავშვის გაჩენის მიზნით, ისიც ერთადერთი და სამუდამო სამოქალაქო ქორწინების და ჯვრისწერის შემდეგ. ნაადრევი გათხოვების ნეტარი წუთის

დადგომამდე, მდედრების უმრავლესობა დამაჯერებლად ქადაგებს მითს, თითქოს არც კი უნდა დაკავდეს სექსით, რადგან სრულიად გულგრილია მისით მიყენებული სიამოვნებისადმი. ხოლო სამჯერ განათხოვარი შვილებიანი ქალი ქალიშვილივით იქცევა და თვალში ნაცარს გაყრის ძველი ზღაპრით, რომელშიც ბავშვებს ბოსტანში პოულობენ.

აյ საზოგადოება სასიყვარულო ურთიერთობას, როგორც კაცს და ქალს შორის მიმდინარე ომს, ისე აღიქვამს. ამ დიად ბრძოლაში გამაჯვებული მხარე – მამაკაცი დამარცხებულს – ქალს მუხლებზე დასცემს და, ერთჯერადი „კონტრიბუციის“ მიღების შემდეგ, უნიშნავს სამუდამო, მაგრამ იშვიათ, ხშირად მხოლოდ წარმოსახვით „ხარკს“ და... აგრძელებს „მთვრალზე ბოზებში სიარულს“! დამცირებული და შეურაცხყოფილი მტერი მორჩილად დგება სამუდამო ქორწინების მონობაში.

ღმერთიც, გარკვეული თვალსაზრისით – მითია, ოღონდ ყველა მითი როდია ღმერთი. ღმერთი – ზემითია! მაგალითად: ღმერთი – კაცი, წარმოებს წინააღმდეგობის მითით დაძლევა და იშვება – განკაცებული ღმერთი; ან სიცოცხლე – სიკვდილი, დაპირისპირების გადალახვა – აღდგომა.

მაგრამ „მართლმორწმუნე“ ქართველ ნაცარქექიებს მხოლოდ ამგვარი მისტიკური ამბები არ ჰყოფნით, მათ რეალურის ზღაპრულთან შერწყმა სურთ, მათ გაღმერთებული კერპი სწყურიათ! მითოლოგიას სუბლიმირების მძღავრი ნაკადი უერთდება და იბადება ხატები რაინდული სახეებით: მითი – „კეთილშობილი მილიარდერი ბ.“; ზღაპარი – „სამართლიანი აბრაგი დ. და განათლებული, კულტურული, „ჯიგარი“ ქურდი ტ.“; „ზემითი! – უვერცხლო, თავმდაბალი უმანკო კრავი, წინასწარმეტყველი მამაო დ. და ცოცხალი, მიწიერი, უცდლმელი „ღმერთი“ ი...ახვე-II, იგივე ი...ეღლოვა-II“. ნაცარქექიები მუდმივი, დაძაბული „მეორედ მოსვლის“ რეჟიმში ცხოვრობენ! ისინი ამაყად ამტკიცებენ – ღმერთი ქართულად იქადაგებს და განსჯისო, აი, მაშინ კი დარწმუნდებიან ამერიკელები ჩვენ რა მაგრები ვართო, მაგრამ გვიანდა იქნებაო! ასეთი ღალადით ნაცარქექიები, აგრე უკვე ბოლო 25 წელია, შეჰყურებენ ზეცას და უიმედოდ, მაგრამ ჯიუტად ელოდებიან „ბოლო უამს“. ის კი რატომღაც იგვიანებს...

ლოცვითა და მარხვითა – წინ ნათელი მომავლისკენ!

ეროვნული ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც დაფუძნებულია სამ ვეშაპზე: სამყაროს მითოლოგიურ აღქმაზე, ამპარტავნებაზე და ხსენებულ უქნარობაზე – ქართველებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს ქრისტიანობის განახლებაშიც! ინოვაცია შეეხება ერთი მხრივ – ზეციდან მხოლოდ ქართველებისთვის, მათი განსაკუთრებულობის დასამტკიცებლად, მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლას და მეორე: რწმენას – სიყვარულის, ყოველგვარი თავგანწირვის, ღვაწლის გარეშე. ცეცხლის არამინიერი წარმოშობა მტკიცდება მასზე ხელის სწრაფი გადატარებით და იბადება ახალი მითი – „ცივი ცეცხლი“! სავარაუდოდ, რიგშია მითები – „ცხელი ყინული“ და „მშრალი წყალი“.

დაბოლოს, სანამ დავშორდებოდეთ, გთხოვთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ საფუძველზე შექმნილი წაცარექიების ერთობლივი ლოცვა აღვავლინოთ:

ბელადო ჩვენო, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს
და ერთმორწმუნე რუსი ძმები ჩაგვახუტენ ჩვენ!
საქართველოს ოკუპანტის სიყვარული გაგვიღვივენ
და მის წიაღში დაგვაბრუნენ ჩვენ!
რაც არ უნდა გადაგვაგდონ და დაგვიჭირონ ჩვენ,
იხტიბარს არ გავიტეხთ და სხვის ჯინაზე შემოგვლეთ შენ!

დიდება ქართველებს – მსოფლიოში ყველაზე მაგარ ერს! ყველაზე, ყველაზე, ყველაფერში! ჩვენ ყველა გვიყვარს და, გარდა რუსეთისა, ყველა გვებრძების! დიდება კლონირებულ უფლისწულებსა და ბედნიერების ძიებაში დამაშვრალ რაინდებს, დიდება!

გაკერილი ქალიშვილები, მართლმადიდებელ მშობელთა ტრიადები და ბუსუსებიანი პრეზერვატივებიი-ი-ი! საქართველო გაპრეზინდება – ინგლისი დაიძირება! სოროსელები, იელოველები და მასონები, ბევრი მასონი! ბევრზე, ბევრი მასონი! მრუშები, მამათმავლები, ლესბოსელები – ჯოჯოხეთის გეენა და უძლები მატლი მათ!

პიდარასტებს, ინცესტსა და ჩმორებს – „ნოუ“! ჩოხებსა და ჩიხტიკოპებს – „იეს“!

ქართული სუფრა – აკადემია! ერთკვირიანი პანაშვიდები და გასვენებები, დიდი ქელეხები და უმშვენიერესი მარმარილოს საფლავები! მინიმუმ ათასკაციანი ქორწილები, ნათლობები და ბანკეტები! სამარხვო გოჭები და მწვადები, ხაჭაპურები და საცივები, ტორტები და შოკოლადები! ღიპები, ღიპები, ღიპები და ღაბაბები! „ქალბატონო ფინტიკოზა, აბა პაკაჟი ადინ პოზა“-ს თანხლებით სადიდებელი სადლეგრძელოები, განსხვავებულები, ყანწები, ვაზები, ჭის „ვედროები“ და კრამიტები, „ლამპის“ შუშები და ქალის „ტუფლები“! „ქანეს“ შპრი-ცე-ბიი-ი, ავოიე! სუფრაზე ყველა მტერი და მარცხდება და ჯოჯოხეთს წარიგზავნება! ქეიფში უმშვენიერესი ქვეყანა-ედემი აშენდება! ინგლისი და ამერიკა მაინც დაიძირება! დოლარსაც დედა მო...ბა!

ასეა ეს!

ლელო-ლელო სა-ქარ-თვე-ლო! ლელო-ლელო სა-ქარ-თვე-ლო! ლელო-ლელო სა-ქარ-თვე-ლო-ოო! დიდება შენდა მითოლოგიავ და ფარისევლობავ ჩვენო, დიდება შენდა-აა!

ა-ლელო-ია, ა-ლელო-ია, ა-ლე-ლო-ი-ა!”

P.S.

საშობაოდ, ამჯერადაც, კარგად უმუშავიათ ლვთიურ მჭედლებს, მაგრად შეუბორჭავთ ამირანი!

დებო და ძმებო, თქვენ მოგმართავთ მე, მარადიული ხელნაწერის მცველი ფუკო: „ტოტალიტარულო დეიდებო, ბიძიებო და მოხუცებულო ახალგაზრდებო; ხელოვანთა, მწერალთა, მომღერალთა, ტელენამყანთა და ჟურნალისტთა კასტებში გაერთიანებულებო, ერთმანეთის ქება-დიდებაში დამაშვრალებო და მაინც ზაქათალის ოლქს იქეთ უცნობებო; ეროვნული ფასეულობებისთვის მებრძოლო რაინდებო და კდემამოსილო მანდილოსნებო; ოჯახის წევრებო, შვილებო, ძმაკაცებო, დაქალებო – სრულიად საქართველოვ – საბჭოურო და დემოკრატიულო, მეოცნებევ და დასაჭერად გამზადებულო, გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! გაიღიმეთ მეგობრებო – ქართული ხალხური კალენდრით 2015-ი კვლავ

ნაცარქექიას წელია! იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალ 2016, 2017, 2018... წლებშიც ბევრი არაფერი შეიცვლება და ქართველები შევინარჩუნებთ დედამიწის ზურგზე ყველაზე მაგარი და მართალი ერის სტატუსს!.. გაიღიმეთ, მეგობრებო, გა-იღი-მეე-ე-თ!

* * *

1. შოთა

1954 წლის იანვარს ორპირის რაიონის ერთ-ერთ სოფელში თოფი გავარდა, ღალანიძეების ოჯახს ბიჭი შეეძინა! დედა სამშობიაროშივე ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ბავშვის დიდი პოეტის პატივსაცემად შოთა დაარქვეს და დროის მოთხოვნის მიხედვით, მას დიდედის „მკაცრი რეჟიმით“ აღზრდა მიესავა. გავიდა წლები...

მაშ ასე, იმერეთის სოფელი ლურთა, ენგელსის ქუჩა. ორსართულიანი ხის სახლი ქვის კიბითა და შუბაბანდით. დიდი ეზო, ნალია, მწვანე მოლი და წითელი თიხის ჭის თავი, ჯაჭვზე – დასრესილი ვედრო. რკინისჩუქურთმებიანი ვერცხლისფერი ჭიშკარი, ამოზნექილი, უოლოსფერი ვარსკვლავებით და ცოცხალი ეკლის ღობე.

ქვედა სართული – გახუნებული შპალერი და მიწის პრიალა იატაკი. კედელზე – ოჯახის სათაყვანებული კერპების – იოსებ სტალინისა და შოთა რუსთაველის პორტრეტები. გალაქული ნარდი ფიგურული ფეხებითა და იმავე რუსთაველის გამოსახულებით.

მოსალამოვდა, აცივდა, ყოფილი პარტიული მუშაკი ბებია ბუხარს მიუჯდა. ღვაწლმოსილი მოხუცი გაზეთ „სოფლის ცხოვრებას“ ათვალიერებს, ფეხებქვეშ წითური ბომბორა კატა უზის. ფისო თვალებმინაბული კრუტუნებს. ოჯახის მამა დილიდან დინამიტით სათევზაოდ ცხენისწყალზეა წასული. თვრამეტი წლის ჭაბუკი შოთა სახლში დარჩა. მას „გამჩენი არ ასვენებს“ – ის ბუნებით მკვლევარია და ხშირად სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებს.

ჩვეულებრივ, ასე ერთობოდა – მამისგან მოპარულ დინამიტს მეზობლის კატას საგულდაგულოდ აბამდა, ფითილს უკიდებდა და ხელს უშვებდა. ნაპერნკლების ყრითა და შიშინით გაგიუებული კატა თავქუდმოგლეჯილი უკანა ეზოსკენ გარბოდა, სადაც, ყანამდე არ მისული, ფეთქდებოდა. მიღებული სიამოვნება დიდი იყო, მაგრამ არასაკმარისი. ამჯერად ბებიას საყვარელი, კუდგაფუებული კატის ჯერი დადგა. დინამიტი, ფითილი, დენთის კვამლი, შიშინი. გაოგნებული წითური კატა გარბის და უსაფრთხო ნავსაყუდელს ბებიას კაბის კალთის ქვეშ პოვებს... ძლიერი აფეთქების ხმა!

მოგეხსენებად, ადამიანი 80% წყლისგან შედგება. კვამლში გახვეული კატის დანახვისას, ბებიას რატომლაც წამოუძახია, – „Я солдата на фельдмаршала не меняю!“, – შემდეგ წყლად ქცეულა და აორთქლებულა. დასამარხად მხოლოდ შავი კაბის ნაფლეთები და „ნარჩინებული შრომისთვის“ მედალილა დარჩენილა.

თევზაობიდან შინ დაბრუნებული, შეზარხოშებული მამა თოფითა და არაადამიანური ბლავილით გამოსდგომია შოთას. დიდხანს უდევნია. შოთა ვერც დასაფლავებას დასწრებია – შავებში შემოსილი მამა თურმე თოფს გვერდიდან არ იშორებდა და ჩურჩულით, გამუდმებით იმეორებდა: „У нас пленных нет, у нас есть только предатели... только предатели... только...“ ბოლოს დევნილი ყმანვილკაცი ნათესავებს შეუფარებით და მალულად ჯარში გაუმნესებიათ. რუსეთში გადახვენამდე, შოთას გადაპარსული თავი მატარებლის ვიწრო ფანჯრიდან გვერდულად გამოჩენილა და წამოუძახია, – „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიანო!“ და გაუჩინარებულა.

ხაბაროვსკის ოლქის N პოლკში მოხვდა და ექთანი ტომაც იქვე გაიცნო. შვილი საბა შეეძინათ. მამამ შოთას სიცოცხლის ბოლომდე არ აპატია – მან სოფელ ლურთაში მარტოობასა და ლოთობაში დალია სული. სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის ამონურვის შემდეგ შოთა საქართველოში დაბრუნდა და, ოჯახთან ერთად, რაიონულ ცენტრში ორპირში დასახლდა.

2. საპა

იმხანად ორპირის ქუჩებში ერთი გიუი, სახელად მირიანი, დააბიჯებდა. ეს იყო შუახნის მამაკაცი გაბურძგნილი წვერით, ხელში ჩემოდნით, ზამთარ-ზაფხულ სამხედრო შინელში, ჩე-ქმებსა და „უშანკაში“ გამოწყობილი. რაიონული ცენტრის მო-სახლეობა „მირიანა-გიუს“ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები-სთვის იყენებდა. ათ მანეთად იმხელა ეზოს დაგიბარავდათ, სხვა ზედაც არ შეხედავდა. ფულზე მორიგებისას მირიანი თვალებს ხრიდა და გასამრჯველოს ბუზღუნით თანხმდებოდა. დილიდან დალამებამდე მუშაობდა. დასასრულ, ჭიქა ჭაჭაზე, მჭადს და კიტრს მაიყოლებინებდნენ და მირიანიც ლილინით ლამის წყვდი-ადში უჩინარდებოდა.

სადღაც, იქვე, ორპირში, პატარა საპა შოთას ქე იზრდებო-და. როგორც ბევრ სოფლელ ბავშვს, საპასაც უყვარდა უკანალ-ში გაყრილი ბალახის ლეროთი ბაყაყის გაბერვა და წყლის ზედა-პირზე გაშვება. ბაყაყი, მუცელში დაგროვილი ჰაერის გამო, ვერ ყვინთავდა და წყლის ზედაპირზე უმნეოდ დასრიალებდა. სია-მოვნების გვირგვინს უშედეგო ყვინთვისგან დაღლილი, სასო-ნარკვეთაში ჩავარდნილი ბაყაყის დაჭერა და ფეხის თითებს შო-რის გაგლეჯით ცოცხლადვე გატყავება წარმოადგენდა.

იმ დროს მოზარდებში გავრცელებული იყო „ფიშტახი“ – ხე-ლნაკეთი სასროლი იარაღი დენთითა და რკინის ბურთულებით გატენილი. ამგვარი „პირადი იარაღი“ მხოლოდ უფროსკ-ლასელებს ჰქონდათ. ერთხელაც საპამ დაინახა, სად გადამალა „თენგოია-რუსმა“ იარაღი. საღამოს საპამ სანუკვარი „ფიშტახი“ ხელთ იგდო. საიდუმლო, მეზობლად ქუთაისიდან ბებიასთან სტუმრად ჩამოსულ მეგობარს, დავითს, გაანდო. იფიქრეს და გადაწყვიტეს: გვიან ღამით მეზობლის ძალზე განეხორციელე-ბინათ საცდელი გასროლა. გზის პირას დაგდებულ ხის მორ-თან ჩასაფრდნენ. ძალი არ ჩანდა. ამ დროს „მირიანა-გიუს“ ლილინი გაუგონიათ. მთვარის შუქზე გამოჩნდა შინელი. ჩასაფ-რებულმა პიჭებმა ერთმანეთს გადახედეს... როგორც შემდეგ დამფრთხალი საპა მშობლებთან ყვებოდა, დავითმა მას იარა-ღი გამოსტაცა, შინელს დაუმიზნა და „ფითილს“ მოუკიდა... ასე იყო თუ ისე, საპამ და დათომ სიბნელეში მოღილინე მირიანი სი-

ცოცხლეს გამოასალმეს. ბავშვებს მშობლები ძლიერ გაუწყრენ, მაგრამ მალევე აპატიეს – „მირიანა-გიუს“ სიცოცხლე არც დი-დად ფასობდა და, რაც მთავარია, არც მომჩივანი იყო ვინმე.

საბა სასწავლებლად დედაქალაქში გაუშვეს. თბილისში დაი-წყო ახალგაზრდული თამაშები ნარკოტიკებთან – ბიჭი წამალზე შეჯდა. სსრკ დაიშალა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოი-პოვა. საბა ორპირში დაბრუნდა. შემდეგ იყო სამოქალაქო ომი. საბამ სმას უმატა და საბოლოოდ გაფარჩია გამოსავალი არ ჩანდა...

კომუნიზმში კოლექტიური და მუქთი ნეტარება გადაიდო, მის ნაცვლად ქართველებმა არამიწიერი ცხოვრება აღმოაჩინეს. სარწმუნოებამ საბოლოოდ ჩაანაცვლა კომუნისტური იდეოლო-გია – გაჩნდა აქამდე არნახული, კვლავ კოლექტიური და ისევ მუქთი საქმე – სულის ცხონება! საბაც უცებ გონს მოეგო და ქრისტეს შეუდგა. ჯერ მონასტერში განმარტოვდა, შემდეგ მღ-ვდლობა დააპირა, თუმცა მალევე გადაიფიქრა და, როგორც ბევრმა საქართველოში, უსაქმურობის უამს წერა დაიწყო. ასე შეიქმნა იგავარაცი „ძალა ერთობისა“:

„ხუთვარსკვლავიან რეზიდენციაში დიდებული ეპისკოპოსი სესე ცხოვრობდა და „პრადოს“ ჯიპს დააქროლებდა. იქვე მონ-ასტერში სამოთხის საგზურის მოსაპოვებლად მონაზონი დედა პელაგია და საბერე მორჩილი არნოლდიე იღვწოდნენ. მონაზონი საიდანლაც დაორსულდა. მეუფე სესეს კურთხევით, დეკანოზმა მამა კანდელ შენირულმა მონაზონი ქალი ქუთაისში გადამალა. შემდეგ დედა პელაგიამ იმშობიარა და ამჟამად ის, უკვე სხვა სახელით, ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწეობს.

იმხანად კი სასიყვარულო სამკუთხედის წევრების ვინაო-ბის დადგენამ მრევლი განკითხვის ცოდვაში ჩააგდო. მიუხე-დავად მრევლის დიდი მცდელობისა, მშობელი მამის ვინაობა: მთავარეპისკოპოსი სესე თუ მორჩილი არნოლდიე – ბოლომდე გაურკვეველი დარჩა...

ბოლოს და ბოლოს, ეპარქიის უფროსმა მღვდელმა, მამა კანდელმა, მრევლი დაამშვიდა და ღვთივგანბრძობილმა ამბიონ-იდან იქადაგა: „თუ ერთად ვიქნებით, მტერი ისევე ვერ გძლევთ, როგორც მეფემ ვერ დაძლია ისრების ერთად შეკრული კონა.

ხოლო თუ გავეყრებით, მაშინ მტერი ისე დაგვლეწავს, როგორც მეფემ ცალ-ცალკე ისრები დაამსხვრია... ახლა კი ყურადღებით მომისმინეთ: ეკლესია ხომ ჩვენი დედა – დედა ეკლესია! ჴო და, თუ დედა, დედათქვენი ბოზი რომ იყოს, ილაპარაკებთ მასზე?! არა, პირში წყალს დაიგუბებთ! ამიტომ უნდა იყოთ ჩუმად ახლაც! ჭირი – იქა, ლხინი – აქაო, – დაასრულა მამა კანდელმა”.

3. დავითი

დავითი ქუთაისში იზრდებოდა და კატების აკრობატული უნარების შესწავლით გახლდათ გატაცებული. ექსპერიმენტი შემდეგში მდგომარეობდა: ეზოში დაჭრილ კატებს ბიჭები ხუთსართულიანი სახლის სახურავიდან დატრიალებით აგდებდნენ. ცნობისმოყვარე დავითი ქვემოთ იდგა და დაკვირვებებს აწარმოებდა – მართლაც ფეხებით დახტებოდა თუ არა ცხოველი? ცდებმა დაადასტურა ხალხური ცოდნა კატების მოხერხებულობის შესახებ, თუმცა ასფალტზე დახტების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ფისუნიებს ფეხები ეშლებოდათ და ხშირ შემთხვევაში ისინი „ნაკერავზე სკდებოდნენ“. ერთი მაინც გადარჩენილა, ისიც ფეხებით დამხტარა და მხოლოდ წინა თათები მოსტეხია.

დავითი დავაუკაცდა და მოზრდილი მამაკაცის ცხოვრებას შეუდგა. დათოიას ცხოვრების აზრსა და მთავარ მიზანს ქალები წარმოადგენდნენ. მაღალი მამაკაცი, ელვარე თვალებით, რომაული პროფილითა და გვერდზე გადანეული შავი თმით, მზად იყო, ცხრა მთა გადაევლო და ცხრა ზღვა გადაეცურა, ოღონდ მორიგი ნადავლი ხელთ ეგდო. ოცი წლის დათოიამ ცოლიც შეირთო და მაღლე ვაჟიშვილიც გაჩნდა, რასაც სრულებით არ შეუშლია ხელი მამრის პოლიგამიური გატაცებისთვის.

იქვე, ქუთაისში, ბებიასთან, პატარა რუსი გოგო, ლარისა, იზრდებოდა. დროთა განმავლობაში მის გრძელ, ოქროსფერ თმებზე, მომხიბვლელ იერსა და ტან-ფეხზე ქალაქში ლეგენდები გავრცელდა. დათოიამ მოარულ ჭორებზე ყურები ცქვიტა, ხოლო ქალიშვილის ხილვის შემდეგ მოსვენება საბოლოოდ დაკარგა. ერთხელაც მოახერხა, ქალაქის პარკში ლარისა გაიცნო და სახლამდე მანქანითაც მიიყვანა. თვითონ ასე ყვებოდა, – ბაღ-

ში ერთი რუსის ნაშა დევინახე, რეს ფსამდა, ბოიშვილი ვიყოო! მიზანდასახული დათოია „დარაგაია ლაროჩკას“ დაბმას შეუდგა.

სანადელი მიზნის მისაღწევად ქალიშვილის არასრულნლოვან ასაკს თითქოს ხელი უნდა შეეშალა, თუმცა ასეთი უმნიშვნელო დეტალი მონდომებულ დავითს ვერ შეაჩერებდა. მისი ჯადოქარი მშობელი მამა „ქალაქკომის“ მერამდენედაც მდგვანი იყო. ამ მიზეზით, დათოიასთან ქურდებიც დიდი მონდომებით ახლობლობდნენ. ავტორიტეტებით გარშემორტყმული, მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცი, იმ დროისთვის იშვიათი საკუთარი მანქანით – „ბელაია ნოჩი“ „უიგული- 06“ – მეტი რაღა სჭირდებოდა გამოუცდელი პატარა გოგონას მახეში გაბმას?

ბევრი თხოვნა-მუდარის შემდეგ დათოიამ ლარისა ქალაქარეთ რესტორან „ცისკარში“ წაყვანაზე დაითანხმა. შემდეგ მოვლენები კლასიკური სქემით განვითარდა: მოხიბლა, დაათრო და უკანა გზაზე გუბისწყალთან გადაუხვია... მდინარის პირთან მიყენებულ „06“-ში გამართული ჭიდაობის შედეგი ნაპირს მომწყდარი შტერი ლორჯოებისთვისაც კი წინასწარ განსაზღვრული იყო – ერთი ციდა ლარისა და ჟინით შეპყრობილი ასკილოიანი ხორცის მასა. ქალიშვილი დანებდა...

სრულილიად ქუთაისის მამრები შურით უცქერდნენ ლარისას მოფრიალე ოქროსფერი თმებით შემკულ, „06“- ში გამოჭიმულ დათოიას. დადგა ცხელი ზაფხული. დავითის ოჯახობა – მეუღლე და პატარა ბიჭი სიდედრმა კოჯორში დასასვენებლად წაიყვანა. მამრი მარტო დარჩა და მთელ დღეებს, ლარისასთან ერთად, ქუთაისის რესტორნებში ატარებდა. ლამისკენ, კარგად გამომთვრალს, ლარისა საკუთარ სახლში მიჰყავდა და ცოლ-ქმრულ სარეცელზე უიმავდა. დაკმაყოფილების შემდეგ, სიმთვრალის მომიზეზებით, ავტოს მართვაზე უარს აცხადებდა. პატარა გოგო უხმოდ დგებოდა და ბებიას სახლისკენ ჩუმად მიიპარებოდა.

ბოლო- ბოლო, დათოიას ესეც მობეზრდა, დაიღალა, შვილიც მოენატრა. თბილისისკენ დაიძრა. ლარისაც თან წაიყვანა – გზაში ქალი ხომ სჭირდებოდა!.. კოჯორის გზაზე, სანამ გოგოს გზისპირა რესტორანში დატოვებდა, საჭეზე წაეძინა და დიდი სიჩქარით კლდის შვერილს შეასკდა...

ძლიერი დარტყმა. გამოფხიზლება. უგონო ლარისას უკან გადავარდნილი თავი – ფერმიხდილი სახე, სისხლი... მანქანიდან გადმოვიდა. გონებადაკარგულ ქალს მხარში ხელი ჰქრა. სხეული გადავარდა, სავარძელზე გადაწვა. თავის არედან სისხლი წვეთავდა. ოქროსფერი თმები წითლად შეიღება. იატაკზე ბლანტი სისხლის გუბე დადგა. ლარისამ კვნესა ამოუშვა... მოახლოებული მანქანის ხმა შემოესმა. შეეშინდა, კანკალმა აიტანა: „აუ, ეს რა შარში გავები!.. კვდება... ორსულადაა? არასრულნლოვანზე დიდი სროკია... არა, მე აქ არ ვყოფილვარ, საჭესთან სხვა იჯდა!...“

გადაწყვეტილება მყისიერად მიიღო. საბარგულიდან ბენზინით სავსე კანისტრა ამოიღო და მანქანას საწვავი უხვად გადაასხა... გზის პირისკენ დააგორა და ასანთს გაჰქრა... ალმოდებული ავტომობილი ხევში გადაეშვა. გაისმა აფეთქების ხმა...“

დათოია „ქალაქკომის“ მდიგან მამიკოსთან ქუთაისში დაბრუნდა და ყოველივე უამბო. აქეთური- იქეთური, დაინწყო საქმის გამოძიება, ჩანწყობა-მოსყიდვა, სასამართლო. ის იყო დავით-ისთვის პირობითი სასჯელი უნდა გამოეტანათ, რომ საიდნობაც გამოჩნდა ახალი მოწმე – მძღოლი, რომელმაც დამფრთხალი დათოია კოჯრის გზიდან წამოიყვანა. დამნაშავე დააპატიმრეს. მიუხედავად ლარისას ბების გაუთავებელი საჩივრებისა, მაინც „დაუდევრობა, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა“ მუხლით გაასამართლეს და სულ რაღაც 3 წელი მიუსაჯეს. ასე დასრულდა ამბავი დათოიას და ლარისას ტრაგიკული სიყვარულისა.

დათოიამ „სროკი“ მოიხადა და დიდი ზარ-ზეიმით „სვაბოდაზე“ გამოვიდა. მეუღლის მორჩილებაც გაასმაგდა და ძმა-ბიჭებში ავტორიტეტმაც ერთიორად იმატა. არც ქალებისადმი ლტოლვა დამცხრალა – მამრმა ნადირობა გააგრძელა და ქალს არ ტოვებდა. მორიგი მომხიბვლელი ობიექტის დანახვისას კვლავ ხვნებით წამოიძახებდა,– ვახ, რა ნაშაა, რძეს ფსამსო და გეგმას აწყობდა. ხან „პარნოიში“ გააქანებდა, ხანაც სასტუმროს ნომერში ამოამწყვდევდა. თუ ქალი გაბედავდა და გაჯიუტდებოდა, დათოიას მაინც თავისი გაჰქონდა – ან ასკილოიანი მასის ძალით, ან ალკოჰოლით და მსხვერპლის გათიშვით. თუ ძალიან გაჭირდებოდა და ქალი მედგრად უარობდა, დათოია მას

კლოფელინის წვეთებით აძინებდა და ასე, უგონო მდგომარეობაში ხმარობდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება ქეიფ-ქეიფში და ქალების ალერსში არხეინად მიედინებოდა. დათოია „კაი ბიჭებსა“ თუ „ქურდებშიც“ დამსახურებული პატივით სარგებლბდა. წვეულებებზე გამოთვრომის დროს ის კლასიკოსის სტრიქონს: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, – ხშირად იმეორებდა და სიბრძნის დასრულებისას, რათა საკუთარი ძალაუფლება და „კაცური კაცობა“ სტუმრებისთვის ენახებინა, მეუღლეს უეცრად მზის წნულში გამეტებით ურტყამდა. ისიც გაუსაძლისი ტკივილისგან ორად იკეცებოდა და მხოლოდ წაკნავლებას, – კაი, დათოია, რაია, მეტკიი-ი-ნაო... – თუ გაბედავდა, თუ არადა დებილივით იღიმებოდა...“

დადგა ერის გამჭოლი მორწმუნების ხანა! დავითმა ეკლესიას მიაშურა და მოძღვარს აღსარებაც ჩააბარა. დათოიამ „სტორი“ ანუ ქურდული ცხოვრება გააგრძელა და ამჯერად მრევლის თავზარულ ქალებს დაერია...“

ახალ დროებაში ბოლომდე მაინც არ გაუმართლა, მამიკოც მოხსნეს და ნარკოტიკზეც მაგრად შეჯდა. დროთა განმავლობაში წამლის შოვნა-შეძენა გართულდა და დაჭერებმაც იმატა. ცოლის მეჯვარე გოგოსთან ერთად, თეთრი ყაყაჩოს ყანებით აბიბინებულ უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში გაიპარა და იქ დასახლდა. ცოლ-შვილი საქართველოში დედ-მამას დაუტოვა. შემდეგ ქურდობისთვის უკრაინაშიც დაიჭირეს. ამჟამად კი, როგორც ყვებიან, გალოთებული სადღაც ჩაძალლებულა.

4. ტატო

ზადენელი ტატო იყო მელოტი, ჯმუხი ჭაბუკი, რომელიც ჯერ კიდევ ნორჩი ასაკიდან „კარნიირ ქურდობაზე“ ოცნებობდა. შემდეგ ყმაწვილმა „მომავლის“ სტატუსიც კი დაიმსახურა. ტატო მეტად აღაფრთვოვანა რაიონში ახლად გამოჩენილმა ზადენ-ორპირის მთავარეპისკოპოსმა სესემ. ის მასსავით ტანდაბალი იყო, სამაგიეროდ, ბელადის ძეგლივით მონუმენტური და მნიშვნელოვანი. ტატო მოხიბლა მეუფის დიდებულმა შესამოსელმა, მისმა ნარნარით სვლამ, რომლის დროსაც ის იატაკს თითქოს არც კი ეხებოდა და ეკლესიის სივრცეში

ისე მიღლივლივებდა. მღვდელმთავრის თეთრი, თმიანი მტევნის მრევლისთვის სამთხვევად მედიდურმა გაწვდენამ კი, „მომავალი“ ტატო საბოლოოდ დაატყვევა.

ერთხელაც ქუთაისში ჩასულმა ტატომ, ციხიდან ახლად გათავისუფლებული, უფროსი ნათესავი, დათოია, მოინახულა. სუფრა გაიშალა, იქეიფეს. მეორე დღეს მასპინძელმა სტუმარი „ბოზებში წაიყვანა“. სწორედ იქ შეიცნო ტატომ პირველად ქალი და აითვისა სუსტ სქესთან ურთიერთობის წესები. დროთა განმავლობაში ტატო დახელოვნდა და გაწაფულ „მონადირედაც“ იქცა. მორიგი „ახალი ხორცისგან“ მიღებული სიამოვნების შემდეგ ის გვერდზე ოთახში ძმაბიჭებთან გამოდიოდა, შარვლის ელვას იწევდა და ამბობდა: „ქალები ყველა ერთი ყ...თ არიენ ნაკეთები, პროსტა სახელები აქვთ სხვადასხვაო“.

ერთხელაც, წირვაზე, ტატომ სამედიცინოდამთავრებული გოგო – ეკა დაინახა და მოიხიბლა. მეძავებით გატაცება ამ ღრმა გრძნობის წინაშე სრულებით გაფერმკრთალდა. ლტოლვა ცალმხრივი აღმოჩნდა. თუმცა, რისი ტატო იყო, რომ ასე იოლად დანებებიდა განსაცდელს. მან ეკას დაქალი მაკო გაიცნო. თავიდან, მაკოს ხელით, სატრფოს პატარა ხატებს უგზავნიდა, ბოლოს ძვირადლირებულ ფრანგულ სუნამოებზე გადავიდა და ეკას კეთილგანწყობაც დაიმსახურა.

ამასაობაში რაიონს ტოლიატის საავტომობილო ქარხნის „მაყურებელი“, ცნობილი ქურდი, სოლომონი, მეტსახელად დოდელო, ეწვია. ზადენი-ორპირის ეპარქიის ქურდები სტუმარს თავს ევლებოდნენ. რამდენიმედღიანი ღრეულის შემდეგ ტატომ დოდელო წირვაზე წაიყვანა, რადგან ეპარქიის მღვდელმთავარმა უკმაყოფილება გამოიქვა საპატიო სტუმრის უყურადლებობის გამო.

ტაძრიდან გამოსული დოდელო ტატოს უხსნიდა, რატომაა ქურდობა ღვთის სათონ საქმე, – ქრისტესთან ერთად, პირველმა, ხომ ავაზაკმა შეალო სასუფევლის კარიო. თუმცა, როგორც კი მეუფის ახალ ჯიპს ჩაუარეს, დამრიგებლის საუბარმა მკრეხელური ელფერი შეიძინა – „ამ მამაოებს ყლ...ც მუტ...ში უნდათ რომ ჰქონდეთ და სულიც სამოთხეშიო“, – განაცხადა დოდელომ. ამ დროს ეკლესიასთან თავნაკრული ეკაც გამოჩნდა

და ტატოს მორცხვად მიესალმა. ამჯერად დოდელო გადაირია ეკას ხილვით და ბრძანა, – „დღეს ეს ნაშა რესტორან „ცისკარში“ საქეიფოდ მიგვყავსო“. ტატომ მასწავლებელს უარის თქმა ვერ შეჰპედა.

სალამოს, მაკოს დახმარებით, ორივე გოგო „ცისკარში“ იყო. გაიმართა დიდი ქეიფი. ტატო დათვრა და, დოდელოს დასანახად, დაიწყო „ფულის თავზე ყრა“ – იატაკზე მიმოაბნია, რამდენიმე კუპიურა გადახია, „მუზიკანტებსაც ჩაუკუჭა“. ეკა ყველაფერს ამას ზიზღით უმზერდა, შემდეგ, ტატოს ჯინაზე, დოდელოს გაუღიმა და მასთან გადაჯდა.

შამპანურის სმა დილამდე გაგრძელდა. ქალები კარგად გამოათვრეს. დოდელომ ეკა რესტორნის სასტუმრო ოთახებისკენ გაიტყუა... მოულოდნებულად, გაისმა ეკას კივილის ხმა და ტატომ დერეფანში დასისხლიანებული ეკა დაინახა. როგორც შემდეგ გაირკვა, დოდელოს გოგოსთვის გახდა შეუთავაზებია, ეკა სასტიკ უარზე დამდგარა. ექსტაზში შესულ მამაკაცს ქალისთვის სახეზე დანა დაუსვამს.

საქმე როგორლაც მიჩქმალეს – ვინ გაბედავდა ქურდების საწინააღმდეგოდ წასვლას?! ტატო კი, დოდელოს რეკომენდაციით, „ქურდად“ აკურთხეს. ამ დიადი მოვლენის აღსანიშნავად საარაკო ქეიფიც გაიმართა და, საპატიო სტუმრის რანგში, სუფრას მთავარებისკოპოსი სესეც დაესწრო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მხოლოდ ეკას დაქალი, მაკო, გამოთვრა და კაცებს ქეიფი ჩააშხამა – ესტრადაზე ავიდა, მიკროფონი ხელთ იგდო და ხმამაღლა ჩასძახა: „თქვენისთანა კაცების დედას შევეცი მეო!“. განსაკუთრებით სესე ეპისკოპოსი განაწყენებულა და მაკოსთვის ეკლესიასთან ახლოს გამოჩნდაც კი აუკრძალავს.

გავიდა ხანი, ეკა მონაზგნად აღიკვეცა. დადგა ქურდებისთვის ავადსახსენებელი 2003 წელი. ტატო დოდელოსთან ტოლიატიში გადაბარგდა. იქ დიდი ფული იშოვა და ეკლესის მშენებლობისთვის სესე ეპისკოპოსს ფული შესწირა.

ტატომ მაინც აისრულა დიდი ხნის გულისწადილი და მთავარებისკოპოს სესეს კურთხევით ზადენში ქურდის სახელზე დიდი ეკლესია აიგო. იჯდა ტოლიატიში – ჰეროინით დაკაიფებული, მთვრალ ბოზებთან ერთად, სესეს მიერ გამოგზავნილ

ტაძრის სურათებს ათვალიერებდა და საკუთარი, არა მხოლოდ ამქვეყნიური დიდებით ტკბებოდა. საახალწლოდ კი, მორიგი ქურდული გადანაწილებისას, გასართობად გამოძახებულმა „სექს-სნეგუროჩკამ“ ის ავტომატის ჯერით სიცოცხლეს გამოასალმა...

ორპირელმა ფუკომ ეს ამბავი საბას მოუთხრო, ამ უკანასკნელმა კი მორიგი იგავი დაწერა, რომელსაც დასკვნა დაურთო: „... ასეთი გახლდათ სესეს და ტატოს მოღვაწეობის გვირგვინი – მათ მოახერხეს და, სხვა ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ადამიანებს ეკლესიისადმი ნდობა შეურყის და რნენაც მოჰპარეს. ღმერთი, თითქოს ვერა... თუმცა, ვერც ამას იტყვი დანამდვილებით – ღმერთი კერპმა შეცვალა, ქრისტიანული სიყვარული და თავგანწირვა კი წეს-ჩვეულების აღსრულებამ“. ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო – იქა, ფქვილი – აქაო, – ჩვეულებისამებრ, ასრულებდა მეიგავე საბა.

5. ილია

ორპირის რაიონი, სოფელი ლურთა. იქვე ჩამოდის პატარა ღელე ჭურთავა. თუ გადავხედავთ სოფლის მიძინებულ პეიზაჟ-სა და მის ქუჩებში უქმად მოხეტიალე ახალგაზრდებს, გავბედავ და ფრთხილად ვივარაუდებ: ვიღაც ზარმაცს ასო – „ჭ“-ს გამოთქმა დაზარებია, მდინარის დასახელების დაბოლოება შეუკვეცავს და სოფლისთვის ლურთა უწინდებია. თუმცა არსებობს სოფლის დასახელების სხვა, ლიტერატურული ვერსიაც...

მე სწორედ ლურთას ვსტუმრობ. გაჩერებული ვარ ახლო ნათესავებთან – ილიასთან და მის დედასთან, მარიამთან. ზაფხულია, საწოლში ვკოტრიალობთ და უსაქმურობისგან ვიტან-ჯებით. იქვე, მეზობლად, ასე ას მეტრში, ცხოვრობს ჩვენი საერთო ნათესავი, ბიჭიკო. იღიკოს ვთავაზობ: „ბიჭიკოსთან გადავიდეთ, გავერთობით, ეგებ გვაქეიფოს კიდეც“. მპასუხობს: „მეიცა, ფუკოია, იგი იმდენს მუშაობს, რო მარტო ყურებით დევილლებით“. ბიჭიკოსთან ვიზიტი გადავიფიქრეთ, სოფლის შარაზე გავდივართ.

წრეში ზის ასე თხუთმეტამდე ახალგაზრდა. „ტრუხა“, უვარგის პლანს აბოლებენ – ფილტვებს ამაოდ იჭვარტლავენ. მივედ-

ით, დავდექით, გაზეთის ნაგლეჯის დიდი ყალიონი მოგვაწოდეს. ერთი-ერთი ზეცისკენ იხედება და ოხვრით წარმოთქვამს: „დალევდა კაცი არაყს...“, მეორე ბანს აძლევს: „აბაა...“. მე გაკვირვებული ვეკითხები: „როგორ, სოფელში არაყი არა გაქვთ?!“, კოლექტიური პასუხი: „არაა, არ მევიდა წელს „ადესა“...

ილია სოფელ ლურთას ელსადგურის მთავარი ინუინერია. გადასარევი პიროვნებაა – გულდია, ალალი და უბოროტო, მუდამ ოდნავ შეზარხოშებული, გაღიმებული სახით... კი მერიდება მასპინძელზე აუგის თქმა, მაგრამ ჩემსავით უდარდელია და უქნარა – ჭეშმარიტი ლურთელი ლუარსაბ თათქარიძე.

სახლში დავბრუნდით. მეორე სართულზე დიდ ოთახში გვერდიგვერდ მდგარ საწოლებზე გავიშხლართეთ. ლურთავულ „სიესტას“ ვაწყობთ. მე ვაბოლებ. ილიკო მოზრდილ ტომს იღებს – თანამდებობისა და ხელფასის შესანარჩუნებლად ტესტები აქვს ჩასაბარებელი. კითხულობს, თვალები ელულება. მალევე გაშლილ წიგნს სახეზე იფარებს და იძინებს. ჩემი მათთან სტუმრობის განმავლობაში ეს სცენა ყოველდღე განმეორდება, წიგნი კი ერთსა და იმავე ფურცელზე დარჩება გადაშლილი.

ერთ დღესაც დედა ეძახის, ის დიასახლისია და ქვემოთ, ქურასთან, ფუსფუსებს:

- დია, არ ვაჭამოთ ფუკოს აჯაფსანდალი?
- კი, დეე.
- მოთხარე მერე კარტოფილი.
- ლაფართქა არაა.
- გადაი მერე მეზობლებში.

სანამ მე და ილია ავიზლაზნებით და ხელ-პირს დავიბანთ, მცირე წიაღსვლა წარსულში. ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობისას, კომუნისტების დროს, ამ მიწაზე ცხოვრობდნენ ჩვენი საერთო პაპიდები – ანასტასია და ქეთევანი. კვირაში ერთხელ სანათესაო მათთან, სოფელში, ვიკრიბებოდით ხოლმე. იშლებოდა დიდი სუფრა, რომელსაც „ჩიტის რძე არ აკლდა“. შემოქმედნი ამ უხვი ნადიმისა კი იყვნენ ის ხანში შესული, წელში მოხრილი დები – ანასტასია და ქეთევანი. ქალები, როგორც იტყვიან, „დღედაღამ მიწაში თავით ესობოდნენ“, ოღონდ ჩვენთვის ეამებინათ. ბაბუა

თავის ჩია ტანის გაუთხოვარ დებზე ასე ხუმრობდა – იმხელა კეცში აცხობენ ხაჭაპურს, რომ წაიქცნენ, ზედ ტყუპებივით თავისუფლად დაეტევიანო.

სოფლის ამჟამინდელ გაჩანაგებას ოჯახის დიასახლისი ასე ხსნის:

- მარიამ, ძროხები რა უყავი?
- ძროხაა?.. უი, გაბერნდა!
- ღორი?
- ღორი?.. უი, ჭირი დეემართა!
- ინდაური, ქათამი?
- ინდაური?... უი, მაგენიც ჭირმა დახოცა! მაგენი გადაშენდა საცხა, გამინადგურენ ეზო!

ახლა კი კვლავ დავუპრუნდეთ აჯაფსანდალის მომზადების დიად ეპოქეას და კარტოფილის მოპოვების სიძნელეებს. მე და ილია აუჩქარებლად ვდგებით, ასევე ნელა ქვემოთ ჩავდივართ და ზანტად ვინყებთ „ლაფართქის“ ძებნას... სახლის სარდაფის უშედეგო მიმოხილვის შემდეგ, მეზობლებთან გადავდივართ.

პირველი მეზობელი – უარი, მეორე – იგივე... მესამესთან, როგორც იქნა გაგვიმართლა – მოგვცეს ბავშვის ქვიშაში სათამაშო ნიჩაბი... პატარა ვედრუკა არ მოაყოლეს და ქვიშაში, ფისი-ფისი ქენითო, არ უთქვამთ...

მოკლედ, როგორც იქნა, ათამდე კარტოფილი მიწიდან ამოვჩიჩენეთ და მალევე არომატულად შეკმაზული აჯაფსანდალიც მივირთვით. ეგაა სულ, რისი მოყოლეაც მინდოდა.

ორი სიტყვით, ილიას ელსადგურში მუშაობის შესახებ. დიდად არც იქ იკლავს თავს. ლამის მორიგეობაზე კი ძირითადად სძინავს. დღის სამ საათზე სახლში ბრუნდება. ერთხელ ვკითხე – შენი უფროსი, უორა, როგორ მყავს-თქო? კიდევ აგურ-აგურ შლის შენობებს, არმატურებს აძრობს და ყიდის-თქო?

ილია მპასუხობს, – ბიჭო, ფუკოია, მაგი კი არა, ლამის მორიგეობაზე რკინის კრავატზე მძინავს და დილაზე მეშინია, საჯართეში ჩაბარებულმა არ გევიღვიძო! მე ძილს ვერ ოუვედი და უორა კიდო, ჯართის ბარებას.

...ორპირელმა საბამ, ლურთელებს მორიგი იგავი მიუძღვნა: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო

სოფელი პლანადიდი! ჰორიზონტამდე კანაფის თვალუწვდენელი, აბიბინებული ყანები. ახალგაზრდები და ხანშიშესულები წვანან, ერთ ლარიან „კარბიდის“ არაყს „უბრახუნებენ“ და მოსაწევს ზანტად „უქიშინებენ“. პლანადიდში ყველაზე დეფიციტური საქონელია – ასანთი და გაზეთი, რომლიდანაც პლანის გასახვევი ყალიონები მზადდება. პომიდორი, კიტრი, ლობიო, ერთ-ორ, კიდევ შემორჩენილ, უცნაურ მოხუცს მოჰყავს. არავინ თესავს, არავინ ხნავს, არავინ სხლავს, არც თხოვდებიან, არც მრავლდებიან, მეტიც, თქვენ წარმოიდგინეთ – არავინ კვდება!!! ყველა არხეინად წევს და „ტრუხა“ პლანს აბოლებს...“

6. აკაკი

მე ფუკო ვარ, ორპირის რაიონის მკვიდრი და მინდა გიამბოთ ჩემს ყოფილ მეგობარზე ქუთაისელ აკაკიზე. დღეს ჩემი ცნობიერება ცდილობს, იმ დღეებზე ხსოვნა, რაც შეუძლია, განდევნოს და ამ ურთიერთობის ყველა კვალი ამოშალოს. რატომ არ მსურს საკუთარ თავთანაც კი ვაღიარო, რომ აკაკი ოდეს-ლაც ჩემი მეგობარი მართლაც იყო და მთელ დღეებს მასთან ერთად ვატარებდი, ახლავე მოგითხობთ.

იმხანად ქუთაისში დაქირავებულ ოროთახიან ბინაში ცალე ვცხოვრობდი და ბიჭები, „ნაშებთან“ ერთად, ხშირად მსტუმრობდნენ. ერთხელაც მეგობარმა ზადენელი ტატო გამაცნო, რომელიც მეორე დღის საღამოსვე, სამ გოგოსთან და ქუთაისელ აკაკისთან ერთად ჩემთან ამოვიდა. იმ დღეს სხვა ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა – ცოტა დავლიეთ, გრძლად გავაბოლეთ, ბევრი ვიცინეთ და სტუმრები წავიდნენ. დროთა განმავლობაში, ინტერესთა თანხვედრამ მე და აკაკი დაგვამეგობრა – მე ბინა მქონდა, მას კი ახალთახალი „უიგული“ ჰყავდა და ქალებით გარშემორტყმული ქუთაისელი ძველი ბიჭიც იყო.

როგორც შემდეგ გაირკვა, აკაკის, იმავე „კაკიეს“ ძირითად სათხოებას ადამიანთა მოდგმის კლოფელინით მიძინება წარმოადგენდა. ამ უფერულ და უგემო სითხეს, რომლის სულ 3-5 წევთი სრულებით თიშავს და ერთი-ორი დღით ღრმად აძინებს ბრგე ვაჟკაცსაც კი, ის ვირტუოზულად ხმარობდა.

წამალს მუდამ ჯიბით დაატარებდა და, როგორც კი საჭიროება პიროვნების გაქვავება-გახევებას მოითხოვდა, თვითნასწავლი ანესთეზიოლოგი მტევანში დამალულ წამლიან ტუბს შეუმჩნეველად ჭიქისა თუ საჭმლის თავზე გადაატარებდა და სითხის სულ რამდენიმე წვეთს გამოჭყლეტდა. შემდეგ არასასურველი მოწმე თუ პირიქით, მეტად სასურველი ქალბატონი კლოფელინიან ღვინოს, წყალსა თუ საჭმელს მიირთმევდა და 30-40 წუთში მთქნარებ-მთქნარებით ადგილზევე ღრმად იძინებდა. ასეთი გახლდათ აკაკის ულმობელი ბრენდი.

იმხანად ამგვარ „გამაქვავებელ“ გართობებში მეც დიდი ხალისით ვმონაწილეობდი და კარგადაც ვერთობოდი. მაგალითად, ერთხელ აკაკიმ თამადა მიაძინა. ქორნილში, მაგრად დაბოლებულები, ერთად მივედით. თამადა ჩემი ქირურგი მამის ყოფილი პაციენტი აღმოჩნდა, მეც უცებ მიცნო და თავისთან გვიხმო. გიგანტმა, რომელიც ორი ავტონომიური წანილისგან შედგებოდა – ხელუწვდენელი ლიპი და ორ მეტრამდე სიმაღლის, ცხიმიანი ხორცის მასა – გვერდით მოგვისვა და სანამ სუფრა თვიციალურად გაიხსნებოდა, „განსხვავებულებით“ მოთელვას ჩვენთან შეუდგა. ერთი ავითვისეთ, მეორემ უკვე გატეხა – გაბოლებულზე, მჟავე, თბილი ღვინო არ წავიდა. აკაკიმ თვალი ჩამიკრა და სალათიანი დიდი თევზისკენ ხელი წაიღო... მეორე ჭიქას მესამე მოჰყვა – ამასობაში თამადამ ნახევარი თევზი სალათი კუჭში გადაუშვა. შემოვიდა სიძე-დედოფალი. დამკვრელები, ტუში, მილოცვები, კისკისი... და თამადამ დიდი ყანნი შეავსო. ოდნავ აბნეულად კი დაიწყო... დიდ ხანს აღარ გაუგრძელებია და უძირო სასმისის დაცლას შეუდგა. სადღაც მესამედზე შეისვენა, დაბნეულმა აქეთ-იქეთ გაიხედა – ვინმემ ხომ არ შემამჩნია, ამ ყანნის დაცლა ასე რომ მიჭირსო?.. არაუშავს, „კლაპანი გამეხსნებაო“, გაიფიქრა, თავს ძალა დაატანა და განაგრძო... ისევ შეჩერდა, წაბარბაცდა... მოულოდნელად, დევივით კაცი მოიკეცა, თავი გოჭის ხორციან თევზში ჩარგო და ხვრინვა ამოუშვა! ლილიპუტების ყვირილი, გინება, კივილი – ყოველივე ამაო იყო – უსულო გულივერი ხმას არ იღებდა, ლიპი კი აუჩქარებლად და ავტონომიურად სუნთქვავდა... ბოლოს დაასკვნეს, რომ „ალბათ

ეს უნამუსო ქორნილის დაწყებამდე სადღაც გამოთვრაო“. გოლიათი საწოლამდე რამდენიმე კაცმა ძლივს მიათრია. ახალი თამადის დანიშვნამდე, სუფრა კარგა ხნით არეულობამ მოიცვა, სტუმრები არაორგანიზებულ ჭამა-სმას შეუდგნენ. ოჯახის უფროსი ლამისაა ტიროდა – ამოდენა ხარჯი, რუდუნებით გაწყობილი სუფრა თითქმის წყალში ჩაეყარა... ჩვენ, ბიჭებთან ერთად, სეფის შესასვლელთან ტარიანს ვაბოლებდით და სიცილით ვიხეოდით.

ერთხელ გარკვეული სარგებელიც მივიღე, როდესაც კაკიამ, ჩემთვის მოულოდნელად, ერთი საკმაოდ მდიდარი მამაკაცი, რომელმაც რესტორანში მიგვიპატიუა, კლოფელინით მიაძინა, მას საბუთები ამოაცალა და სახლში ისე მიიყვანა. შემდეგ ამ საბუთების დაბრუნებაში ფული აიღო და გამიყო.

...ის დროც დადგა, რომლის დავიწყებასაც ასეთი მონდომებით ვცდილობ. მე და აკაკი ავტოთი დედაქალაქში წავედით. დილაადრიან კი, ჩემი თბილისელი მეგობარი ივანე და მისი ძმაკაცი უკვე სახაშეში გვიმასპინძლდებოდნენ. შემდეგ დასასვენებლად ერთ სახლში მიგვიყვანეს. ივიკომ პატიება ითხოვა, რადგან, გადაუდებელი საქმის გამო, ერთი დღლით უნდა დავეტოვებინეთ, ხოლო ჩვენთან მისი ძმაკაცი დარჩა. სახლი, რომელშიც დავპინავდით, ივას საყვარელ ქალს, ტასოს, ეკუთვნოდა, რომლის ქმარიც, წლებია საზღვარგარეთ მუშაობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ საღამოს ტასოს დაბადების დღეა და მას სტუმრად დაქალებიც ეწვევიან. აკაკი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მე კი ვსვამდი და ვთვრებოდი... ვიძინებდი და ისევ თავიდან... მოსაღამოვდა, სტუმრებმა შეკრება დაიწყეს. ამასობაში აკაკიმ თავის ქუთასელ მეგობარს, ვაჟას, რომელიც ჩვენსავით თბილისს სტუმრობდა, დაურეკა და ისიც, ყვავილებით ხელდამშვენებული, ტასოსთან გამოცხადდა.

მხიარული სუფრა დაიწყო, მე ისევ გაუთავებლად ვსვამდი... რაღა ბევრი გავაგრძელო და... როდესაც გათიშულმა ოდნავ შევიღვიძე, თვალი ოდნავ შევაღე, გადმოვტრიალდი და... თვალნინ ასეთი სურათი წარმომიდგა: გვერდით საწოლზე ტასო უგონოდ ეგდო, ზედ აკაკი მხედარივით ეჯდა და აუჩქარებლად ჟიმავდა. მან გადმომხედა, გამიღიმა და საქმიანად გააგრძე-

ლა. იქვე, სავარძელში, ივიკოს მეგობარი, ჩვენი მასპინძელი, უგონოდ ესვენა. მე კვლავ ძილმა წამიღო. შემდეგი თვალის გახელისას, ტასოს უკვე ვაჟა, ასევე საქმიანად, უქანავებდა. მე კვლავ გაუნძრევლად ვეგდე...

ალბათ გაგიჩნდათ კითხვა: მე ან თუნდაც ივიკოს მეგობარ-მა ხმა რატომ არ ამოვიღეთ? ყველა ერთად, რათა პროტესტის და განძრევის თავი არ გვქონდა, კლოთელინით ვიყავით და-ნაყრებული. მე, როგორც შინაურს, შედარებით მცირე დოზა მერგო.

ივიკოსა და ტასოს ბინა იმ ლამესვე დავტოვეთ. ქუთაისში ჩამოვედით. მე გამოვფხიზლდი და სასწრაფოდ არაყი მოვით-ხოვე...

აქამდე არ ვიცი, ივიკო რომ შემხვდეს, თავი რით ვიმართლო, ჩემი უმოქმედობა როგორ ავხსნა? ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ კაკიასთან მეგობრობა ამ შემთხვევის შემდეგაც გავაგრძელე და მხოლოდ მოგვიანებით დავშორდი, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ.

7. ვაჟა

ორპირელი „ბელურა“ საშუალო რანგის მხედრიონელი გახლდათ. სამოქალაქო ომის დროს ის ზომიერად ყაჩალობდა და ორპირის საზოგადოების მდიდარ წევრებს თავშეკავებულად აწამებდა. სანდო წყაროებიდან დასტურდება, რომ ის ბრტყელ-ტუჩათი, როგორც სხვა ყაჩალები, ადამიანებს ოქროს კბილებს არ აძრობდა და ცხელი უთოთი არ აუთოებდა. სწორედ „ბელურამ“ სახალხოდ „მიტისკა“ ორპირში ძმასთან დროებით ჩასახლებული ქუთაისელი ვაჟა და დასასრულს მიაძახა, – შე, ბოზოო! გავიდა წლები, ომი დამთავრდა. იმ დროს ორპირს ნამორფინისტალი თბილისელი, უკვე გაალკაშებული ფუკო სტუმრობდა. სწორედ „ფუკოიას“, როგორც ყოფილ, მაგრამ მაინც ასაკით უფროს ავტორიტეტს, მიაკითხა ვაჟამ, ძმასთან ერთად, და სთხოვა, „ბელურასთან“ შერიგება გვინდაო.

მებმა შეხვედრისთვის უცნაური ადგილი – რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი აირჩიეს. ფუკოსთან ერთად მივიდნენ. მალევე „ბელურაც“ გამოჩნდა. მოახლოებისას შესძახა: „ფუტურ-

ისტების დრო მევიდა, თქვე ბო... ის იყო უნდა დაესრულებინა, რომ მშვიდობისმყოფელმა ფუკომ მიაგება, – „კაი ბიჭებს გაუმა-ჯოსო!“. ერთ სიტყვას, მეორე მოჰყვა – „ბელურა“ მოიხიბლა თბილისელის ლალი საუბრით. ცოტა ხანში იქვე მდგომ ძმებს ყურადღებას ალარავინ აქცევდა, ფუკო და „ბელურა“ ხიდს მიეყუდნენ და მშვიდობიანი საუბარი განაგრძეს. ომი მიმოხილეს, წამალზე არ უსაუბრიათ, მხოლოდ ჯიშიანი პლანის ადგილობრივი მფლობელები გაიხსენეს და ის იყო, ფუკომ სტუმრის სასადილოში დაპატიჟება გადაწყვიტა, „ბელურას“ მიუტრიალდა... მხედრიონელი კი სადღაც გამქრალიყო...

„ბლატაობით“ გართულ „ბელურას“ ძმები შეუმჩნევლად მიპარვიან, ფეხები გამოუშლიათ და ათი მეტრის სიმაღლის ხიდიდან გადაუგდიათ. ბნელოდა, თუმცა ვარდნისას „ბელურას“ – „თქვე ბოზებო“ და ლიანდაგებზე დანარცხების ყრუ ხმა სამივეს კარგად გაუგონია. ხიდის ქვეშაც არ ჩასულან, ფუკო მეგობრებთან ყვებოდა, – ასიანი მკვდარი იქნებოდა, თან პახმელიაც მეწყებოდაო. ფუკომ იჩხუბა, იყვირა, – ეს რა შარში გამხვიერ, რატომ არ გამაფრთხილეთო. ბოლოს კი ბედისწერას დანებდა და, ძმებთან ერთად, მაგრად გამოთვრა.

„ბელურა“ ვიღაც მადლიან რკინიგზელს უპოვია და საავადმყოფოში მიუთრევია. ექიმებსაც თავის ქალა აუხადიათ და ტვინში ჩაუხედავთ. ტრავმის შედეგად „ბელურას“ ტვინს შეშუპება დაუწყია. შეშუპებული ტვინის ქსოვილი ხერხების ვიწრო არხში ჩაჭედილა, გაჭყლეტილა და კვდომა დაუწყია. კიდევ ეს უნდოდა „ბელურას“ ლიანდაგებზე დახეთქებისგან ისედაც დაუჟეუილ ტვინს?! სწორედ ტვინის ღეროს კომპრესიის თავიდან ასაცილებლად, „ბელურას“ თავის ძვლოვან კოლოფში ორმხრივი, ოთხეუთხა ფანჯრები ამოუტეხეს. „ბელურას“ ტვინმა ამოისუნთქა, მან გზა იპოვნა და ზემოთ, ამოტეხილ ფანჯრებში პასკასავით ამოფუვდა. ამოსულ ტვინზე ექთნები „ფიზიოლოგიური ხსნარით“ დასველებულ საფენებს ადებდნენ – ტვინის რუხი ნივთიერება სასიამოვნო სიგრილემ მოიცვა. უგონო მდგომარეობაში მყოფ, თოლიად ქცეულ „ბელურას“ კი, ამ დროს გრილი ოკეანე და „დაზაგრული ნაშები“ ესიზმრებოდა.

არავის ეგონა, თუ „ბეღურა“ ამ ქვეყნისკენ მოიხედავდა, მაგრამ ის გადარჩა! თბილისელ ამფისონებთან ფუკო ასე ყვებოდა: „დღესაც მაგრად უბერვას – პერიოდულად დაუთოებულ ცხვირსახოცებს აგროვებს მეზობლებში და აბაროტის აღებაზე მაინც ფიქრობსო“.

„ბეღურას“ არაპროგნოზირებად ტვინთან დაკავშირებული საფრთხეების გამო, იმ დროისთვის უკვე განარკომანებული ვაჟა და მისი ძმა უკრაინის პატარა ქალაქში, მაკეევკაში, გადაიხვეწნენ. სწორედ იქ, ყოველგვარი „აბაროტის“ გარეშე, ღვიძლის ციროზითა და ჩამდგარი სითხისგან დაბერილი მუცლებით პოვეს ძმებმა სამუდამო განსასვენებელიც...

III. განხილვა

მკითხველმა დაასრულა. მწერალთა კრებული გამოცოცხლდა. თავმჯდომარემ დაიწყო:

– მაშ ასე, შევუდგეთ... რალაც ცოტანი ვართ? თანამედროვე კლასიკოსები რატომ არ ესწრებიან?

ვაჟა:

— „თანამედროვები“? 1977-ში საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გაასამართლეს?!

შოთა:

– ვაჟა ბატონო, არ გინდათ, კოლეგები არიან, მაინც...
– უკაცრავად. დიდმა გამომცემელმა არ დაუშვა... პოეტი კი ალბათ, ვერ ადგა, ნაბახუსევია.
– გასაგებიაა... კარგი, ისე დავიწყოთ. საბა, გეთაყვა გთხოვთ:
– მომენტია, კარგად წერს, გაბედულია... ანაფორიანებსაც თამამად უტევს, ღირსია!

ვაჟა:

– მეც ასე ვთვლი!
თავმჯდომარე:
– ბატონებო, დავით, ილია, აკაკი, რას იტყვით?
დავითი:

– ცხოველებიდან სუსტ სქესზე გადასვლა კარგი იყო! უმწეოებზე ძალადობა, ფეოდალური საზოგადოება, საშინელება! არც ეს მითოლოგია და ფარისევლობა სრულდება, გასაოცარია – ჩვენში არაფერი იცვლება! თუმცა, ვგონებ, ავტორი ცინიკოსია, დავაკვირდეთ...

ილია:

ძველი ერი ვართ – ალბათ გენი დაგვიბერდა. ვირთხებს დავემსგავსეთ. დამპყრობელი და საუკუნებრივი მონობა. სიცრუე და მლიქვნელობა, შური და ბოლმა, უქნარობა და სიბნელე – მონების ბედნიერი ერი. ავტორი მართალია, კოლექტივიზმს ქირურგიული მეთოდები სჭირდება – მხარს ვუჭერ!

აკაკი:

– მე, არა! ეს არაა მთელი ერის პორტრეტი, ეს არ გახლავთ, ბატონებო, ტიპური. ყველა ერში ხდება ცუდი, ამაზე უარესიც. თან, სიყვარულს, სინაულს ვერ ვხედავ. ჩემი აზრით, ჯერ ადრეა, ბლოგზე დაიწყოს.

ტატო:

– დიახ, ფოლიანტში შეტანა ჯერ ადრეა. ბლოგზე დადოს. ჩემ წინ დაფა იდგა. ზედ ეწერა: „ქართული მწერლობის ბლოგი. თავისუფალი სივრცე. ქართული მწერლობა არ აგებს პასუხს პოსტის შინაარსზე, ის, შესაძლოა, არ ასახავდეს კლასიკოსების პოზიციას“.

თავმჯდომარე:

– მეგობრებო, როგორც ხედავთ, ჩვენი სამშობლო საუკუნეებია არ იცვლება – მთელი სამყარო თეატრია, მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ ცირკში. ვატყობ, ავტორი ზედმეტად სერიოზულად აღიქვამს ყოველივეს. კოლეგავ, ცოტა ადვილად, ადვილად... აბა, გთხოვთ, კიდევ რას დაამატებთ?

ილია:

– დიდი მოდუნებაა ივერიაში, ერთ დიდ ამოუვალ ჭაობში ვზივართ და ღმერთმა იცის, ამოვძვრებით თუ არა. დიახ, ქართველებს გენი დაგვიბერდა!

აკაკი:

– „ქართული გენი“ როგორია, გერმანულისგან განსხვავებული? აქამდე გენი დნკ-ს მონაკვეთს წარმოადგენდა. ილია ჩემო, ახალი ბიოქიმიაა, „მართლმადიდებლური“?.. ბლოგზე და-დოს, შევხედოთ...

მე ავტირდი, დავპატარავდი, სად გავმქრალიყავი, არ ვი-ცოდი. ამ დროს დიდი გამომცემელი გამოჩნდა და მეუბნება:

– ფუკო, რა დაგემართა, ნუ ტირი საყვარელო. ესენი სულ ასე ჩხუბობენ, ადამიანები არიან. ფოლიანტში ამის შეტანა დი-დად არც უნდათ, კონკურენციას ესენიც უფრთხიან. მერე, ვის უყვარს სარკეში ჩახედვა? ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმს-გავსობაზე სიმართლის თქმა ცოდვად გეთვლება. ძმაო, დაი-კიდე, მწერლების მთავარი მიზანია – კლასიკოსების სიაში, ღმერთმა არ ქნას, რომ ახალი სახელი შევიდეს! დაიკიდე, ძმაო და გაიღიმე...

– აუ, აქაც იგივე, დაიკიდე, მოიცადე, სანამ?! – გავიფიქრე მე.

გამომცემელმა გულში ჩამიკრა და მომიგო:

– მუდამ გახსოვედეს, ესენი ადამიანები არიან, გენიოსები, მაგრამ მაინც ადამიანები. ადამიანი – ცვალებადია – ამაშია მისი სისუსტეც და სიძლიერეც. ახალს ყველა ენინაალმდეგება. აბა, როგორ გინდა? შენი არჩევანი პროტესტია – ანუ მოწამეობა. ამას უნდა შეურიგდე. პრომეთეც კი ზევსმა მთას მიაჯაჭვა. ტკივილი – მუდმივი მდგომარეობაა... გკოცნი და მუდამ შენთან ვარ... დროებით, ძმაო!

ნაწილი IV. დასასრული

თერიტორიული მეცნიერებები: ფუკოს ეპიდემიას პრიცეპი

გწერ, ჩემო მეგობარო N, გწერ, რადგან მხოლოდ შენ შე-გიძლია გაიზიარო ჩემი გულისტკივილი, გაიგო მისი მიზეზი. თუმცა, ისიც ვიცი, რომ შენ, მიუნების შემოდგომისგან მოიქრულ პარკში („Goldener Oktomber“) ზიხარ, სუსხითა და გამხმარი ფოთლების სურნელით გაბრუებული, კუნდერას მორიგ ტომს ფურცლავ და ჩვენი ყოველდღიური ყოფა ნაკ-ლებად გაინტერესებს. ჩემო N, მაინც გწერ, რადგან მარტო ვარ...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ულიმლამო ადამიანთა ზეიმია საქა-რთველოში. რა გინდა, რომ ქნა? ან უნდა აქედან გაიქცე, ან თავადაც კოლექტივის ერთეულად იქცე... თუმცა არსებობს მე-სამე გზაც... პროტესტი და უმრავლესობის დიქტატს კბილების ღჭენითა და მოთმინებით, უდრევად და უხმოდ არ დამორჩილება – ყველა თავის გზას ირჩევს...

რომ გაიმარჯვო და თავისუფალი გახდე, დიდი გზაა გასავლელი. ამ მოგზაურობაში, ალბათ, მთავარი ორი რამაა – სინდისის ტანჯვანი და განახლებისკენ სწრაფვა. ადამიანის მთავარი ნიჭი და მიზანი, როგორც გიო ამბობდა – განვითარებაშია... თუმცა, სინდისის წუხილისა და თავმდაბლობის გარეშე, არაფერი გამოგივა. ოღონდ მორჩილება არ უნდა იყოს მოჩვენებითი, მონური, მხოლოდ შენი ცოდნის, გამოცდილებისა და გა-დატანილი განსაცდელის სიმაღლის გადმოსახედიდან გაცნობი-ერებული თავმდაბლობაა ფასეული.

სანამ ყოველივეში მხოლოდ საკუთარი თავს არ დაადანა-შაულებ და არ იყვირებ, რომ შველა გჭირდება, არაფერი გამო-გივა. ნებისმიერი სახის მონობის ტყვეობიდან გამოსვლა თავის დამდაბლებითა და „წყლულების“ გახსნით, მათი გულრწფელი გამომზეურებით იწყება. ასე ხორციელდება რეალურ ცხვორებაში ცნობილი სახარებისეული პრინციპი – „ითხოვეთ და მო-გეცემათ“. თუ ეცდები ყველას ზემოდან უყურო, ასე ვერაფერს

მიაღწევ – მონობას უფრო ღრმად ჩამარხავ და ბოლმისგან საპოლოოდ დაიღუპები. საკუთარი უძლურების აღიარება – ხსნის ერთადერთი გზაა! ეს აუცილებელი ეტაპია, მხოლოდ შემდეგ მოდის საკუთარ თავზე გამარჯვება.

გახსოვდეს, შენში კიდევ უამრავი „მე“ დევს! გადახედე შენში არსებულ შეხედულებათა სისტემას, იმ ეტაპისთვის მორიგი კერპი უკუაგდე და გადადი უფრო მაღალი ხარისხის თავისუფლების სივრცეში, სადაც მორიგი კერპები გელოდება და ყველაფერი ისევ თავიდა... ასე, ამ „მეების“ მოკვდინებით იზრდება პიროვნება. ეს მეტად მტკივნეული პროცესია, რომელსაც დიდი გულისტკივილი, საზოგადოებიდან გარიყვა, გაჭირვება და სასონარკვეთამდე მძიმე მარტოობა სდევს თან... მე „მეც“ ვარ და „დათოც“, და კიდევ ბევრი, უამრავი „მეც“. დიახ, მე არა მხოლოდ დათო ვიყავი, არამედ LUCKY - იც, ამჟამად დემოც შევიქენი და ფუკოც გავხდი – ხან რაციონალური უანი ვარ და ხანაც შეშლილი მიშელი...

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მან ჯერ ყველაფერი, რისი გულისთვისაც ცხოვრება ღირს, უნდა დაკარგოს და ამ გზით გაიგოს ჭაშმარიტი თავისუფლების ფასი. ამის გარეშე, მხოლოდ წაკითხვით, მთავარი შიშის, სიკვდილის შიშის მეტ-წაკლები დაძლევა, და, ასე ყოველდღიური ყოფის წესებისგან გათავისუფლება არ მოდის. თავისუფლება – ეს არის სიკვდილთან მაქ-სიმალური მიახლოება, რადგან ადამიანი ზუსტად და მკაფიოდ, მხოლოდ სიკვდილის პირას შეიგრძნობს, თუ რას ნიშნავს „ამაოება ამაოთა“ – წარმატება, სიმდიდრე თუ ულამაზესი ქალი, სხვა წვრილმანი ზრახვები და „დიდი“ წესები – „ყოველივე ამაოა“... თუმცა ზემოჩამოთვლილს არ უნდა შეუშინდე, რადგან დათმენის საზღაურიც დიდია – თავისუფლება მოგცემს იმ აპონქრებული მდინარის ძალას, რომელიც კოლექტივიზმის კლდეს გააპობს!

თავისუფლება არ არის ერთჯერადი, თუნდაც დიდი თავ-განწირვის აქტი, არამედ ესაა პროცესი – ის ჩაკირკიტებით შრომასა და „წვეთ-წვეთად საკუთარ თავში მონისგან გათავისუფლებას“ მოითხოვს.

თავისუფლება, როგორც კოლექტივის უდაბნოში დაკარგულ მგზავრს, ისე უნდა გწყუროდეს. ის უნდა მოიპოვო ხანგრძლივი, მძიმე მოგზაურობით.

თავისუფლება არ ითხოვს ჰიმნებსა და ორატორიებს, მას სჭირდება ნება, გამბედაობა და სიმტკიცე.

თავისუფლება არ არის ნაირფერადი ოცნებით ტკბობა, ესაა უახლოესი ადამიანების მიერ მოყენებული ტკივილის, დაცინვის, ტალახის უდრტვინველად ატანა.

მაშ ასე, ადამიანის სიმდიდრე, მრავალფეროვნება და ინდივიდუალიზმი მის ცვალებადობაშია. „მეების“ მოკვდინებით იზრდება ადამიანი. ფუკოს ქანქარასავით უჩუმრად, ბევრი ყვირილის გარეშე, უნდა გადაიხარო და ქანაობა დაინყო, ხოლო სიბრტყე რომელშიც შენ ირხევი, ნელა, მაგრამ განუხრელად დედამიწის ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით – ავტორიტეტების, კოლექტივისა და მეგობართა ჩვეული წრის საპირისპირო უნდა იყოს. დაიღლები – შეისვენე, გინდ უკან დაიხიე – რხევათა ცენტრისკენ დაბრუნდი და მერე გააგრძელე, მაგრამ აუცილებლად გააგრძელე!.. თუ ბევრს და ხანგრძლივად იქანავებ, შეიძლება გაგიმართლოს – დროთა განმავლობაში ღერძთან დამაკავშირებელი ჯაჭვი გაცვდება, შემდეგ ის გაწყდება, შენ კი არწივივით ცაში აიჭრები და ჰაერში ილივლივებ...

სანამ ნაირნაირი კოლექტივების ორბიტას საპოლოოდ მოწყდები, დიდი და მეტად მტკივნეული გზაა გასავლელი: მოკალი მორიგი მოძველებული „მე“ – მთავარია არ გაჩერდე და გულში მაინც, არ დააცხრო პროტესტი; განსაკუთრებით, პროტესტი საკუთარი არსებობის უაზრობისა და ეგოიზმის მიმართ, შემდეგ კი დაიხსენი თავი კოლექტივიზმის მარწუხებიდან.

დაბოლოს! სიცრუისა და ფარისევლობის ოკეანეში უნდა აანთო გულრწფელობის შუქურა, რომელიც განახებს გზას სიმართლისა... თუ შენ შეიყვარებ მარტოობასა და ყოველდღიურობის წესების მონამეობას, თანამედროვე ადამიანები, პირველ ყოვლისა, თანამემამულეები, უახლოესი მეგობრები უდიდეს პატივს მოგაგებენ – შეშლილად გამოგაცხადებენ, შეგიძულებენ და გაგრიყავენ. ყოველივე ამის ჯილდო კი უმშვენიერესი იქნე-

ბა – შენ გახდები „მარილი ამა სოფლისა“, შენ „დაატრიალებ დედამიწას“... და შეუერთდები მარადისობას.

P.S.

...მაგრამ არის კიდევ რაღაც უფრო დიდი და ძნელად მიღწევადი, ვიდრე ინდივიდუალიზმია... პიროვნების განვითარების ყველაზე მაღალი საფეხური, მისი ყველაზე დიდი მიღწევა ასე-თია: თან იყო კაშკაშა, მკვეთრად გამოხატული ინდივიდი, ერთადერთი, განუმეორებელი და, იმავდროულად, ჩვეულებრივი, როგორც ყველა – ესაა ადამიანის განვითარების უდიდესი ხელოვნება და მწვერვალი! სწორედ რიგითობასთან შერიგებასა და ჩვეულებრიობის განცდის შესისლხორცებაა ადამიანისთვის ყველაზე დიდი სირთულე, ასეთია ჩვენი რაობის აღქმის უდიდესი სიძნელე. სამაგიეროდ მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ჭეშმარიტი თავისუფლება და უმაღლესი სულიერი შვება!

ყველაზე კარგო N, დასასრულს, სანამ დაგემშვიდობებოდე, შეგახსენებ უილიამ შექსპირის ცნობილ გამონათქვამს: „ყოველ-გვარ შეშლილობას აქვს თავისი ლოგიკა“... ასე რომ, არაფერია საგანგაშო – მე კვლავ ფსიქიატრიულში ვწევარ და შენზე ვფიქრობ... ჩემო ოცნების გოგოვ, გკოცნი და გეფერები, მხოლოდ შენ!

ზურა ოდილავაძე. 2014 წელი